„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

# საქართველოს რესპუბლიკა

შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

ორშაბათი
21 აპრილი,
2003 წელი
№104
(4483)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.

## დღესასწაული



ბზობის დღე. ლურჯი მონასტერი.
ლევან ლომაძის ფოტო.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის
# განკარგულება

2003 წლის 17 აპრილი ქ. თბილისი

**ისრაელ ზელინგერის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქართული კულტურის, ტრადიციების, მეცნიერებისა და ხელოვნების პოპულარიზაციასა და საქართველოსა და ისრაელს შორის მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, ნაყოფიერი ორგანიზაციული, საქველმოქმედო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის მსოფლიო ებრაული სააგენტო „სოხნუთის“ წარმომადგენლობის უფროსი საქართველოსა და სომხეთში **ისრაელ ზელინგერი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

## ინფორმაცია

### ყველა ქართველი სამშობლოს დაუბრუნდეს!

დასავლეთ ევროპის ქართულ ეპარქიაში ეპარქიის მიტროპოლიტმა აბრამმა პირველი სამეფო წირვა აღავლინა „ყოველთა წმინდანთას“ ტაძარში, რომელიც ბერძენმა მართლმადიდებლებმა დაუთმეს ქართველებს.

როგორც „ინტერ-პრესს“ საქართველოს საპატრიარქოში განუცხადეს, უზარმაზარი ბერძნული ტაძარი ქართველებითა და ასევე სხვა ერის წარმომადგენლებით იყო სავსე. წირვის ბოლოს მეუფე აბრამმა ქადაგებით მიმართა იქ შეკრებილ ქართველებს და ყველას გადასცა უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის სურვილი, რომ ყველა ქართველი დაუბრუნდეს სამშობლოს, ხოლო, ვინც ამას ვერ შეძლებს, არ გაწყვიტონ კონტაქტი საქართველოსთან. ქადაგების შემდეგ კი, აღესრულა მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი.

### ბინას... კარავში დაიდებენ

ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროს იმერეთის სამმართველოს თანამშრომლები 22 აპრილს ქუთაისის მერიის შენობის წინ კარავს გაშლიან და მასზე მათი სამსახურის სახელწოდებას დააწერენ.

პროტესტის ეს ფორმა ამ უწყების იმერეთის სამმართველოს თანამშრომლებმა მას შემდგომ მოიფიქრეს, რაც მათთვის შენობის გამოყოფის ყველა იმედი გადაეწურათ.

### დასრულდა „ქართული ენის დღეები“

ყვარელში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში საზეიმოდ დაიხურა „ქართული ენის დღეები“. იგი პანკისის ხეობის ქისტური სოფლის ჯოყოლოს საშუალო სკოლაში 5 აპრილს საზეიმოდ გაიხსნა და ორი კვირის განმავლობაში კახეთის ყველა რაიონი მოიცვა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა რეგიონში არაქართველი მოსახლეობით დასახლებულ სოფლებზე.

გამოვლინდა საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების მოსწავლეთა ქართულ ენაზე მეტყველების დონე. ამ მხრივ მაღალი შეფასება მიეცა აზერბაიჯანული ეროვნების წარმომადგენლებით დასახლებული თელავის რაიონის სოფლის ყარაჯალის საშუალო სკოლას.

ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

## მხარე

# კვლავაც ვაზისკენ შემობრუნებული მეზვრე

**გაზაფხული ხეობაში, სადაც კრემლში, სოსოსთან გასაგზავნი ღვინო იწურებოდა**

ატენის გზას დაადგები და, ხეობაში, მდინარე ტანას გაყოლებით, უამრავი უძველესი კულტურის ძეგლი შეგხვდება, ზოგი კარგად შენახული, ზოგიც – დაზიანებულ-ჩამოქცეული.

ატენის ციხე ტანას მარცხენა ნაპირზე, მაღალი კლდის ქიმზე აუშენებიათ. თავის დროზე ბურჯებით გამაგრებული გალავნის შიგნით მეციხოვნეთა სადგომები, წყალსაცავი და სხვა ნაგებობები ემსახურებოდა ხეობის მოსახლეობას. ციხე შიდა ქართლიდან სამხრეთ საქართველოსკენ მიმავალ გზას იცავდა და მისი ადგილმდებარეობის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე არაერთ ჟამთაღმწერელს აქვს მოთხრობილი.

დღეს, ნაომარსა და მაშვრალს, აღარც მტერი ემუქრება, აღარც რაიმე განსაცდელი. ისვენებს ათასი წლის ციხე, მზის გულზე ითბობს ბებერ ძვლებს. მზე კი დილიდან საღამომდე „თვალს არ აშორებს“ აქაურობას, ტყუილად კი არ ეძახიან ციხის მიდამოებს მზვარეს, ანუ მზიანსა და უჩირდილოს. მაგრამ სადაც მზვარეა, იქ ხომ ზვრებიცაა.

აქაც ასეა: ატენის ციხე ზემოდან დასცქერის სულიკო პავლიაშვილის ვენახს. მეზვრე, მეტადრე გაზაფხულზე, თავისი ვენახის იქით ფეხს სად გაადგამს? სულიკო პავლიაშვილიც, რომ მივედით, ვაზის მწკრივებში ტრიალებდა.

იხ. მე-3 გვ.



სულიკო პავლიაშვილი.

## თვალსაწიერი

# ფართოდ დაღებული ახალგაზრდული ყბები და ბლოკური ომი საქართველოში

მთელი გასული კვირა, ნამდვილად არ შევცდები თუ ვიტყვი, კვლავ სახელისუფლებო ბლოკის შექმნის რეზონანსით იყო გაჯერებული, ეს იყო მთავარი სალაპარაკო და საქოთქოთო. მით უფრო, რომ ერაყში საომარი ოპერაციები დასრულდა და საქართველოს პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკური არჩევანის სისწორე, რომელიც მან ომის დაწყებამდე გააკეთა ანტიერაყული კოალიციის ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერით, კიდევ უფრო გამოკრისტალდა.

მაგრამ მთლად ზუსტად არ ვამბობ.

სალაპარაკო და საქოთქოთო ის კი არ იყო (და არის), რომ საარჩევნოდ სახელისუფლებო ბლოკი შეიქმნა, არამედ ის, რომ მართლა ძლიერი, მზარდი და სიცოცხლისუნარიანი გაერთიანება ჩამოყალიბდა, რომელსაც ზღვაში შეჭრილი მძლავრი ზვირთსაქცევივით თავის მკერდზე ნებისმიერი „მეცხრე ტალღის“ მიმსხვრევა და უკუქცევა ძალუძს.

ეს, ასე ვთქვათ, ხატოვნად.

ახლა უფრო პროზაულად.

იხ. მე-2 გვ.

## ინტერპანორამა

კოალიციას განზრახული აქვს რამდენიმე დღეში ოფიციალურად გამოაცხადოს თავისი გამარჯვება ერაყში. აშშ-მა, ბრიტანეთმა და ავსტრალიამ დისკუსიები გამართეს გამოცხადების დროსა და ზუსტ ფორმულირებაზე. იგი „დაჭედილი“ უნდა იყოს იურიდიულადაც, პოლიტიკური ტონითაც.



ბაღდადი ნორმალურ ცხოვრებაზე გადადის. გაიხსნა პირველი აფთიაქები, იმატა მომუშავე პურის საცხობების, კაფეების, რესტორნების რიცხვმა. უკანასკნელი წლების ეკონომიკური ბლოკადით შეჭირვებული მცხოვრებნი იმედოვნებენ, რომ მალე ქალაქში ვითარება დალაგდება.



მსოფლიოში ატიპური პნევმონიით დაავადებულთა რიცხვმა 3547 კაცს მიაღწია. ჩინეთში ამ დაავადებით კიდევ 18 კაცი დაიღუპა, მათ შორის 5 უცხოელი. ჯერჯერობით ვირუსს რუსეთამდე არ მიუღწევია.




გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## თვალსაწიერი

# ფართოდ დაღებული ახალგაზრდული ყბები და ბლოკური ომი საქართველოში

(პირველი გვერდიდან)

ოპოზიცია, რა თქმა უნდა, ელოდა, რომ ხელისუფლება ხელს გამოიღებდა და რაღაცას მოიმოქმედებდა თავდასაცავად, მით უფრო, რომ ჩვენი ჭაბუკი (სულწასულ ჭაბუკთაგან შემდგარი) ოპოზიცია ისე ემუქრებოდა, ისე სააშკარაოდ ლესავდა მის დასაკლავ დანას, რომ მართლა სულელი უნდა ყოფილიყო, რამე არ ეღონა.

ჩვენ მოვალთ და დღევანდელ ხელისუფალთ ამას ვუზამთ, იმას ვუზამთო, ისე გამუდმებით და და დასურათხატებულად იმუქრ-იგინებოდნენ (და იმუქრ-იგინებიან), ისე მძვინვარედ აღრჭიალებდნენ (და აღრჭიალებენ) კბილებს, რომ ძალად თვალდახუჭულიც უნდა მიხვდე: ხელისუფლებაში მართლა რომ მოვიდნენ, სიტყვას შეასრულებენ და ცოცხლად დაჭამენ ყველას.

ჰოდა, ისედაც რაღაც ორი პარასკევი რომ დაგრჩენია კაცს, ნამდვილად არ გინდა მიშა სააკაშვილის ან ზურაბ ჟვანიას (კობა დავითაშვილზე აღარაფერს ვამბობ) ყბებში დალიო სული.

ხელისუფლებამ ის გააკეთა, რასაც დიდი ხანია ელოდა ოპოზიცია, ოღონდ ოპოზიცია იგი ვერ წარმოიდგენდა, მოწინააღმდეგის ეს ნაბიჯი ასეთი ქმედითი და მთიდან დაგორებულ გუნდასავით სულ უფრო და უფრო მზარდი და შემმატებელი თუ იქნებოდა.

ნაკერებში დამსკდარ-დარღვეული ძველი მოქალაქეთა კავშირის განქიქებითა და მისი მძორით საკუთარი ფესვების განოყიერებით ოპოზიცია ისე დაარხეინდა, რომ უკვე ქვეყნის ბატონ-პატრონად წარმოიდგინა თავი.

ახლა კი, როცა ნახა, რომ ხელისუფლება თურმე ასე იოლად და სიტყვის შეუბრუნებლად არ აპირებს გარდაცვალებას, ის კი არა, სულაც აღორძინება და „მეორედ მოსვლა“ აქვს გულში, ოპოზიცია შეჩქვიფდა და დაიზაფრა.

ამის შედეგია, თუნდაც, სტუდენტთა ერთი ნაწილის რუსთაველზე მსვლელობა და კანცელარიასთან გამართული აქცია... სახელისუფლო საარჩევნო ბლოკის შექმნის პროტესტის ნიშნად!

ეს ბლოკი ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანსო, აცხადებდნენ ახალგაზრდები, რომლებიც, რა თქმა უნდა, არავისგან მართულ-შეგულიანებული არ ყოფილან, ისხდნენ ლექციებზე, ან შესვენებაზე კონსპექტებს კითხულობდნენ და უცებ ყველანი ერთიანად ქუჩაში გამოიყვანა მოსალოდნელი ხიფათისგან სამშობლოს ხსნის სურვილმა.

ახლა მე ასეთ გულუბრყვილო კითხვას ვსვამ: როდესაც მიხეილ სააკაშვილმა, დავით ბერძენიშვილმა და ზვიად ძიძიგურმა არჩევნებზე ერთიანი ბლოკით გამოსვლა გამოაცხადეს, ასევე არავისგან მართულ-შეგულიანებული თუნდაც 30 სტუდენტი რომ შეკრებილიყო მსგავსი ლოზუნგ-ტრანსპარანტებით, კანცელარიამდე სულ „მობრძანდი-მიბრძანდის“ რევერანსებით მისულიყვნენ კი არა, უნივერსიტეტის ლობესაც რომ არ გასცილებოდნენ, წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდებოდა პარლამენტში, თბილისის საკრებულოში და „რუსთავი-2“-ში? ხომ დაამხობდნენ ხელისუფლებას თავზე ქვეყანას (ეს საწყალი ხელისუფლება სულაც ბაიბურშიც რომ არ ყოფილიყო), შენი მოწყობილია ყველაფერი, როგორ თუ ოპოზიციას ახშობო.

სახელისუფლებო ბლოკი არჩევნებში გამარჯვებას ეპირებაო, არის ერთი გნიასი.

თუ შენ ეპირები, რატომ გიკვირს, ისიც ეპირებოდეს?!

ამ წამგებიანი ლოზუნგით ჟონგლიორობას – როგორ თუ ხელისუფლებამ ბლოკი შეკრაო, ოპოზიციას ურჩევნია სეტყვას ქვა დაახვედროს და თვითონ უფრო ძლიერი გაერთიანება დაუპირისპიროს „ერთიანი საქართველოსათვის,“ თორემ მხოლოდ დავით ბერძენიშვილისა და ზვიად ძიძიგურის შემომტკიცების იმედად მტერი იყოს.

მით უფრო, რომ ოპოზიციის რიგებში დიადი გარდატეხა და „ცენტრიდანული“ მოძრაობა დაიწყო. ნუთუ მათ არაფერს ეუბნება ირინა სარიშვილისა და მთელი ედპ-ს ნაბიჯი? არადა, ხმები მოდის, არაერთი ოპოზიციური პარტია აპირებს მას მიბაძოსო.

ოღონდ: პირადად მე მაშინებს ბლოკის „ერთიანი საქართველოსათვის“ ასეთი მიმზიდველობა.

დასამალი როდია: უმთავრესი ფაქტორი ამ მიმზიდველობისა ის არის, რომ ბლოკს სათავეში პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ჩაუდგა.

ამაში საფრთხეც იმალება: არის შანსი, რომ ბლოკს ათასი ჯურის მედროვე მიეტმასნოს, როგორც ეს პირველი ეტაპის მოქალაქეთა კავშირის შემთხვევაში მოხდა და რამაც საბოლოოდ შეიწირა კიდეც იგი. ისეთი ხალხი ეკეკლუცება და უპრაწავს თვალებს, ეს შიში სწორედაც რომ რეალურია.

მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ მწარე გამოცდილებას გაითვალისწინებენ.

ერთი საშიშროება კიდევ არის: ამ ბლოკებად გაერთიანებასა და საომრად დარაზმვაში ქვეყანა არ მიაყურისძიროს ძვირფასმა პოლიტიკურმა ელიტამ (ისე, ჩვენი „პოლიტიკური ელიტის“ გაგონებაზე ხალხი როგორ არ იხოცება სიცილით, სწორედ რომ საკვირველია: ამ „ელიტის“ დიდ ნაწილს ხომ ქვეყანას კი არა, ორ ბატს ვერ მიაბარებ სამწყემსად)!

ამის სასინჯი ქვა „თეზ“-ია, რომლის კანონპროექტის განსახილველადაც ვენებს იჭრის ფრაქცია „აღორძინება“...

ალეკო ასლანიშვილი.

## კვირა

### რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი

– რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? – „კვირის“ ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე გიორგი მარსაგიშვილი.



### ქვეყნისთვის

– გასული კვირა მსოფლიოსთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ თუ კულტურულ მოვლენათა მძაფრი პერიპეტიებით იყო აღსავსე. კვირა 14 აპრილით დაიწყო – ეს დედაენის დღეა. ამ დღისადმი მიძღვნილმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ქართული ენის მნიშვნელობა ჩვენი სულიერებისთვის.

### ჩემთვის პირადად

– 14 აპრილს ჩატარდა კულტურის ძეგლთა დაცვის არქიტექტურის საბჭოს სხდომა, რომელზე წარმოდგენილი პროექტებიდანაც აღსანიშნავია თბილისის ისტორიული უბნის ერთი ნაწილის – ბამბის რიგისა და რკინის რიგის აღდგენის პროექტი (არქიტექტორები გიგა ბათიაშვილი და ანრი ყრუაშვილი). საბჭოს რაიმე მნიშვნელოვანი შენიშვნა არ გამოუთქვამს და ვიმედოვნებ, რომ ახლო მომავალში თბილისის ისტორიულ ნაწილს არც თუ დიდი, მაგრამ დახვეწილი გემოვნებით აღდგენილი ფართობი შეემატება.

აპრილი მხატვართა და ხელოვანთა გამოფენებითაც იყო მდიდარი. ხელოვნების მუზეუმში გრძელდება საქართველოს სახალხო მხატვრის ზურაბ ლეჟავას გამოფენა, საექსპოზიციო დარბაზს მისი ხელოვნების დამფასებელი არ აკლია.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს 17 აპრილს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის განვითარების ფონდის დაარსება. ისევე, როგორც კულტურის სხვა დაწესებულებებს, ხელოვნების მუზეუმსაც გაუჭირდა. ფონდის მიზანია მუზეუმის მატერიალური და მორალური მხარდაჭერა. მუშავდება მნიშვნელოვანი პროგრამა. იმედია, რომ ჩვენი შემოქმედების გია ბუღაძის, ზაზა ლაღიძის, თორნიკე ერგემლიძის, ნინო იოსელიანის, გვანცა სალაყაიას და სხვათა მცდელობა ამაოდ არ ჩაივლის. საქართველოს კულტურის მინისტრმა სესილი გოგიბერიძემ ფონდის პრეზენტაციაზე მუზეუმისთვის გამოყო სოლიდური თანხა 15 ათასი ლარი, რომელიც საგამოფენო დარბაზის რესტავრაციას მოხმარდება.

კიდევ ერთი, ყველასათვის საინტერესო და მტკივნეული თემაა ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედება. სახელმწიფო რეესტრში შეტანილ ფიროსმანის 174 ნამუშევარს შესაძლოა კიდევ ერთი, დღემდე უცნობი ნამუშევარი შეემატოს. 18 აპრილს მოწვეული იყო ნიკო ფიროსმანაშვილის ავტორობის შემსწავლელი კომისიის სხდომა, რომელიც კერძო კოლექციაში დაცულ და დღემდე უცნობ ფერწერულ ტილოს შეისწავლის. დაველოდოთ კომისიის გადაწყვეტილებას.

### მოსწავლეები ხეებს რგავენ



რუსთავის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში შექნილი მწვანე საგუშაგოს შტაბის წევრებმა რუსთავში აქცია მოაწყეს და რამდენიმე ათეული ჭადარი დარგეს.

4 თვის წინ შექმნილ შტაბში რუსთავის 15 სკოლის 30 მოსწავლეა გაერთიანებული. მსგავსი ღონისძიებები ქალაქში მომავალშიც გაიმართება, სავარაუდოდ, – შაბათობით.

### ხორციელდება „ახალგაზრდული პროექტი“

საერთაშორისო ორგანიზაცია „Word Vision international“-მა საქართველოში „ადამიანის უფლებათა ახალგაზრდული პროექტის“ განხორციელება დაიწყო. პროექტის ფარგლებში უახლოეს მომავალში სამხრეთ საქართველოში ახალგაზრდული ცენტრები დაფუძნდება, რომელთა მეშვეობითაც პროგრამის ავტორები მხარის აზერბაიჯანულ, ბერძნულ, სომხურ და ქართულ მოსახლეობას შორის ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრასა და სოციალური ჰარმონიის დამყარებას ვარაუდობენ.

გარდა ამისა, უახლოეს მომავალში „Word Vision international“-ი საქართველოში „სამხარეო განვითარების პროექტს“ განახორციელებს, რომელიც რეგიონებში მცხოვრები ბავშვებისათვის დახმარებას ითვალისწინებს.

Word Vision international“-ი საქართველოში 1994 წელს დაფუძნდა და მისი მიზანია სოციალურად დაუცველი ფენების დახმარება.

ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

## ოფიციალური ინფორმაცია

# დაწესდა „დავით სარაჯიშვილის დღე“

**სასიქადულო მამულიშვილის, ცნობილი მრეწველისა და საზოგადო მოღვაწის, დიდი ქველმოქმედისა და მეცენატის, თბილისის საპატიო მოქალაქის, ქიმიისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის დავით სარაჯიშვილის სახელის უკვდავსაყოფად საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაწესდა „დავით სარაჯიშვილის დღე“.**

დავით სარაჯიშვილის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართება ყოველწლიურად, ხოლო მიმდინარე წელს – 10-11 ნოემბერს.

„დავით სარაჯიშვილის დღის“ მომწყობ საორგანიზაციო კომისიას უხელმძღვანელებს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფო კანცელარია, შესაბამისი სამინისტროები და უწყებები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში დახმარებას აღმოუჩენენ „დავით სარაჯიშვილის დღის“ მოწყობის ორგანიზატორებს გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულებაში.

საქართველოს პრეზიდენტის ეგიდით გასამართავი კონკურსების – „ეროვნული ეკონომიკის მეწინავენი“ და „მშვიდობიანი და ძლიერი კავკასია“ – დასაფინანსებლად საჭირო ხარჯებს გაიღებს საქართველოს პრეზიდენტის გამგებლობაში არსებული ოფიციალურ გამოცემათა სამსახური მისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

„დავით სარაჯიშვილის დღისადმი“ მიძღვნილ ღონისძიებათა შორის დაგეგმილია საერთაშორისო სამეცნიერო კოლოკვიუმის, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის გამართვა. მოეწყობა კავკასიის ღვინის მრეწველობისა და უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელ საწარმოთა პროდუქციის დეგუსტაცია-პრეზენტაცია და გამოფენა-დათვალიერება დევიზით: „მშვიდობიანი და ძლიერი კავკასია“.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება საქართველოს პრეზიდენტის ეგიდით ჩატარებული ღია კონკურსების – „ეროვნული ეკონომიკის მეწინავენი“ და „მშვიდობიანი და ძლიერი კავკასია“ – შედეგების შეჯამება და გამარჯვებულთა დაჯილდოება.



პროგრამით გათვალისწინებულია „სათნოების დღის“ გამართვა, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრა ქალაქებისა და რაიონების მეწარმეებთან თემაზე: „მეწარმეობის განვითარების პრობლემები საქართველოს რეგიონებში“.

საფუძველი ჩაეყრება „ქართული ღვინისა და ვაზის სასახლე-მუზეუმს“, გაიმართება ბევრი სხვა საინტერესო ღონისძიება.

გაიმართება თვალსაჩინო ქართველი მხატვრების – დავით სარაჯიშვილის სტიპენდიატების – მოსე თოიძის, გიგო გაბაშვილის, გრიგოლ მესხის, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის ნამუშევრების გამოფენა, აჟღერდება გამოჩენილი კომპოზიტორების, ასევე დავით სარაჯიშვილის სტიპენდიატების – დიმიტრი არაყიშვილის, მელიტონ ბალანჩივაძის, კოტე ფოცხვერაშვილისა და ია კარგარეთელის ნაწარმოებები. გაიმართება სპორტული კოლექტივების ასპარეზობა, ქართველ მხატვარ-დიზაინერთა ნამუშევრების საშემოდგომო გამოფენა, სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებანი.

საქინფორმი.

# სტიქიით დაზარალებულებს დაეხმარებიან

**ცაგერის რაიონის სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ**

**ცაგერის რაიონში ბოლო დროს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ძალისხმევის შედეგად მიღწეული გარკვეული სტაბილიზაციის მიუხედავად, წლის დამდეგს განვითარებულმა სტიქიურმა მოვლენებმა სერიოზულად დააზიანა ადგილობრივი მოსახლეობის და რაიონის ინფრასტრუქტურა.**

ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, კერძოდ, მოსახლეობისაგან გასულ და მომავალ სეზონებზე შესყიდული ყურძნის საფასურის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების შესაბამისად, ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს დაევალა უზრუნველყოს „საქართველოს პრეზიდენტის წარმოების განვითარების საინვესტიციო ფონდიდან“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ცაგერის ღვინის ქარხნისათვის“ 100 000 ლარის გამოყოფის (დაბრუნების პრინციპით) სპეციალური ორწლიანი სუბვენციის პროგრამის შემუშავება და განხორციელება, ასევე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ცაგერის ღვინის ქარხანასთან“ სათანადო ხელშეკრულების გაფორმება.

ცაგერის რაიონის გამგეობას ნება დაერთო იყოს აღნიშნული პროგრამის განხორციელების გარანტი.

ფინანსთა სამინისტრო აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებისთანავე უზრუნველყოფს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსათვის 100 000 ლარის ოპერატიულად გამოყოფას.

საქინფორმი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

დაჯილდოება

# საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 18 აპრილი ქ. თბილისი

## პეტრე დაუთაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

სტუდენტი ახალგაზრდობის განათლებასა და იურისტთა ახალგაზრდა კადრების აღზრდაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს ბიზნესის უნივერსიტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **პეტრე დაუთაშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

# საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 18 აპრილი ქ. თბილისი

## საქართველოს კულტურის სფეროს მუშაკთა ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული კულტურის განვითარებასა და მის პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ კულტურის სფეროს მუშაკები:

**ზოია აბელიანი** – ნინოწმინდის ახალგაზრდობის რაიონული სახლის დირექტორი; **დარეჯან გეფერიძე** – ფოთის ბავშვთა საესტრადო სტუდია „თეთრი თოლიას" ხელმძღვანელი; **ოთარ თოლორაია** – ღვაწმოსილი კულტურის მუშაკი; **გიორგი ქორქაძე** – თბილისის ევგენი მიქელაძის სახელობის საკრავიერი ხელოვნების კოლეჯის დირექტორი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი; **ნუნუ შათირიშვილი** – საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა საერთო ეროვნული კავშირის შემოქმედებითი განყოფილების უფროსი; **დარეჯან ჩიკვილაძე** – თბილისის №2 სამუსიკო ხელოვნების სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში; **ვლადიმერ ხმალაძე** – თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოცენტი; **ელგუჯა ჯოხაძე** – საჩხერის საბავშვო სამხატვრო სკოლის დირექტორი.

**ედუარდ შევარდნაძე.**

მხარე

# კვლავაც ვაზისკენ შემობრუნებული მეზვრე

## გაზაფხული ხეობაში, სადაც კრემლში, სოსოსთან გასაგზავნი ღვინო იწურებოდა

(პირველი გვერდიდან)

სტუმრობის მიზეზი რომ გაიგო, ბერიკაცმა პირობა წამოაყენა, ოცი წუთი, მეტი არ მცალია, სამუშაომ, ლამის არის, დამიტანოსო. შემდეგ დაუმატა, თუ გინდათ, საღამოთი შინ მეწვიეთ, კიდევაც ვისაუბროთ, კიდევაც დავილოცოთო.

„ოცწუთიანი რეგლამენტი" ვარჩიეთ.

– აი, აქ, მზვარეში მოწეული ყურძნიდან მზადდებოდა კრემლში, სოსოსთან წასაღები ღვინო. მართალია, ატენის ხეობაში ყველგან ატენურს აყენებენ, მაგრამ ატენურიც არის და ატენურიც. მარანში 15-კოკიანი ქვევრი მაქვს მიწაში ჩაგდებული. კოკა, მოგეხსენებათ, ღვინის საწყაოა და იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ზომისაა. ჩვენთან, ამ მიდამოში, კოკა 60 ლიტრაა, მაგრამ ზემოუბნელმა ატენელმა, მეტადრე ტანას მარჯვენა ნაპირზე მცხოვრებმა, ჩემგან კოკა ღვინო რომ ისესხოს, 80 ლიტრი უნდა დამიბრუნოს. იმდენად მაღალია აქ, მზვარეში მოწეული ღვინის რეპუტაცია.

– იმ 15-კოკიან ქვევრს ყოველ წელს ავსებ? – ვეკითხები მასპინძელს.

სულიკო ეშმაკურად მოჭუტავს თვალს, თავის ვენახს გადახედავს.

– ამ ერთი ციდა ვენახით რომელ ქვევრს აავსებ? მამაჩემის დროს კი ივსებოდა. მაშინ მთელი ატენის ხეობა ერთი დიდი ზვარი იყო, საითაც გაიხედავდი, ვენახები იყო გადაჭიმული.

– იმ დროს, რომელზეც ძია სულიკო საუბრობს, ანუ 60-70 წლის წინათ, – განაგრძობს საუბარს ატენის საკრებულოს გამგებელი დავით ვანიშვილი, – ამ მცირემიწიან ხეობაში 500-ზე მეტ ჰექტარზე იყო ვენახი გაშენებული. ასე რომ არ ყოფილიყო, ჩვენს სოფელში ღვინის ქარხანას ვინ ააშენებდა? დაიწყებოდა რთველი და, პაპაჩემისგან გამიგონია, ყურძნით სავსე გოდრებით დატვირთული ურმების მეპატრონენი ღამისთევით იდგნენ რიგში ღვინის ქარხნის ჭიშკართან. სამწუხაროდ, შემდგომ ათწლეულებში, მიზეზთა გამო, მევენახეობა, როგორც დარგი, დაკნინდა, რადგან ვაშლი უფრო შემოსავლიანი, სარფიანი საქმე აღმოჩნდა, მევენახეობის ეს უნიკალური რეგიონი მეხილეობის ჩვეულებრივ ზონად გადაიქცა. აკი უყვარდათ კიდეც კომუნისტებს თქმა, გლეხი შეიძლება უსწავლელი იყოს, მაგრამ ყოველთვის ჩინებული ეკონომისტიაო. ჰოდა, ამ ჩინებულმა ეკონომისტმა მისხალ-მისხალ იანგარიშა რა შემოსავლს იძლეოდა ვენახი და რას მისცემდა მას ხილის ბაღი. ყურძენში კაპიკებს უხდიდნენ, ხილს კი რუსეთის ბაზრებზე დიდი გასავალი ჰქონდა. გორის რაიონის იმ სოფლებში, სადაც, უპირატესად, მეხილეობას მისდევდნენ, მოსახლეობა ორსართულიან სახლებს იშენებდა, მსუბუქ ავტომანქანებს, ფუფუნების საგნებს იძენდა. დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა: ატენის ხეობის ქვედა ზონის სოფლებში ხილის ბაღების გაშენება დაიწყეს.

– ახლა რა ხდება?

– საინტერესო ამბები ხდება. ყურძენს ისევ დაედო ფასი. მასზე მოთხოვნილება წლიდან წლამდე იზრდება. რთველი დაიწყება და, ხეობაში უცხოელები გამოჩნდებიან ხოლმე. იციან ატენურის გემოც და ღირსებაც. და ის, რომ გლეხი თანდათან უბრუნდება ვაზს, ხეობის ეკონომიკურ ცხოვრებაში ყველაზე დიდ მოვლენად მიმაჩნია.

– რა თქმა უნდა, მძიმე საქმეა ვენახი, – ამბობს სულიკო პავლიაშვილი. – გაზაფხულიდან შემოდგომამდე თითოეულ ძირ ვაზთან ბარე თორმეტჯერ მაინც უნდა მიხვიდე. დადგება მარტი და ვაზი უნდა გასხლა, ჭიგოები გაუმაგრო, ფართობი გაასუფთაო, ნასხლავი გამოიტანო, მერე უნდა შეყელო, გაფურჩნო. ფოთოლი შაურიანისხელა რომ გახდება (ასე იტყვიან ხოლმე), პირველი წამლობა მაშინ იწყება და აქედან მოყოლებული, თუ ბუნებამ არ გიმუხთლა და ვენახი არ დასეტყვა, თვეში ორჯერ მაინც უნდა შეწამლო, ივლის-აგვისტოში ცა უნდა გაუხსნა ვაზს. მერე უკვე ოქტომბრამდე ვენახიც ისვენებს და შენც.

ოქტომბერს ღვინობისთვესაც ეძახიან და ამით ყველაფერია ნათქვამი. ეს დრო სოფლად ნათლობებისა და ქორწილების დროა.

„მასპინძელო, მხიარულო, მარნის კარი გიჭრიალებს..."

**...ახლა გაზაფხულია და დიდ-პატარა ვენახში ტრიალებს, სხლავენ, ბარავენ, ნასხლავი გამოაქვთ, მაგრამ გულს მეტადრე ის უხარია, როცა ხედავ, რომ, მართალია, ჯერჯერობით აქაიქ, მაგრამ რა ხალისით აშენებენ ახალ ვენახებს.**

**მარნის კარის ჭრიალი მონატრებიათ ატენელებს.**

**გურამ ვაშაკიძე,**
„სრ" საკ. კორ.

**ამირან ადამაშვილის ფოტო.**

საერთაშორისო სემინარი

# ნარკოტიზმი: როგორ ვებრძვით 21-ე საუკუნეში?



**ამას წინათ რუსეთის ფედერაციის ქ. ველიკი ნოვგოროდში გაეროსა და დსთ-ს საპარლამენტთაშორისო ასამბლეის ეგიდით გაიმართა საერთაშორისო სემინარი თემაზე: „ნარკოტიკების კონტროლის თაობაზე საერთაშორისო კონვენციების დებულებათა იმპლემენტაცია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა ეროვნულ კანონმდებლობებში." სემინარს წინ უძღოდა საპარლამენტათშორისო ასამბლეის თავდაცვისა და უშიშროების მუდმივი კომისიის სხდომა. სემინარში მონაწილეობდნენ ამ კომისიისა და ასამბლეის სამდივნოს პასუხისმგებელი მუშაკები, ექსპერტები და მრჩევლები. დსთ-ს თორმეტივე ქვეყნიდან მოწვეული იყო მოსამართლეთა კორპუსის, შინაგან საქმეთა და ჯანდაცვის სამინისტროთა შესაბამისი სამსახურების თითო წარმომადგენელი.**

**სემინარის მუშაობას წარმართავდნენ გაეროს ნარკოტიკებისა და დამნაშავეობის სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკი, ქალბატონი ქეთრინ ვონცი, ამავე სამმართველოს სარეგიონთაშორისო უფროსი იურიდიული მრჩეველი, ბატონი ბერნარდ ლერუა და ამ სამმართველოს ცენტრალური აზიის წარმომადგენლობის ოფისის ხელმძღვანელი, უფროსი იურიდიული მრჩეველი, ქალბატონი ოლგა ზუდოვა.**

**საერთაშორისო სემინარში საქართველოდან მონაწილეობდნენ და მოხსენებით გამოვიდნენ თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი იური ზაბისონია, შს სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს განყოფილების უფროსის მოადგილე ზაზა ბეროზაშვილი და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო დახმარების, ფარმაცევტული საქმიანობისა და ნარკოტიკების ლეგალური ბრუნვის კონტროლის ინსპექციის უფროსის მოადგილე თამაზ კვირკველია.**

**საერთაშორისო სემინარზე განხილული ზოგიერთი აქტუალური საკითხის შესახებ გვესაუბრება ბატონი იური ზაბისონია.**

**– ბატონო იური, იქნებ ძალზე მოკლედ გვითხრათ, რა საკითხები განიხილეთ სემინარზე?**

– სემინარზე მსჯელობა წარიმართა ორი ძირითადი მიმართულებით: 1) ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემები; 2) ნარკოტიკების კანონიერი ბრუნვის კონტროლის პრობლემები. მეორე გულისხმობს სამედიცინო, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და სხვა ლეგალური მიზნებით ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორების, მათი წარმოება-დამზადებისათვის გამოსაყენებელი ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების ბრუნვის (წარმოების, დამზადების, ტრანსპორტირების, შენახვის, გაცემის, რეალიზაციის, გამოყენების და ა.შ.) მკაცრ კონტროლს, მათი საერთაშორისო კვოტირებიდან დაწყებული. ამ სფეროში, როგორც ამას წინათ ქართული პრესაც იტყობინებოდა, ხშირია ნარკოტიკების, ფსიქოტროპებისა თუ პრეკურსორების „გადინება", რაც, საბოლოო ჯამში, დამატებით „კვებავს" ნარკოტიკების უკანონო ბაზარს. ამიტომ ენიჭება ამ საკითხს არა მარტო თავისთავადი, არამედ პირველი და უმთავრესი პრობლემის – ნარკოტიკების უკანონო (არალეგალური) ბრუნვის – „შემავსებელი" ფაქტორის – მნიშვნელობაც. ეს სფერო სპეციფიკური, მასშტაბური და მტკივნეული სფეროა, მაგრამ ნარკოტიზმის პრობლემატიკის ბირთვი მაინც ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაა, რომელმაც ჭეშმარიტად გლობალური, წარმოუდგენლად მასშტაბური, ტრანსნაციონალური ხასიათი მიიღო, ამასთან, ავთვისებიანი დაავადების მეტასტაზებისმაგვარი ზრდა-გავრცელების აშკარა, მძლავრი ტენდენციით ხასიათდება! ამგვარ მოვლენას, ცხადია, სახელმწიფოთა ძალისხმევის გაერთიანება სჭირდება. ეს კი, კონკრეტულ წინასწარ საორგანიზაციო თუ წმინდა „საბრძოლო" ღონისძიებათა გარდა, უწინარესად, შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული ბაზის ჯეროვნად მოწესრიგება-უნიფიკაციას, მასში გაეროს სპეციალური კონვენციების ნორმატიულ დებულებათა იმპლემენტაციას (ინტეგრაციას) გულისხმობს. სემინარის ძირითადი თემაც ეგ იყო.

დსთ-ში შემავალი ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობათა გაეროს კონვენციების დებულებებისადმი მისადაგების, ძალისხმევის კოორდინირების, ნარკოტიზმთან ბრძოლის ღონისძიებათა ოპტიმიზაციის მიზნით გაეროსა და საპარლამენტაშორისო ასამბლეის მიერ შემუშავებულია და დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა საბჭოს მიერ 2002 წლის ოქტომბერში დამტკიცებულია ამ სფეროში ბრძოლის ერთობლივ ღონისძიებათა პროგრამა 2002-2005 წლებისათვის. საპარლამენტათშორისო ასამბლეამ უახლოეს პერიოდში უნდა შექმნას ამ სფეროში ეროვნულ კანონმდებლობათა ანალიზისა და მოდელური საკანონმდებლო აქტების შემმუშავებელი საუწყებათაშორისო ექსპერტთა კომისია (შევნიშნავ, რომ მისი შექმნა რატომღაც ჭიანურდება). ლაპარაკი იყო აგრეთვე უამრავ ახალ სამართლებრივ ნორმათა შემოღებაზე სისხლის სამართლის, პროცესის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, ნარკობიზნესით ნაშოვნი ფულის „გათეთრების" და კიდევ სხვა სფეროებში, აგრეთვე არსებული ნორმების მოდერნიზებაზე ნარკოტიზმთან ბრძოლის უახლესი პრობლემებისა და ინტერესების გათვალისწინებით. ყოველივე ამას კი, ცხადია, გაეროს ფართო თვალსაწიერი და შესაძლებლობები, აგრეთვე საპარლამენტათშორისო ასამბლეის ეფექტიანი, კონკრეტული ძალისხმევა, თითოეული სახელმწიფოს, მეტიც, მისი თითოეული შესაბამისი უწყების თუ შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელთა მიერ ნების ერთმნიშვნელოვანი, უყოყმანო გამოვლინება და მიზანმიმართული, კეთილსინდისიერი, საგნობრივი, სისტემატური გარჯა სჭირდება ბრძოლისა და პროფილაქტიკის ყველა მიმართულებით – ერთდროულად, „სინქრონულად", კომპლექსურად. ამასთან, ჩვენთვის (და არა მარტო ჩვენთვის!) დამახასიათებელმა თეორიულ-განსჯითმა გლობალურობამ, გიგანტომანიამ და მოჩვენებითობამ რომ არ გაგვიტაცოს, საჭიროა მუდამ გვახსოვდეს ცნობილი სიბრძნეც – რომ ათას სიტყვას ერთი საქმე სჯობია – და ნაკლებად ცნობილი ერთი ჭკვიანური მოწოდებაც: „იფიქრეთ გლობალურზე, იმოქმედეთ ლოკალურად."

**– მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ გაეროს სულ უფრო მზარდ კრიტიკას, რამდენად ხელეწიფება მას ნარკოდანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანად ორგანიზება-კოორდინირება და რაიმე საგრძნობი ეფექტის მიღწევა?**

– როგორც არ უნდა აკრიტიკებდნენ გაეროს მისი მოუქნელობის, სისუსტისა და არაეფექტიანობის გამო, მისი ალტერნატიული გლობალური სტრუქტურა არ არსებობს და, ჩემი მოკრძალებული აზრით, არც ამერიკა-ერაყის ომის შემდგომ თვალსაწიერ პერიოდშია მოსალოდნელი ასეთის გამოჩენა. არადა, სადღეისოდ ნარკოტიზმი, საერთოდ, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეობა იმდენად მასშტაბურია, რომ რეგიონული (მაგ., ევროპული, აზიური, სამხრეთამერიკული და ა.შ.) გაერთიანებები, მათი უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად, პრობლემას „კუდის რიკამდე", რაც არ უნდა მოინდომონ, ვერ ჩაჰყვებიან!.. არადა, სწორედ ამგვარი „საკონტინენტთაშორისო" ღონისძიებების განხორციელებაა აუცილებელი. დაგისურათებთ ავღანური ჰეროინის (ავღანეთში ოპიატები ისევე თავისუფლად კულტივირდება თუ მზადდება, როგორც კულტურული თუ ლეგალური ველური ნაყოფი ცივილიზებულ ქვეყნებში; მათ დროებით განსათავსებლად კი 1.400-მდე საწყობს ითვლიან) „მოგზაურობის" ერთ-ერთ მარშრუტზე მითითებით: იგი გაივლის შუა აზიის ქვეყნებს, რუსეთს (ან სხვა რომელიმე ალტერნატიულ მარშრუტს), უკრაინა-ბელორუსიას და აღწევს არა მარტო ცენტრალური თუ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, არამედ თვით აშშ-შიც კი!

იხ. მე-4 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 104, ორშაბათი, 21 აპრილი, 2003 წელი.

## თვალსაზრისი

**კითხვა რომ დავსვათ, რა სჭირდება ქართული სახელმწიფოს მშენებლობას უპირველესადო, ალბათ, პასუხი ერთმნიშვნელოვანი უნდა იყოს, — ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიაო. სიტყვის, აზრის, იდეის პირველობას არსად და არაფერში ალტერნატივა არა აქვს და თუ ქართული სახელმწიფოს აშენებას, დამკვიდრებას და სამომავლო განვითარებას ვესწრაფვით, ჩვენც ჯერ ქართულ სიტყვას და აზრს, ეროვნულ მემკვიდრეობას და ეროვნულ იდეოლოგიას უნდა მივმართოთ და მერე, ვისაც გნებავთ, სხვას.**

# ივანე ჯავახიშვილი – ქართული სახელმწიფოს იდეოლოგი

ამ მხრივ გადავხედოთ ისტორიასაც. ყველა სახელმწიფოს თავისი იდეოლოგი ჰყავდა: ამერიკულს — ფრანკლინი და ჯეფერსონი, ებრაულს — ჰერცლი, ჰირში და ბენ-ჰურიონი, ფრანგულ „მეხუთე რესპუბლიკას“ — დე გოლი... ახლა ძველ ისტორიულ ანალებს თუ მივმართავთ, აქაც თითოეულ სახელმწიფოს თავისი იდეოლოგები ჰყავდა: ჩინურს — კონფუცი, „ელინური ხანის“ ბერძნულს — არისტოტელე, მაკედონელი, „ოქროვანი ხანის“ ქართულს — აღმაშენებელი, ჭყონდიდელი, ათონელი. ისინი სწორედ რომ **„აშენებდნენ“** სახელმწიფოს, მაგრამ ეს „აღშენება-აშენება“ თავისებური „კონსტრუქციული იდეებისგან“ ხდებოდა მიზანმიმართული პროცესის სახით. ტყუილა ხომ არ ჰქონდათ 2 კვირის მანძილზე გამართული „საბჭო“ რუის-ურბნისში დავითს და მის „გუნდს“, — იქ 17 ასეთი **„კონსტრუქციული იდეა“** „მოიძიეს“ ძლიერი ქართული სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად...

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... დღეს ასეთი „ბჭობისთვის“ და „აღშენება-კონსტრუქციული იდეებისთვის“ ნაკლებად ვიწუხებთ თავს — „უცხო ბაძით“ გავდივართ ფონს. რა ვქნათ, ჩვენი ეროვნული ხასიათით ხომ **„უცხოთმოყვარე ვართ“** და ყველაფერს **„საუცხოოს“**, მათ შორის სახელმწიფოებრივ მშენებლობაშიც, უცხოეთში ვეძებთ. დელიკატურ ფორმებში შეგვახსენა ეს ამას წინათ თბილისში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა გერმანელმა რომან ჰერცოგმა — სახელმწიფო სამართლის აღიარებულმა ავტორიტეტმა: სხვისგან გადმოსაღები და მისაბაძი რა გჭირთ — თქვენ რომ სახელმწიფო და სახელმწიფო სამართალი გქონდათ, ევროპაში მაშინ ამაზე წარმოდგენაც არა ჰქონდათო. ხოლო ილიამ „ძნელბედობის საქართველოს“ ყველაზე დიდმა ერისკაცმა და ჭირისუფალმა, ქართული სახელმწიფოს **„დიდების დღენის აღდგინების“** თავისებური პოეტური სტრატეგია დაგვისახა პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“:

**„რაც ვყოფილვართ —
ის აღარ ვართ,
რაც ვართ — ის ნუღარ ვიქნებით!
ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც,
გზად და ხიდად გავედებით!“**

**დიდი ილია და დიდი ივანე — აი, ყველაზე საიმედო „გზა და ხიდი“ და ახალი ქართული სახელმწიფოს უპირველესი იდეოლოგები. მათ პირველებმა უჩვენეს ერს გზა ახალი საქართველოსკენ, მისი ახალი „ოქროვანი ხანისკენ“. დავაკვირდეთ ორივეს მემკვიდრეობას:**

ის, რაც ილიამ თქვა მხატვრულად თუ პუბლიცისტურად, რა სარკაზმით და აზრის სიღრმითაც ამხილა „უცხო ბაძის თუთიყუშური გადმოძახილის“ მესამედასელ კოსმოპოლიტთა იდეოლოგია, ის ივანე ჯავახიშვილმა მკაცრი აკადემიური სტილით და მიზანმიმართული მეცნიერული კვლევაძიებით „ქართველი ერის ისტორიით“ დაასაბუთა. ამ მხრივ საპროგრამო ხასიათს ატარებენ:

**„ქართული სამართლის ისტორია“, „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“, „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“, „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის“, „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, „დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში“, „მამულიშვილობა და მეცნიერება“. აქ ბევრ „კონსტრუქციულ იდეებს“ იპოვის კაცი ახალი საქართველოს აღშენებისთვის...**

**ეს ნაშრომები, ისე როგორც ილიას „ცხოვრება და კანონი“, ფაქტობრივად, „საერთო ნიადაგის“ თეორიის ყველა ძირითად პრინციპს შეიცავენ. ერთობლივად კი ისინი შეადგენენ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას, ანუ „მოოხრებიდან ქვეყნის გამოხსნისა და ახლადშენების“** (ესეც „ქართლის ცხოვრების“ მეტად ტევადი ფორმულირებაა) **აუცილებელ „კონსტრუქციულ იდეებს“. თითოეულ მათგანს, ალბათ, მონოგრაფიული პოლიტოლოგიური გამოკვლევა სჭირდება ჩვენგან, მაგრამ ამჯერად თეზისების სახით მოკლედ ჩამოვთვლით მათ — „საერთო ნიადაგის“ თეორია, რომელსაც ილია ჭავჭავაძემ ჩაუყარა საფუძველი და მისმა მიმდევრებმა განავითარეს ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით ამ ასი წლის მანძილზე, ახალი საქართველოს და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის სამუშაო პროგრამად უნდა ვაქციოთ ჩვენ ყველამ დღეს:**

I. „საერთო ნიადაგის“ თეორიის ავტორთა უმთავრესი ზოგადსოციოლოგიური პრინციპია საქართველოს ბუნებრივ-ისტორიული განვითარების შეწყვეტილი პროცესის აღდგენა და მისი შემდგომი განვითარება. ისტორია „ღვთის ნების გამოვლენაა“, ისტორიული პროგრესი კი, მისი ასახვა დროსა და სივრცეში. ამიტომ ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს ილიასთან ალტერნატივა არა აქვს.

**„ცხოვრება თვითრჯულია — იგი არ გამოიჭრება კაცისაგან მოგონილს რიკ-რიკაზედ“.**

II. პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა **„დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“**. ილიამ შემოქმედებითად განავითარა დიალექტიკის ჰეგელისეული პრინციპი — „დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი და მას რევოლუციურის ნაცვლად, ევოლუციური, მშვიდობიანი ხასიათი მისცა გარემომცველი სინამდვილის სამივე სფეროს — აზროვნების, საზოგადოებისა და სამყაროს მიმართებაში.

**„სისხლი და მახვილი ვერაფერი მეგზურია კაცთა ცხოვრების განკარგებისთვის — მხოლოდ დაპირისპირებულ იდეათა და ძალთა ბედნიერი მორიგება მიიყვანს კაცსაც და კაცობრიობასაც ჭეშმარიტებამდე“.**

III. სულიერისა და ფსიქიკურის, იდეის, სიტყვის, აზრის პირველადობასა და დიდ გარდამქმნელ ძალაში ხედავენ ილია და მისი მიმდევრები ქვეყნის ხსნას და ქართველი ერის სამომავლო გზასაც. ეროვნული სული, მისი ფსიქო-გენეტიკური კოდი უნდა დაედვას „ბალავრის ქვად“ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეოლოგიასაც.

**„ყველა გმირობა და დიდნი საქმენი მარტო სულის ღონეა და არა ხორცის“.**

IV. ქართველ ერს გენეტიკურად თანდაყოლილი და ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარებით განმტკიცებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების თავისი ეროვნული თავისებურებანი, ისტორიული გამოცდილება და ტრადიციები აქვს, რაც აუცილებლაედ გასათვალისწინებელია ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში. ეროვნული მემკვიდრეობის გამოყენებას ალტერნატივა არა აქვს ერის სულიერი და მატერიალური ყოფის არც ერთ სფეროში.

**„ახალი საქართველო მხოლოდ ძველიდგან შეიძლება აღმოვშობოთ მკვიდრად“.**

იხ. მე-6 გვ.

## საერთაშორისო სემინარი

# ნარკოტიზმი: როგორ ვებრძვით 21-ე საუკუნეში?

(მესამე გვერდიდან)

არადა, ეს უკანასკნელი ისედაც გაჯერებულია მეტწილად მისი მოსაზღვრე მექსიკის გავლით სამხრეთამერიკული კოკაინის თუ კოკის სამი „ელდორადოს“ — პერუს, კოლუმბიისა და ნამიბიის უმძლავრესი ნარკოკარტელების მიერ ნარკოკურიერების მეშვეობით შეტანილი კოკაინით!... რამდენიმე წლის წინ კი ამ ნარკოტიკებმა ევროპაშიც შეაღწია! საყოველთაოდ ცნობილია ამ რეგიონში მიმდინარე „კოკაინის ომები,“ გაეროსა და აშშ-ის ძალისხმევანი, რის შედეგადაც პერუში (მანამდე კოკის ყველაზე დიდ მწარმოებელ ქვეყანაში) ნარკოტიკების წარმოება 65 პროცენტით შემცირდა, ნამიბიაც მოათვინიერეს, მაგრამ, სამაგიეროდ, კოკაინის მწარმოებელთა შორის აბსოლუტურ ჩემპიონ ქვეყანაში — კოლუმბიაში, იგი 20 პროცენტით გაიზარდა!

ბუნებრივი ნარკოტიკების წარმოება-დამზადება თვალსა და ხელს შუა იზრდება მსოფლიოს, ფაქტობრივად, ყველა რეგიონში. ამას დაერთო ისიც, რომ გამოჩნდა ხელოვნური, ანუ ე.წ. სინთეზირებული უმძლავრესი ნარკოტიკებიც, რომელიც რუსეთში სტუდენტებმაც კი დაამზადეს!..

უახლოეს ხანებში განსაზღვრულია ცალკეულ სახელმწიფოებში უფრო ლოკალურ-კონკრეტულ ღონისძიებათა ჩატარება. საქართველოში (ჩაქვში) ამგვარი ღონისძიების ჩატარება განზრახულია მიმდინარე წლის ივნისის დასაწყისში. ასე რომ, მთლიანომაში პირადად მე პოზიტიური დამოკიდებულება მაქვს გაეროს ღონისძიებებისადმი, თუმცა, ამისდა მიუხედავად, მისი ერთი პოზიცია სემინარზე მეც „შემომეკრიტიკა“...

**— მაინც რატომ გააკრიტიკეთ გაერო?**

— გაეროს სპეციალურ დეკლარაციებში თუ სხვა მნიშვნელოვან აქტებში ნარკოდანაშაულები, რომლებიც, ცხადია, შემადგენლობით მეტად ჭრელია (ჩვენი ახალი კოდექსი, რომელიც ამ მხრივ ძირითადად შეესაბამება ევროატლანტიკურ სტანდარტებს, მათ შესახებ 15 მუხლს შეიცავს) ორგანიზებულ დანაშაულებს შორის კი მოიხსენიებოდა ხოლმე, მაგრამ არცთუ ისე გაბედულად. ამთავითვე შევნიშნავ, რომ ამას თავისი მიზეზები აქვს, რომელთაგან, ვფიქრობ, წარსულის „ინერციასთან“ ერთად, უმთავრესი მაინც ნარკოდანაშაულთა გამოვლინების სავალალო სტატისტიკაა: ამ დანაშაულის უდიდესი ლატენტურობის გამო ავლენენ მხოლოდ „აისბერგის წვეროს“ მცირე ნაწილს. კერძოდ, დაანგარიშებულია, რომ მსოფლიოში ვლინდება სულ ჩადენილ დანაშაულთა დაახლოებით 10 პროცენტი, ანუ ყოველი მეათე! ხოლო, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ნარკობიზნესი რომ წამგებიანი გახდეს, ნარკოტიკების გამოვლინება-ამოღებამ 75 პროცენტს უნდა მიაღწიოს!.. ჯგუფურ, მით უმეტეს, ორგანიზებულ ნარკობიზნესს იშვიათადღა ავლენენ. რუსეთის მონაცემებით, გამოვლენილ პირთა მხოლოდ 1 პროცენტამდე მოქმედებდა ჯგუფში! მეტ-ნაკლებად ასეა ჩვენშიც (2002 წელს რეგისტრირებულია სულ 20 ჯგუფი 41 პირის შემადგენლობით) და სხვაგანაც. არადა, წარმოგიდგენიათ ერთი პირის მიერ ჩადენილი ნარკოდანაშაული მაშინ, როცა იგი, მინიმუმ, მწარმოებელ-მიმწოდებელზე რომ არაფერი ვთქვათ, მყიდველთან ერთად, გამყიდველს მაინც გულისხმობს?! ზემოთ რომ სამხრეთამერიკული ნარკოკარტელები ვახსენე, მათ მხოლოდ კოლუმბიაში 25000-იანი კბილებამდე შეიარაღებული არმია ჰყავთ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ აშშ-ს რჩევით, კოლუმბიის პრეზიდენტმა ა. პასტრანამ ნარკობარონებს ქვეყნის „ახლებური მოწყობა“, ანუ კონსენსუსიც კი შესთავაზა, მაგრამ მათ ქვეყნის ტერიტორიის 50 პროცენტის სათარეშოდ დათმობა მოითხოვეს და, ამიტომ, „გარიგება“ არ შედგა!

გაეროს მონაცემებით, მსოფლიოში ამჟამად ნარკოტიკს მოიხმარს 180 მილიონი კაცი. ამასთან, ზრდის ტემპები კატასტროფულია. ნარკოტიკი, ხელოვნურადაც რომ არ იწარმოებოდეს, ბუნებრივადაც თავზესაყრელად მოდის მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში, რომელთა შორის საქართველოს ფრიად ხელსაყრელი გეოგრაფიულ-კლიმატური გარემო გააჩნია! მარტოოდენ ნარკომცენარეებით მდიდარი ჩუის ველი (ყაზახეთი) 145000 ჰექტარზეა გადაჭიმული! ამიტომ ნარკონედლეულის დასამზადებლად მისული ხალხისაგან დაცვა აქ უიმედო საქმეა, არც გადახვნა-გა-



დაწვაა ადვილი, და, რაც მთავარია, ლამის უკუშედეგი მოაქვს — შემდეგ წელს დამუშავებულ-განოყიერებულ ნიადაგზე იმავე ფესვებიდან თუ თითქმის „უწვადი“ თესლიდან მეტი და უკეთესი მცენარე ამოდის!.. ჯერჯერობით მხოლოდ ფიქრობენ, რომ სამკურნალო-სამრეწველო გზით მისმა გადამუშავებამ და ხალხის დასაქმებამ შესაძლოა უშველოს ამ უბედურებას! ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მდგომარეობა უმძიმესია. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ, მაგალითად, თურქმენეთის პრეზიდენტის დეკრეტი (სპეციალური კანონი არ მიუღიათ) სამართალდამცავ ორგანოებს მხოლოდ მაშინ აძლევს ეჭვის ნიადაგზე ვინმეს ბინის გაჩხრეკის უფლებას, თუ მათ მინიმუმ 5 კილოგრამი ნარკოტიკის აღმოჩენის გარანტია (!) ექნებათ. სხვა ქვეყნების სამართალდამცავებს ჯერჯერობით ურთიერთქმედების საკითხები ვერ მოუგვარებიათ, რაც ერთხელ კიდევ მეტყველებს გარეშე „ხელის“ (გაეროს და ა.შ.) საჭიროებაზე. ყოველივე ამის შედეგად კი ამ რეგიონიდან ევროპა-ამერიკისკენ შემოედინება ასტრონომიული რაოდენობის ავღანური თუ ადგილობრივი ნარკოტიკი, რომელთა ფასი ამ ქვეყნებში, ჰეროინის ჩათვლით, ძალზე მცირეა. რაც შეეხება ავღანეთს, აქ 1 კგ ჰეროინი, რომლის „შემავსებლით გამდიდრების“ შემდეგ სასაქონლო ფასი აშშ-ში 1,5 მილიონ დოლარს აღწევს, ბითუმად სულ რაღაც 5000 დოლარი ღირს! ამგვარად, არის მზარდი მოთხოვნა, არის შესაბამისი საქონელი — ცხადია, იქნება მიწოდებაც (აქაც მოქმედებს ეკონომიკური კანონები!) ამგვარი არალეგალური მიწოდების, ანუ უაღრესად მომგებიანი ბიზნესის მასშტაბურად ორგანიზება კი მხოლოდ ორგანიზებულ დამნაშავეთა კორპორაციებს — მაფიებს ძალუძთ!.. და ამ დროს, ჩემდა გასაკვირად, დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის საკითხებზე 2000 წლის აპრილში ვენაში გამართულმა გაეროს კონგრესმა და მისი გადაწყვეტილებების შესაბამისად ამავე წლის 15 ნოემბერს მიღებულმა კონვენციამ „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“, ფაქტობრივად, გვერდი აუარა ნარკოდამნაშავეობას! არადა, ამ კონვენციით გათვალისწინებულია უამრავი საგანგებო სამართლებრივი ღონისძიება (საპროცესო, ოპერატიულ-სამძებრო, ორგანიზაციული, კოორდინაციული, საკადრო და ა.შ.), რომლებიც ამგვარი „მზა“ სახით დიდად წაადგებოდა ნარკოტიზმთან ბრძოლას!.. აი, ეს არათანმიმდევრულობა გავაკრიტიკე და, სხვათა შორის, გაეროს წარმომადგენლებმა კრიტიკა დიპლომატიური „დუმილით“ მიიღეს, ხოლო სემინარის მონაწილეთაგან მხარდაჭერა გამოიხატა! თუმცა გულახდილად რომ გითხრათ, იქვე, „თვითკრიტიკის წესით“, ჩვენი ნაკლიც არ დამიმალავს...

**— რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ საქართველოს კანონმდებლობა, სამწუხაროდ, საერთოდ არ იცნობს ჭეშმარიტად ორგანიზებული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას — იგი „გაჩერდა“ „ორგანიზებული ჯგუფის“ ცნებაზე, „დანაშაულებრივ ორგანიზაციას“ და მისთანა ცნებებს კი არ იცნობს! ეს კი, რბილად რომ ვთქვათ, ძალზე ცუდია — თავისთავადაც და „შემხვედრი“ საპროცესო დებულებების (ღონისძიებების) შემუშავების თვალსაზრისითაც.

**— ბარემ აქვე კიდევ ერთხელ დავაზუსტოდ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?**

— ძალზე არასახარბიელო, უფრო კი საგანგაშო. თავად განსაჯეთ: ბოლო წლების მონაცემებით, საქართველოში ადგილზე სარეალიზაციოდ ან ტრანზიტით გასატანად ყოველწლიურად შემოდის 1 მილიარდი დოლარის ღირებულების ნარკოტიკები, მათ შორის დაახლოებით ერთი ტონა ჰეროინი, რომელთაგან მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილი, დაახლოებით 3,5 კგ ვლინდება. ოფიციალური მონაცემებით, აღრიცხვაზეა დაახლოებით 17000 ნარკოტიკების მომხმარებელი, მაშინ, როცა, შსს-ს ოფიციალური თანამდებობის პირების ცნობით, მათი რეალური რიცხვი 120 ათასსაც კი აღწევს! პროფესორ ანზორ გაბიანის ცნობით, ყოველ მეხუთე გამოკითხულ მოსწავლეს გასინჯული აქვს ნარკოტიკი! ნარკოტიკებთან დაკავშირებული რეგისტრირებული სამართალდარღვევა ბოლო წლებში სწრაფად იზრდება. ეს შეეხება საკუთრივ დანაშაულსაც. 2001-2002 წლებში, პოლიციის მონაცემებით, ნარკოდანაშაულთა გამოვლენამ მიაღწია, შესაბამისად, 1783-ს და 1855-ს. ამასთან, მათგან სასამართლომდე აღწევს და გამამტყუნებელი განაჩენით მთავრდება მხოლოდ დაახლოებით 1200 საქმე, თანაც, როგორც წესი, „მარტოსული“ მეტწილად გასაცოდავებული ნარკომომხმარებლების მიმართ!.. სასამართლოთა მიერ განაჩენის გამოტანით განხილული ყოველი მე-7 თუ მე-8 საქმე ნარკოდანაშაულზეა! სჭირდება ახლა ამ მონაცემებს რაიმე შემდგომი კომენტარი?!

ესაუბრა
**გურამ შატაიძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## დღიურებიდან

# ზომიერების დაცვა მუდამ საჭიროა, არავის აწყენს...

**26.06.2000.** ხშირად მიფიქრია – რადგანაც ბუნება, არსებობის განრიგი, ასე გვერდაუვლელად გზღუდავს, გამწყვდევს მკაცრად შემოსაზღვრულ დროში და იმის მცირე ნაწილსაც ვერ ასწრებ, რაც განზრახული გაქვს, იძულებული ხდები (ეს, უმეტესად, ჩემნაირ ნერვებაწეწილებს, ცხოვრებადაულაგებლებს ემართებათ), ხშირად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად წერო. შეიძლება ბოლოს, გარკვეული ხნის მერე, ასეთ ჩანაწერთა თემატურმა თუ განწყობილებისმიერმა დალაგებამ, თავშეყრამ ანუ, როგორც იტყვიან, ერთობლიობამ შექმნას მთლიანობის შთაბეჭდილება თუ ილუზია. ერთი რამ უეჭველია, მთავარი ხაზი, ერთი მთავარი თვისება შენი ხასიათისა თუ შეძენილი ჩვევებისა უთუოდ გამოვლენილი იქნება შენს გაფანტულ, დანაწევრებულ, ჩანაწერებში. ამნაირი მიდგომა საკუთარი მოქმედებისა და გამონათქვამებისადმი, ცხადია, ახალი არ გახლავთ და ჩვენს უკიდურესად არეულ დროში აქეთკენ სულ უფრო ბევრნი იხრებიან.

ანტონენ არტოს მემკვიდრეობაზე სიუზან ზონტაგმა, ამერიკელმა მწერალმა და ესეისტმა, იოსიფ ბროდსკის გულისხმიერმა მეგობარმა, განაცხადა, რომ ეს არის „ნაგლეჯების გიგანტური გროვა“. აშკარაა, იყო ამის თქმის საფუძველი. ვნანობ, რომ რამდენიმე წლის წინათ არ ვიყიდე არტოს თეატრალური წერილების მცირე წიგნი. ალბათ, კიდევ გამოვა გაცილებით სრული კრებულები გენიოსად და შეურაცხადად შერაცხული ამ ნატანჯი კაცისა. მისი შეშლილობა, ამ შემთხვევისას, არაა სათვალავში ჩასაგდები, როგორც, მაგალითად, პრუსტის, კოკტოს, ბარტისა და სხვათა საჩოთირო სექსუალური მიდრეკილებანი.

შეგნებული უსისტემობა, მწყობრი, დალაგებული მოძღვრების წინააღმდეგ გალაშქრება, როგორც ცნობილია, აშკარად გამოჩნდა კირკეგორის ფილოსოფიურ ნააზრევში. მისი თავისუფლად მდინარი ნაწერების კითხვას უფრო უდებ გულს, ვიდრე ჩამოძერწილ, პარაგრაფების სალტეებში მოქცეულ ტომებს დიდი, სახელმოხვეჭილი ფილოსოფოსებისა. ესეც, ალბათ, დრომ მოიტანა, მაგრამ არიან გენიალური მოაზროვნენი (აქ მხოლოდ შოპენჰაუერის დასახელებაც იკმარებდა), რომელთაც ყოველნაირად ხელეწიფებათ წერა.

ზომიერების დაცვა მუდამ საჭიროა, არავის აწყენს. ეს გუმანით, ტანითაც უნდა იგრძნო, გონით ჭვრეტას სხეულიც უნდა მიაშველო. შეიძლება არ მიჰყვებოდე რაიმე მკაცრად შედგენილ გეგმას, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს – დაგერღვეს აზრის მთავარი, გამჭოლი მიმართულება; თავს ყველა შემთხვევაში უნდა ფლობდე, მაგრამ არც ბუნებრივად მოძალებული ფანტაზიის შეზღუდვა, ფრთების შეკვეცა ივარგებს. ესეცაა – ფორმის გრძნობა არასოდეს არ უნდა დაკარგო. ქმნილებას, ნაწერს გარშემოწერილობა, გამოკვეთილი კონფიგურაცია ანიჭებს სიმკვრივეს, გამძლეობას. ეს თუ არ გაითვალისწინე, ჩანაფიქრი, განაზრახი ხელში ჩაგეშლება.

**09.07.2002.** მას მერე ორი კვირა იქნება გასული. ზედიზედ დიდი, თავსხმა წვიმები იყო. საკონდიტროებად და კაფეებად ქცეულ ჩვენ ქუჩაზე, ტროტუარის განაპირას, ერთი კაფე-რესტორნის წინ, სხეულზე სილაშემხმარი მკვდარი მერცხალი დავინახე; გაჭუჭყიანებულ თეთრ მკერდსა და დაწყობილ გრძელ კუდზე ვიცანი. შევწუხდი. საბრალო რომელიმე გაბლანდულ მავთულს შეეჯახებოდა იმ თქეშში. ზაფხულის ცაზე, ქალაქში, ბოლო ათი-თხუთმეტი წელიწადია, მერცხალი თითქმის არ ჩანს და გათენებიდან გვიან საღამომდე ფრთებ და ნისკარტმოკაუჭებული შავ-შავი ნამგალები ქლივიან.

იმ გაციცქნულ მერცხალს, გულაღმა რომ იწვა, ალბათ, რამდენჯერმე კი დასცალდა თბილისის ცაში სრიალი, წრეების დარტყმა, მაგრამ გაბმული, განუჭვრეტელი წვიმები შეაჭირვებდა, მზესა და ლაჟვარდში ვერ გაავლებდა აკრიჭინებულ, ჭიკჭიკა ყელს. ბალახში მაინც ჩავარდნილიყო; ასფალტზე ეგდო და გვერდიდანაც მანქანის მურისფერი, ბლაგვი ბორბალი ეფარებოდა. იმდენად გამხდარი იყო, ჭია არ დაეხვეოდა და არც მშიერი კატა დააკარებდა პირს. ბოლოს საღებავშემხმარი ფუნჯივით გაფშიკდებოდა, სანამ მასავით გაჩხინკული მეეზოვე ქალი ცოცხს არ გააყოლებდა.

ვინ მოსთვლის, რამდენი უბედურება ხდება ამ ცოდვილ ქვეყანაზე და ბევრს მაინცდამაინც მე უნდა გადავეყარო, ვითომ სატანჯველი და საწუხარი სხვაც არ მყოფნიდეს. იმ ფანჯარასთან, სადაც დაღუპულ მერცხალს მოუწია ჩამოვარდნა, დაახლოებით, ოცი-ოცდახუთი წლის წინათ ჩემი ახლობლები – მარინა გაბიძაშვილი და მისი ბიძაშვილი, რეჟისორი ლეილა გორდელაძე გადმოდგებოდნენ ხოლმე, იქ ცხოვრობდნენ. მიყვარდა მათთან სტუმრობა და საუბარი. ორივენი ბოლო ორ წელიწადში დაიხოცნენ. მარინა, ჩემი თანატოლი, დავრდომილი იყო, ვეღარ დადიოდა; საცხოვრებლად მთაწმინდის უბანში გადასული, ოთახში იჯდა გამოკეტილი. მეუღლე, ძალიან კარგი ადამიანი, მეცნიერი, ბიოლოგი, რამდენიმე წლით ადრე მოუკვდა, ერთადერთი ქალიშვილი დარჩა. ლეილას, სიცოცხლით სავსე, მრავალმხრივი ნიჭის ქალს, ხერხემლის კიბომ მოუღო ბოლო. რამდენიმე თვე იქნება გასული, დავასაფლავეთ. მოგონებათა მშვენიერი წიგნის დაწერა კი მოასწრო. იქ აქვს აღწერილი (სევდიანად და ზოგჯერ მხიარულადაც) განუკითხავი რეპრესიების გამო მასავით უდედმამოდ დარჩენილი უმწეო არსებების, მთელი თაობის, უმძიმესი და მაინც ძალზე შინაარსიანი ცხოვრება.



ლეილას მიერვე შერჩეული და კომპოზიციურად შეკრული რამდენიმე თავი, ჩემი მოკლე წინასიტყვით, გასული წლის „ცისკრის“ ბოლო ნომერში დროულად, ჩვეული გულისხმიერებით დაბეჭდა ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა ზაურ კალანდიამ, ნამდვილად სამადლო საქმე გააკეთა. ცოცხალს კი მიუსწრო, საწყალს, იმ ნომერმა, რამდენადაც შეეძლო, გაიხარა. ერთი ახლობელი ადამიანის, მასავით რეპრესირებული ოჯახის შვილის, ნანული პაპავას ხელით გავუგზავნე. მისი ნახვა იმხანად არ შემეძლო, ძლივს ლაპარაკობდა და საშინელმა სენმა იმდენად შებოჭა, მერე, როცა თავისი მემუარების ახალდასტამბული წიგნი – „დიდი და პატარა ამბები“ – იმავე ნანული პაპავას ხელით გამომიგზავნა, დაუძლურებულმა ზედ ვერაფერი წააწერა. მანამდე, როდესაც ის ჟურნალი მივაწვდინე, როგორც ვთქვი, ძალზე ესიამოვნა. მაშინ ტელეფონით დაველაპარაკე და საცოდავმა ძლივს, ენის ბორძიკ-ბორძიკით მითხრა (ახლაც მიკვირს, როგორ მოიკრიბა საამისო ძალა და რანაირად განეწყო თუნდაც სევდიანი ხუმრობისათვის), იცოდე, ჩემ ქელეხში შენ პირველი კაცი უნდა იყოო.

მალე იმ ქელეხის სუფრაზე, მთელი თბილისისათვის საყვარელმა პიროვნებამ, ჩვენმა საუკეთესო ფსიქიატრმა გაიოზ შარაშიძემ სადღეგრძელოში ჩაურთო, ლეილას შენ უზომო სიხარული მიანიჭე და ამ ქვეყნიდან შენით დიდად კმაყოფილი წავიდაო. გაიოზის სიტყვებზე ცრემლები მომებალა. ახლაღა ვფიქრობ, სად წავიდა მერე ეს მუდამ მოუსვენარი, ბობოქარი ქალი, აწი სადღა შევეხმიანო?!. ლეილასგან ბევრი უცნაური რამე მაქვს მოსმენილი. ოდესმე ზოგ რამეს (გიორგი ბაქანიძესთან მის მეგობრულ ურთიერთობას, ერთ კომიკურ სიტუაციასაც) ალბათ, აღვადგენ. შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს – ყველაფერი, რაც აქ მოვყევი, გზის პირას უსულოდ დავარდნილმა, მკერდზე სილაშემხმარმა და ფიტულად ქცეულმა მერცხალმა გამახსენა.

* * *

**02.06.2002.** სასაფლაოებზე გასვლა არა, მაგრამ, უკვე იქ მყოფს, საფლავების თვალიერება კი მიყვარს. ბევრ ყურადღებამისაქცევს, დასამახსოვრებელს გადავაწყდები ხოლმე.

ეს ოცი წლის წინანდელი ამბავი მაინც იქნება. საბურთალოს მთავარ, დიდალაყაფიან სასაფლაოზე მივყვებოდი პროცესიას, რომელიღაც ახლო ნაცნობს მარხავდნენ. მაშინ, ცხადია, ვიცოდი, ვის მივაგებდი იმ უკანასკნელ პატივს. მერე და მერე იმაზე ბევრად მნიშვნელოვანი შემთხვევები და მოვლენები გამორეკა ჟამმა თავიდან. ის წუთი კი არასგზით არ დამავიწყდება, მივიხედე და შევიწროებული ბილიკის მარჯვენა მხარეს ერთი პროვინციული შესახედაობის თუნუქით გადახურული, საწვიმარებჩამოყოლებული საფლავი დავინახე. იქეთ გადავინაცვლე, ვერცხლისფრად შეღებილი ბადის მიღმა, მარმარილოს ლოდზე საკმაო ზომის, გადიდებული, შავ ჩარჩოში ჩასმული ფოტო იყო აყუდებული; მსუქანი, ასე, ორმოციოდე წლის კაცი ტალავერის ძირში დაბალ სკამზე იჯდა, ეტყობოდა, მუშაობის მერე ისვენებდა. ტოტებაგორგლილი შავი შარვალი და თეთრი, უმკლავებო „მაიკა“ ეცვა. ორ თითში გარჭობილი ანთებული სიგარეტი ტუჩებთან ჰქონდა მიტანილი და უცნაურად გაღიმებულს ძნელად ამოსაცნობი ნაღვლიანი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს აპარატის ობიექტივს კი არა, თავზე წამომდგარ სიკვდილს უყურებდა გამოციებულ თვალებში, მაცალე, ამ სიგარეტის მოწევა დამამთავრებინე და მერე, რაც გინდა ჰქენიო. გავოგნდი, იმდენად შეუთავსებელი იყო ის ყოველდღიურობის ამსახველი, შინაური სურათი საფლავთან, მაგრამ, ამავე დროს, უხდებოდა კიდეც, რაღაცას გაგებინებდა. შეიძლება ის საცოდავი იმ წუთას ახალი დანაყრებული იყო; მწეველებს ნაჭამზე უყვართ გაბოლება. საფლავის ბინადარს იერიც სოფლური ჰქონდა, ჩვენებურ ყაიდაზე, ალბათ, ვალიკოს, მიტუშას ან რაღაც ამდაგვარ სახელს ეძახდნენ. მეზობელს დახმარებაზე რომ არ დაზარდებოდა, ისეთ კაცს ჰგავდა. წარმოშობით, თუ რამე გამეგება, დასავლეთ საქართველოდან უნდა ყოფილიყო, უფრო იმერეთიდან, ახლა ვეღარ ვიხსენებ, დედ-მამა დასაფლავებული ჰყავდა თუ არა იმავე გადახურულში. სამწუხაროდ, ფოტოზე აღბეჭდილი მიცვალებულის გვარ-სახელიც არ დამამახსოვრდა. მოგვიანებით, ხანი რომ გამოხდა, სახეც დამეკარგა თვალთაგან იმ კაცისა (სურათი მზისაგან გახუნდებოდა ან შუშა გატყდებოდა და რომელიმე ნათესავი წაიღებდა). საფლავის ადგილი დაახლოებით მახსოვს, იმ მიდამოებში იყო, სადაც ამჟამად გენიალური ქართველი მომღერლის ჰამლეტ გონაშვილის სანახევროდ გაძარცვული სამარეა (ორნამენტად, სიმბოლოდ გამოყვანილი ბრინჯაოს ვაზის გამოსახულება ააგლიჯეს არაკაცებმა კედლად მდგარ მარმარილოს ფილას და ახლა გამოძრობილი სამაგრის ნახვრეტებია დარჩენილი; ნადავლი, აშკარაა, ფერადი ლითონების მიმღებ რომელიმე პუნქტს ჩააბარეს, რომ ამაში იმ თახსირებს ფული აეღოთ). ნამდვილად შეიშლები, სანამდე შეიძლება დაეცეს ზნეობა, შეიბღალოს ყველაფერი წმინდა. მაინც რამდენი გულდასაწყვეტი და საშინელი რამ ხდება ამ ცოდვებით გაძეძგილ დედამიწაზე... რომელი ერთი გავიხსენო, მოვიგონო?! სურვილი მაქვს, ყველაფერი აღვნუსხო, მაგრამ მიხვედრილიც ვარ – ამ წადილს შესრულება არ უწერია. რამდენიც არ უნდა ვეცადო, დავიწყებას მაინც ვერავის და ვერარას გადავარჩენ, ყოველივე ამაოების შავ უფსკრულში დასანთქავად არის განწირული. სხვა გზა არ ჩანს – უზენაესი ძალა, ღვთაება, სულის უკვდავება უნდა იწამო, თორემ ადამიანის სახეს ვერ შეინარჩუნებ, გადაგვარება არ აგცდება.

* * *

**25.06.2000.** ჩვენი სახლის მეორე სართულზე მცხოვრები მეზობელი, ახალგაზრდა ძალზე კეთილი ბუნების ბიჭი, ჩემი ვაჟის ნათლია – ტანმაღალი, ნიჭიერი სპორტსმენი, კალათბურთელი ლევან მგალობლიშვილი ამ სამი დღის წინ დიღომში შესწრებია თუ როგორ გაიტანა მანქანამ ძაღლი, რომელსაც პატარა ლეკვი მისდევდა. საცოდავმა სხეულით იგრძნო მის თავს დატეხილი უბედურება თუ რა იყო, საბრალობლად აწკმუტუნებულა. ლევანს შესცოდებია უმწეო ლეკვი, თავის მანქანაში ჩაუსვამს და წამოუყვანია. უფიქრია, მეზობლები საზიაროდ გავზრდითო. ერთი ღამე მესამე სართულზე ყოფილა, ზუბიაშვილებთან. დილით იმათ (ალბათ, შეწუხდნენ) ეზოში ჩაუყვანიათ, ყველამ მოუაროსო. გათენებისას (ეზო პატარაა) კინაღამ გაუსრესია რომელიღაც მანქანას და გულის შემაწუხებელი წკავწკავი ასტეხა. ელენემ სთქვა, ეზოში დაიღუპებაო, ჩავიდა და ამოიყვანა, კარტონის ყუთში ჩასვა, რძე და წყალი ჩაუდგა. მეორე დღეს ექიმთანაც წაიყვანა, გაასინჯა.

მშვენიერი ძუ ლეკვია, ფრინველზე მონადირე, ყავისფერი, მკერდი, კუდის ბოლო და თათები თეთრი, ჯიშიანი აქვს. სასაცილოა, გრძელტუჩა, ნამეტანი ცოცხლად მოძრაობს და კიდევაც იყეფება. ზრდილობაზე ცოტა მწყრალადაა, სადაც მოუნდება, იქ შარდავს, პატარ-პატარა გუბეებს აწინწკლავს პარკეტზე. ყუთში დიდხანს არ ჩერდება, სულსწრაფია, თავისებურად ხრაგუნობს. წუხელ მთელი ღამე ყავყავებდა (ეტყობა, შესცივდა) და ოთახებში დაფორთხავდა. დილით ხელი გადავუსვი თავსა და ზურგზე, მოვეფერე და ესიამოვნა, გაიტრუნა, თითებზე ნაზად დამიწყო კბენა. ნემსებივით აქვს წაწვრილებულ-წამახული კბილები. ჩვენი შავი კატა, მუნანო, შემკრთალი, გაოცებული უმზერს, მისი მიახლოებისას იძაბება და ბრაზიან, საგანგაშო ბგერებს გამოსცემს, აფრთხილებს, ახლოს არ მოხვიდე, არ მომეკაროო. ფრინველი და კატა რომ არ არის, აშკარად იცის, შეიძლება ეჭვიანობს კიდეც, რომ ყურადღება არ დააკლდეს. სახელი ჯერ არ დაგვირქმევია – სავარაუდოდ ხან ჩიპოს, ხანაც – ზუზულიკას ვეძახდით, არ ვიცით, რომელი სახელი შერჩება. ბედი ჰქონია, ჩვენ ეზოში რომ მოიყვანეს. ელენეს ცხოველები უზომოდ უყვარს და ახლაც თავს ევლება ამ გაუმაძღარ, საჭმელზე მუდამ თვალებდაცეცებულ და საყვარელ ლეკვს, გასაოცრად მალე რომ იზრდება. ბაქარიც დიდად გაიხარებს, თელავიდან რომ დაბრუნდება (იქ, სხვა ბავშვებთან ერთად ჩემმა მეგობარმა, საუკეთესო ადამიანმა, კალათბურთის გამოცდილმა მწვრთნელმა თამაზ ოქრუაშვილმა წაიყვანა; ბიჭმა თვითონ დამირეკა ერთხელ სხვისი მობილური ტელეფონით და მითხრა, რომ იქაურობით ძალიან კმაყოფილია).

უგულო ადამიანები არც ისე ცოტანი არიან ამ ქვეყნად და შემთხვევას არ გაუშვებენ, რომ თავიანთი არასახარბიელო სახე წარმოაჩინონ. ერთმა შუახნის ქალმა, ჩვენ ეზოში მცხოვრებმა, მეორე მეზობელს, მანქანიანს, უთხრა, ეს ლეკვი ჩუმად წაიყვანე და სადმე გადაკარგე, გადააგდეო (ეს პირველ დღესვე მომხდარა). კიდევ კარგი, მხარი არავინ აუბა იმ პიროვნებას, გულქვას, ღმერთისგან დასჯილს.

დღეს მამაჩემის გარდაცვალების დღეა. ხსომებით სულ მახსოვს, რა დამავიწყებს, მაგრამ საფლავზე ვერ ავედი – გალაკტიონ ტაბიძის სულის კურთხევა შესდგა (ხუტა ყუფარაძე იყო ამ დიდებული და ამაღელვებელი ამბის მოთავე; მთელი წელიწადი დარბოდა ამის თაობაზე, საჭირო მასალებს აგროვებდა) სიონის ტაძარში, მერე მთაწმინდაზე და ბოლოს მშვენიერი, უხვი სუფრა გაიშალა ალექსანდრეს ბაღში, ლუდის რესტორანში. ჩვენმა ოქროპირმა დიტო კიკვიძემ ითამადა მისებურად, ანუ შეუდარებლად. კარგადაც იმღერეს იქ მყოფებმა, ხუტას ახლობლებმა. გურამ ბენაშვილი და ზაალ ბოტკოველი ისხდნენ ჩემ გვერდით. იქვე იჯდა ვახტანგ ჯავახაძეც. მე და ვახტანგი ერთად ავდექით და წამოვედით სუფრიდან. დაახლოებით საღამოს რვა საათი იქნებოდა. ნამდვილად სასიამოვნო იყო იმ ხალხში ყოფნა, არაჩვეულებრივი რიტუალის ჩატარება. საქართველოს პატრიარქმა დიდი პატივი მიაგო გალაკტიონის ხსოვნასაც და, საერთოდ, ქართულ მწერლობას; შუადღისას ტაძრის უკან ეზოში, მთელ სიგრძეზე, მაგიდები იყო გამწკრივებული. ხორაგი ბლომად ელაგა, საუცხოო სასმელი წითელი ღვინოც იდგა. ჩვენ მალე წამოვედით იმ სუფრიდან. არა მგონია, იქ მყოფთაგან ვინმეს დაავიწყდეს ეს დღე, რომელსაც გალაკტიონ ტაბიძის ღვთაებრივ პოეზიასა და პიროვნებაზე უსაზღვროდ შეყვარებულ კაცს უნდა ვუმადლოდეთ.

**ემზარ კვიტაიშვილი.**

სურათზე: ლეილა გორდელაძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## თვალსაზრისი

# ივანე ჯავახიშვილი – ქართული სახელმწიფოს იდეოლოგი

(მეოთხე გვერდიდან)

V. „ქართული წეს-წყობის“ ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ელემენტი ქართული სამართალია. ქართული სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაეყრდნოს არა უცხო ქვეყნების სამართლიდან ნათარგმნ და გადმოქართულებულ კანონებს, არამედ საუკუნეებში გამომუშავებულ და თანამედროვე ეპოქისადმი ადაპტირებულ სამართლებრივ ნორმებს თუ კანონებს. სამართლის წარმოებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვეულებით სამართალს, რომლიდანაც ამოზრდილია საერთოდ, ქართული სამართალი:

**„ჩვეულებითი, ანუ, ბუნებითი სამართალი უფრო მისაღებია ხოლმე ხალხისათვის, რადგან იგი თვითონ ხალხისაგან არის დადგენილი და დაკანონებული“.**

VI. **„ერი, როგორც ისტორიით შედუღებული ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა კრებული“**, მაშინ მიაღწევს სულიერ და მატერიალურ აღმატებულებას, როცა ერთიან პოლიტიკურ და სოციალურ ორგანიზმად გაერთიანდება. ეს ქართველი ერის ისტორიული განვითარების სტრატეგია და მაგისტრალური გზაა.

**„ერი უძლეველია საერთო ნიადაგზე დგომით, ერთნებობითა და თანადგომით, ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენებით“.**



VII. ქართული სახელმწიფოებრიობის იდეალი „ოქროვანი ხანის საქართველოა“. მისი სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპების აღდგენა-აღორძინება-გათანამედროვეობა დღევანდელი გარდამავალი პერიოდის სტრატეგიული ამოცანა და უმთავრესი პოლიტიკური მიზანია. ერის დღევანდელმა ინტელექტუალურმა ძალებმა უნდა შესძლონ შესატყვისი პოლიტიკური პლატფორმის შემუშავება და განხორციელება.

**„მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია“.**

VIII. **„საქართველოს დიდების დღენის აღდგენას“** მაშინ შევძლებთ, მაშინ ექნება ჩვენს ქვეყანას მომავალი, როცა ყველას ამ ძველი დიდების დღენის ნოსტალგია-მონატრების „სენი შეგვეყრება“, მისი „სურნელებით ვისუნთქებთ“, მისით „ვიარსებებთ და ვისულდგმულებთ“. მხოლოდ დავითის „ძალისხმევის“ და თამარ მეფის „სათნოების ხაზის“ გამთლიანება-გათანამედროვეობით შევძლებთ ქართული სახელმწიფოს ფორმირებას და მის შემდგომ სტაბილურ განვითარებას.

**„ყველა ადამიანი, ერი და ბერი, თავისი დიდი წინაპრების გზა-კვალს უნდა ერთგულებდეს“.**

IX. **„ძნელბედობით წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წეს-წყობის აღდგენა“** გარდამავალი პერიოდის სტრატეგიაა. მხოლოდ ხალხის დიდი პოტენციური ენერგიის ამოქმედებით და მიზანმიმართული წარმართვით შევძლებთ წინსვლას ეროვნული ცხოვრების ყველა სფეროში. ამის მიღწევის ერთადერთი გზა თვითმმართველობაა.

**„ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმმართველობაშია“.**

X. „ქართული წეს-წყობის“, მომავალი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური იდეალი **„ხმლისა და გუთნის საქართველო და სამეფო გვირგვინია“**. კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფო წყობილების დამყარება ეს საქართველოს ბუნებრივ-ისტორიული განვითარების, „ისნის კარავის“ ინსტიტუტის თავისებური აღდგენა და გაგრძელებაა. მსოფლიოში არსებული სხვა კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფოების მსგავსად, კონსტიტუციური მონარქია საქართველოში ეროვნული ერთობის მიღწევის, ძველ ისტორიულ ფესვებთან დაბრუნების, ეროვნული სულის, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების განმტკიცების, ქვეყნის სტაბილური და მშვიდობიანი განვითარების გარანტიაა.

**ივ. ჯავახიშვილი სიამაყით წერდა „ქართველი ერის ისტორიაში ბაგრატიონებს სრულიად განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა აქვთ. თვით ევროპულ დინასტიებთან შედარებითაც კი, ისინი გაცილებით ახლოს იდგნენ ხალხთან, მის ჭირ-ვარამთან, გამოირჩეოდნენ დემოკრატიული სულისკვეთებით და სოციალური პასუხისმგებლობით“.**

XI. უნდა აღსდგეს საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის ძველი ისტორიული სქემა: სოფელი-თემი-მხარე, აი, ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარებით შობილი ყველაზე ოპტიმალური ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დარეგიონება, რაც ბოლოს მოუღებს ახლო წარსულის მეტროპოლიისაგან თავსმოხვეულ მკაცრად ცენტრალიზებულ ბიუროკრატიულ სტრუქტურებს და მმართველობას, – კორუფციისა და მაფიოზური კლანების მთავარ წარმომშობ წყაროს ჩვენს ქვეყანაში. ეს სანახევროდ მოსპობს კორუფციასაც და არსებითად გააიაფებს მმართველობასაც.

**„კარგად უნდა გავიგოთ და დავიმახსოვროთ – ყველა სოფელს, თემსა და მხარეს თავისი განუმეორებელი იერ-სახე აქვს და ამეების დაკარგვა სიკეთეს არას მოგვიტანს“.**

XII. ქართული სახელმწიფოს მმართველობითი სისტემა უნდა აიგოს უნიტარიზმისა და ფედერალიზმის პრინციპთა გარკვეული გასაშუალებით, მათ შორის თავისებური „ბედნიერი მორიგებით“. უნიტარიზმი და ფედერალიზმი ურთიერთგამომრიცხავი პრინციპები კი არ არიან, არამედ ურთიერთშეთავსებადნი. ფართო ადგილობრივ თვითმმართველობასა და მხარეთა ავტონომიურ მმართველობასთან ერთად, მკაცრად და ნათლად უნდა განისაზღვროს საერთო-ეროვნული ინტერესები და ფუნქციები – ქვეყნის უსაფრთხოება და თავდაცვა, საგარეო-პოლიტიკა, საფინანსო-საგადასახადო, საბაჟო, ეკოლოგიური და დემოგრაფიული პოლიტიკა ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა.

**„ყველა ადგილობრივნი საქმენი ადგილებზევე უნდა წყდებოდეს, გარდა საერთო-საქვეყნოსი“.**

XIII. ქართული სახელმწიფოს საკანონმდებლო ხელისუფლება შედგება 2-პალატიანი „ერთა საბჭოსაგან“. „ერთა საბჭოს“ პირველ პალატას ქვეყნის მთელი მოსახლეობის, ხოლო მეორეს – მხარეთა დეპუტატები წარმოადგენენ. „ერთა საბჭოს“ ორივე პალატის დეპუტატთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 100-120 კაცს, ხოლო ხელფასი – საერთო-საშუალო დონეს. ქვეყნის ცალკეულ მხარეებს ჰყავთ 1-პალატიანი „ერთა საბჭო“ სოფლებისა და თემების პროპორციული წარმომადგენლობით.

**„საპარლამენტო მმართველობა არის ყველაზე უპრიანი ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისათვის. ინგლისი ამ მხრივ ყველასთვის მისაბაძია“.**

XIV. ქართული სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს „ერთა საბჭოს“ მიერ დამტკიცებული მთავრობა, რომელიც ანგარიშვალდებულია მხოლოდ და მხოლოდ მის წინაშე. მხარეთა მთავრობებს ირჩევს მხარეთა „ერთა საბჭო“, ხოლო თემისა და სოფლის ხელისუფლებას – ადგილობრივი საკრებულოები.

**„ერთა საბჭო ერს ერთიან ძალად და ორგანიზმად ჰკრავს“.**

XV. სასამართლო ხელისუფლებას ადგილებზე წარმოადგენენ მოსახლეობის მიერ არჩეული მოსამართლეები. თითოეულ სოფელს თავისი მოსამართლე და აღმასრულებელი (მამასახლისი) ჰყავს, რომლებიც, ისე როგორც მასწავლებლები, ექიმები, პოლიციელები, გადასახადის ამკრეფნი და ა. შ. ხელფასს ადგილობრივი ბიუჯეტიდან იღებენ.

**„ადგილზე ყველაზე უკეთ იციან თავიანთი სალხინებელი და საჭირვებელიც“.**

XVI. ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველია მრავალწყობიანი სამეურნეო წყობა მიწაზე საკუთრების 5 ტრადიციული ეროვნული ფორმით: 1. კერძო-საკომლო; 2. სასოფლო-სათემო; 3. სახაზინო; 4. საეკლესიო-სამონასტრო და 5. ხიზნური (დროებითი) მიწათმფლობელობა. მიწაზე გადასახადების, ისე როგორც სხვა მოსაკრებლების ორი მესამედი ადგილზე რჩება, დანარჩენი კი ცენტრალურ ბიუჯეტში ირიცხება.

**„მიწა ქართველი კაცის სიმდიდრისა და სიძლიერის უპირველესი წყაროა. ჩვენი თვალი და ყური, აზრი და გონება ჯერ სოფელსა და გლეხობას უნდა მივაპყროთ“.**

XVII. ეროვნულ ეკონომიკას, როგორც რეგიონულ ეკონომიკათა თავისებურ კონგლომერატს, თავისი პრიორიტეტები და ეკონომიკური სტრატეგია უნდა გააჩნდეს. საქართველოს პირობებში ეს ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების აგრარულ-ინდუსტრიული სტრატეგიაა.

**„როგორც გინდა არ უნდა მოეძალოს ინდუსტრია საქართველოს, იგი მაინც „მიწისა და გუთნის“ ქვეყნად უნდა დარჩეს“.**

XVIII. ქართველი ერის ხასიათი და ისტორიულად მომდინარე ცხოვრების წესი ყოველთვის მიწასთან და სოფელთან იყო დაკავშირებული, ხოლო ერის ძირითადი მწარმოებელი ძალა **„ჩვენი შრომისმოყვარე და გონებაგახსნილი გლეხკაცობაა – ჩვენი ეროვნული იმედების სული და გული“**. ამიტომ ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ყოველნაირად შევუწყოთ ხელი სოფელთან და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამრეწველო დარგების (გადამამუშავებელი მრეწველობა, ენერგეტიკა, მსუბუქი მრეწველობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, მცირე და სამთო მექანიზაცია), განვითარებას.

**„მანქანები და ელექტრონი საქართველოს სამოთხედ გადააქცევს“.**

XIX. მთა ისტორიულად ყოველთვის იყო საქართველოს პანაცეა – ქართველი ერის გადამრჩენი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც. მთის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინება და შემდგომი განვითარება ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ქვეყნის ტერიტორიის 80 პროცენტი მთა-გორიანია და დღეს აქ შექმნილმა ვაკუუმმა, მისი განქართულების პროცესის შემდგომმა გაგრძელებამ და ურბანიზაციამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს საქართველოს და ქართველი ერის სამომავლო განვითარებას.

**„მთა მარად იყო და კვლავაც უნდა დარჩეს ქართული წეს-წყობის ბალავერის ქვად“.**

**XX. „კომლი ძველ საქართველოში წარმოადგენდა არამცთუ სამეურნეო სხეულსა, არამედ საზოგადოებრივსაც. ყოველიფერი – შრომა, ბეგარა, გადასახადები, სოფლის მართველობა, ჯარში გაწვევა, კომლზედ იყო გათვლილი“.** სისხლის ნათესაობაზე დაფუძნებული კომლის ინსტიტუტის სამეურნეო და საზოგადოებრივი ფუნქციის, **„კომლის თავის“, „გუთნის დედის“, „კომლეულთა“** და **„ხოდაბუნების“** ძველი საამხანაგო-კორპორაციული ტრადიციების აღდგენა და გათანამედროვეობა წარმოადგენს სოფლის თვითმმართველობის, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მართლწესრიგის, განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პრობლემათა გადაწყვეტის აუცილებელ წინაპირობას.

**„კომლი და „საამხანაგო ხოდაბუნური გაერთიანებანი“ საქართველოს მომავალია“.**

XXI. საქართველო აქტიურად უნდა ჩაებას გლობალური და რეგიონული ინტეგრაციის მიმდინარე პროცესებში, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ფორმირებაში.

**„ჩვენდა სასახელოდ, ქართველი კაცისთვის არასოდეს უცხო რამ ხილი არ ყოფილა ზოგადკაცობრიული იდეალები და ღირებულებანი“.**

XXII. ეროვნული და რელიგიური შემწყნარებლობა ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარების და ეროვნული ხასიათის ორგანული ნაწილია. „ოქროვანი ხანის საქართველოს“ იმანაც მოუპოვა პრესტიჟი და ძლიერება, რომ იგი სხვა ქვეყნებიდან დევნილთა საიმედო თავშესაფარი გახდა.

**„ქართველს, მისდა სასახელოდ, სიძულვილი არ შეუძლია... სიძულვილის წილ სიყვარული – ქართველი კაცის დიდბუნებოვანობის არსია“.**

XXIII. ქართულ სახელმწიფოს კეთილმეზობლური ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მსოფლიოსა და ევრაზიული სივრცის ყველა ქვეყანასთან, მაგრამ მათგან განსაკუთრებით კავკასიის ქვეყნებთან. ისტორიულადაც საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარება ორგანულად იყო გადაჯაჭვული კავკასიასთან და თვითონ „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდგან არეგაწამდე“ საქართველოც ხომ, ფაქტობრივად კავკასიური სახელმწიფო, თავისებური **„კავკასიის შეერთებული შტატები“**, თუ შვეიცარიის **„კონფედერაციის“ მსგავსი** პოლიტიკური წარმონაქმნი იყო. პოემაში „ქართვლის დედა“, ილიამ შესანიშნავად გამოხატა კავკასიელ ხალხებთან ქართველი ხალხის სოლიდარობის იდეა.

**„საქართველოსა და მთელი კავკასიის თავისუფლება“ – ასეთი უნდა იყოს დღესაც ჩვენი იდეალი.**

XXIV. ეროვნული სახელმწიფოს შექმნა ისედაც რთული და წინააღმდეგობებით სავსე პროცესია, მით უმეტეს, გლობალიზაციის პირობებში, როცა უმსხვილესი საერთაშორისო კორპორაციები მიისწრაფვიან მთელი მსოფლიო თავის გასაღების ბაზრად აქციონ. კაპიტალიზმის ფულად-სასაქონლო ურთიერთობის ეს კანონზომიერება ილიას დროსაც ჩაისახა. **„უფულო ერი ფულიანის საძოვარია, მისი საცხოვრისია“** – წერდა იგი. კაპიტალიზმის ალტერნატივად ილია **„ქართულ წეს-წყობილებას“** და საკომლო-სასოფლო კორპორაციათა ერთიან ეროვნულ სისტემას – **„ხოდაბუნურ ამხანაგობებს“** სახავდა, როგორც ეროვნული ეკონომიკის ფორმირების მაგისტრალურ გზას.

**„ჩვენს იქით ჩვენი ხსნა მხოლოდ ტკბილი სიზმარია“** – ილიას ეს მარტივი, მაგრამ გენიოსური მოწოდება-ლოზუნგი ჩვენი გზამკვლევი უნდა გახდეს დღესაც.

„საერთო ნიადაგის“ თეორიის ამ პრინციპებიდან ბევრი, ალბათ, გარკვეულ დახვეწასა და შემდგომ დამუშავებას თხოულობს, მაგრამ ერთი კი ცხადზე ცხადია: ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის მიერ ძიებულ და დადგენილ-დაკანონებულ ამ სამართლებრივ, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პრინციპებს, ახალი საქართველოს მათეულ გააზრებასა და ხედვას სათანადო ძალისხმევა და პოლიტიკური პასუხისმგებლობით მიდგომა სჭირდებათ ჩვენგან. მათგან ბევრი შეიძლება შორეული პერსპექტივის საქმეა (ვთქვათ, კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფო წეს-წყობილების შექმნა), მაგრამ ბევრიც გადაუდებლად გასაკეთებელია.

**აი, „ტაძრისაკენ“ მიმავალი ერთადერთი ჭეშმარიტი გზა, გზა, რომელიც ორმა დიდმა ერისკაცმა გვიანდერძა. რაც მალე დავადგებით მას, მით უკეთესი ჩვენთვის.**

ომარ გოგიაშვილი,
ელგერდ ბატიაშვილი.

## მსოფლიო შტრიხებში

### ყველაზე უძველესი პროფესია?

**ოდითგან აღიარებულია, რომ ყველაზე უძველესი პროფესიაა პროსტიტუცია, შემდეგ კი მოდის ჟურნალისტიკა.**



**მაგრამ უკრაინელმა არქეოლოგებმა დაამტკიცეს, რომ ეს მოსაზრება მცდარია და რომ ყველაზე ძველი პროფესია სტომატოლოგიაა და ის „სიძველე“ ადრე გაჩნდა.**

**არქეოლოგიის პოლტავის ცენტრის სწავლულებმა უსტ-ილმენის ნეკროპოლში გათხრებისას სამარხებში ქალის ჩონჩხის მახლობლად იპოვეს ამფორა, რომელშიც ეწყო კბილები. მათზე შემორჩენილი იყო კარიესის კვალი, აგრეთვე, ექიმების ჩარევის ნათელი ნიშნები. გამოდის, რომ კბილის ექიმები უკრაინაში ჯერ კიდევ ახალ ერამდეც მუშაობდნენ.**

### დეპუტატისთვის ასაკი არ არსებობს

**თურმე ასაკი პოლიტიკურ კარიერას ხელს არ უშლის. ამის დამტკიცება მოინდომა 103 წლის ნორვეგიელმა ქალბატონმა ელენ სორმელანდმა. ასე მხცოვანმა ქალმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა ქალაქ ოსენის ადგილობრივი მუნიციპალიტეტის არჩევნებზე. გამარჯვების შემთხვევაში ის ფიქრობს, იმუშაოს... ახალგაზრდობის საკითხებზე.**

**ის, რომ დეპუტატობის კანდიდატი ხანდაზმულთა სახლში ცხოვრობს და ყურშიც არ ესმის, ნაკლად არ ითვლება.**

**სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ის რეგულარულად დადის სამ კილომეტრზე და ძალიან უყვარს კროსვორდების ამოხსნა.**

### გაიღვიძე – დაიძინე!

**ასე შეიძლება ვუწოდოთ მაღვიძარას, რომელიც ნოვოსიმბირსკელმა სწავლულებმა შექმნეს. ის არა მარტო აღვიძებს, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, აძინებს კიდევაც მის მფლობელს.**



**სხვადასხვა ტონალობის ზარებისა და საყვირების გარდა, მაღვიძარა აღჭურვილია „იავნანის“ 6 ჰანგით.**

**მისი შემქმნელები ირწმუნებიან, რომ მათ „ნამიერს“ შეუძლია კაცის 3 წუთში დაძინება. სწორედ სამი წუთის შემდეგ მაღვიძარა ითიშება, რათა პატრონს ძილში ხელი არ შეუშალოს.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# სპორტი

## მხოლოდ შედეგები

# ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატების ტაბლო

**იტალია.** „იუვენტუსი“ – „რომა“ 2:1 (**დელ პიერო (2); მონტელა**), „ბრეშია“ – „ინტერი“ 0:1 (**კრესპო**), „მილანი“ – „ემპოლი“ 0:1, „ლაციო“ – „პიაჩენცა“ 2:1, „პარმა“ – „ტორინო“ 1:0 (**მუტუ**), „კიევო“ – „რეჯინა“ 2:1, „პერუჯა“ – „ატალანტა“ 1:0, „მოდენა“ – „ბოლონია“ 3:2, „უდინეზე“ – „კომო“ 3:2.

**ჰოლანდია.** „აიაქსი“ – „როდა“ 4:2, „ეინდჰოვენი“ – „ტვენტე“ 2:0, „როზენდალი“ – „ალკმაარი“ 0:0, „ტილბურგი“ – „გრააფსხაფი“ 3:0, „ექსცელსიორი“ – „ჰერენვენი“ 1:0.

**ბელგია.** „ანდერლეხტი“ – „სენტ ტრუიდენი“ 2:0, „გენტი“ – „ლუვიე“ 3:2, „მეხელენი“ – „ვესტერლო“ 0:4, „მონსი“ – „ლიერსი“ 2:1, „ანტვერპენი“ – „ლომელი“ 5:0.

**პორტუგალია.** „პორტუ“ – „მორეირენსე“ 2:1, „ბეირა მარი“ – „ბრაგა“ 2:2, „ნასიონალი“ – „სანტაკლარა“ 2:1, „მარიტიმუ“ – „სპორტინგი“ 0:3, „სეტუბალი“ – „აკადემიკა“ 3:1.



**ესპანეთი.** „რეალი“ – „ბარსელონა“ 1:1 (**რონალდო; ლუის ენრიკე**), „ვალიადოლიდი“ – „ვალენსია“ 1:0, „ვილიარეალი“ – „მალიორკა“ 1:1 (**პალერმო; ეტოო**).

**ინგლისი.** „მანჩესტერი“ – „ბლექბერნი“ 3:1 (**ვან ნისტელროოი, სქოულზი (2); ბერგი**), „მიდლსბრო“ – „არსენალი“ 0:2 (**ვილტორდი, ანრი**), „ევერტონი“ – „ლივერპული“ 1:2 (**ანსუორთი; ოუენი; მერფი**), „ფულჰემი“ – „ნიუკასლი“ 2:1 (**ლეგვინსკი, კლარკი; შირერი**), „ჩარლტონი“ – „ბირმინგემი“ 0:2 (**დიუგარი, სევიჯი**), „ასტონ ვილა“ – „ჩელსი“ 2:1, „სანდერლენდი“ – „ვესტ ბრომვიჩი“ 1:2, „ბოლტონი“ – „ვესტ ჰემი“ 1:0, „საუთჰემპტონი“ – „ლიდსი“ 3:2.

**რუსეთი.** ცსკა – „როსტსელმაში“ 0:1, „ალანია“ – „ლოკომოტივი“ 3:2 (**მიხოლაპი (3); მამინოვი, ხულიო სეზარი**), „ურალანი“ – „სპარტაკი“ 1:2 (**ლუიზაო** (საკუთარ კარში); **ტიტოვი, პავლიუჩენკო**), „შინიკი“ – „დინამო“ 0:0, „ტორპედო“-„მეტალურგი“– „სატურნი“ 2:3, „ზენიტი“ – „რუბინი“ 1:0, „კრილია“ – „ჩერნომორეცი“ 1:1.

**პოლონეთი.** „ოდრა“ – „ლეგია“ 2:1, „ვისლა“ – „გურნიკი“ 4:0, „კატოვიცე“ – „გროცლინი“ 0:1, „პლოცკი“ – „რუხი“ 2:0, „პოლონია“ – „ზაგლემბიე“ 2:1, „ვიძევი“ – „გარბარნია“ 1:0, „ოსტროვეცი“ – „პოგონი“ 0:1, „ამიცა“ – „ლეხი“ 1:0.



**გერმანია.** „ბორუსია“ – „ბაიერნი“ 1:0 (**მარსიო ამორუზო**), „ჰანზა“ – „ჰერტა“ 0:1, „მიუნხენი“ – „ჰამბურგი“ 1:1, „ნიურნბერგი“ – „ბილეფელდი“ 0:0, „ვერდერი“ – „ვოლფსბურგი“ 0:1, „ჰანოვერი“ – „კაიზერსლაუტერნი“ 2:1, „კოტბუსი“ – „გლადბახი“ 1:1.

**საფრანგეთი.** „ლიონი“ – „ლილი“ 0:0, „აიაჩო“ – „ბორდო“ 1:6, „ოსერი“ – „ჰავრი“ 1:0, „სოშო“ – „გენგამი“ 0:0, „რენი“ – „ნიცა“ 2:2, „სედანი“ – „ტრუა“ 4:0, „ნანტი“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 1:1, „ბასტია“ – „მონპელიე“ 1:2.

**თურქეთი.** „ისთანბული“ – „ანკარა“ 1:0, „გენჩლერი“ – „ელაზიგი“ 2:0, „სამსუნი“ – მალათია“ 1:1, „დიარბაქირი“ – „ტრაბზონი“ 2:0.

**საბერძნეთი.** „არისი“ – „პროდეფტიკი“ 2:1, „ირაკლისი“ – „ქსანთი“ 2:0.

**ჩეხეთი.** „პრჟიბრამი“ – „სპარტა“ 2:2.

**შვეიცარია.** „ბაზელი“ – „იანგ ბოიზი“ 3:0, „სიონი“ – „ლიუცერნი“ 0:1.

**შოტლანდია.** „ჰართსი“ – „სელტიკი“ 2:1. **თასის გათამაშების ნახევარფინალი.** „რეინჯერსი“ – „მოზერუელი“ 4:3.



## ფეხბურთი

# „ასიანთა კლუბის“ წევრთა რაოდენობა ასს უახლოვდება

**ფეხბურთის სამყაროში ძალიან პოპულარული არიან ის ფეხბურთელები, ვინც შეძლო ეროვნულ ნაკრებში ასჯერ და მეტჯერ ეთამაშა. ასეთ დიდოსტატებს, ცხადია, სულაც არ სჭირდებათ რაიმე დამატებითი დახასიათება.**

ჩვენ დროგამოშვებით ვაქვეყნებდით „ასიანთა კლუბის“ წევრების სიას, ახლა კი გავეცნოთ დღეისათვის ამ გაერთიანებაში შექმნილ სიტუაციას. „ასიანთა კლუბის“ წევრების შემადგენლობა კი მატულობს და მატულობს...

1. კლაუდიო სუარესი (მექსიკა) – 170 მატჩი, 1992-2002 წლები, კვლავ თამაშობს. 2. მუჰამედ ალ-დეაია (საუდის არაბეთი), 165, 1990-2002, კვლავ თამაშობს. 3. ადნან ალ-ტალიანი (გაერთიანებული არაბული საემიროები), – 163, 1984-1997. 4. ჰოსამ ჰასანი (ეგვიპტე) – 160, 1985-2002, კვლავ თამაშობს. 5. კობი ჯონსი (აშშ) – 159, 1992-2002, კვლავ თამაშობს. 6. ლოთარ მათეუსი (გერმანია) – 150, 1980-2000. 7. თომას რაველი (შვედეთი) – 143, 1981-1997. 8. მუჰამედ ალ-ჰილაივი (საუდის არაბეთი) – 143, 1992-2001, კვლავ თამაშობს. 9. მაჯიდ აბდულა (საუდის არაბეთი, „უდაბნოს პელედ“ წოდებული) – 140, 1978-1994. 10. ხონ მიუნ ბო (სამხრეთ კორეის რესპუბლიკა) – 135, 1990-2002, კვლავ თამაშობს. 11. ჯეფ ეიგუსი (აშშ) – 133, 1988-2002, კვლავ თამაშობს. 12. პეტერ შმაიხელი (დანია) – 129, 1987-2001, კვლავ თამაშობს. 13. ხორხე კამპოსი (მექსიკა) – 129, 1991-2002, კვლავ თამაშობს. 14. მარსელო ბალბოა (აშშ) – 128, 1988-2000, კვლავ თამაშობს. 15. ანდონი სუბისარეტა (ესპანეთი) – 126, 1985-1998. 16. პაოლო მალდინი (იტალია) – 126, 1988-2002. 17. გეორგე ჰაჯი (რუმინეთი) – 125, 1983-2000. 18. პიტერ შილტონი (ინგლისი) – 125, 1970-1990, 19. იბრაჰიმ ჰასანი (ეგვიპტე) – 125, 1998-2002, კვლავ თამაშობს. 20. მარკო კრისტალი (ესტონეთი) – 124, 1992-2003, კვლავ თამაშობს. 21. ჰენი რამზი (ეგვიპტე) – 124, 1989-2003, კვლავ თამაშობს. 22. მასამი იჰარა (იაპონია) – 123, 1988-1999, კვლავ თამაშობს. 23. რამონ რამირესი (მექსიკა) – 121, 1991-2000, კვლავ თამაშობს. 24. ბუმ კუნ ჩა (სამხრეთ კორეის რესპუბლიკა) – 121, 1972-1986. 25. პატ ჯენინგსი (ჩრდ. ირლანდია) – 119, 1964-1986. 26. მარტინ რეიმი (ესტონეთი) – 118, 1992-2003, კვლავ თამაშობს. 27. ჰაინც ჰერმანი (შვეიცარია) – 117, 1978-1991, 28. როლანდ ნილსონი (შვედეთი) – 116, 1986-2000, კვლავ თამაშობს. 29. ბიორნ ნორდკისტი (შვედეთი) – 115, 1963-1978. 30. კაფუ (ბრაზილია) – 114, 1990-2003, კვლავ თამაშობს. 31. გეორგე პოპესკუ (რუმინეთი) – 114, 1988-2002, კვლავ თამაშობს. 32. დავიდ კარაბოტი (მალტა) – 112, 1987-2003, კვლავ თამაშობს. 33. ალან გაიგერი (შვეიცარია) – 112, 1980-1996. 34. დინო ძოფი (იტალია) – 112, 1968-1983. 35. ოლეგ ბლოხინი (უკრაინა) – 112, 1972-1988. 36. კარმელ ბუზუტილი (მალტა) – 111, 1982-2001. 37. კარლოს ვალდერამა (კოლუმბია) – 111, 1985-1998. 38. პოლ კალიჯური (აშშ) – 110, 1984-1997. 39. ალბერტო გარსია ასპე (მექსიკა) – 109, 1988-2002. 40. ვაილ ალ-ჰაბაში (კუვეითი) – 109, 1986-1997. 41. იურგენ კლინსმანი (გერმანია) – 108, 1987-1998. 42. ბობი მური (ინგლისი) – 107, 1962-1973. 43. დიეგო სიმეონე (არგენტინა) – 106, 1988-2002, კვლავ თამაშობს. 44. ერიკ ვინალდა (აშშ) – 106, 1990-2000, კვლავ თამაშობს. 45. ბობი ჩარლტონი (ინგლისი) – 105, 1958-1970, 46. ექტორ ჩუმპიტასი (პერუ) – 105, 1965-1981. 47. ალი დაეი (ირანი) – 105, 1993-2002, კვლავ თამაშობს. 48. იურგენ კოლერი (გერმანია) – 105, 1986-1998, კვლავ თამაშობს. 49. ლადისლაო ბელენი (რუმინეთი) – 104, 1975-1988. 50. მიქაელ ლაუდრუპი (დანია) – 104, 1982-1998. 51. ვიქტორ ონოპკო (რუსეთი) – 104. 1992-2003, კვლავ თამაშობს. 52. ტორბიორნ სვენსონი (ნორვეგია) – 104, 1947-1962. 53. ბილ რაიტი (ინგლისი) – 104, 1946-1959. 54. ფრანც ბეკენბაუერი (გერმანია) – 103, 1965-1977. 55. მარსელ დესაი (საფრანგეთი) – 103, 1993-2003, კვლავ თამაშობს. 56. დიდიე დეშამი (საფრანგეთი) – 103, 1989-2000. 57. ხვან სუნ ხონი (სამხრეთ კორეის რესპუბლიკა) – 103, 1993-2002, კვლავ თამაშობს. 58. იუ სან ჩური (სამხრეთ კორეის რესპუბლიკა) – 103, 1994-2002, კვლავ თამაშობს. 59. კენი დალგლიში (შოტლანდია) – 102, 1971-1988. 60. ბორისლავ მიხაილოვი (ბულგარეთი) – 102, 1983-1998. 61. მორტენ ოლსენი (დანია) – 102, 1970-1989. 62. სტივ სტონტონი (ირლანდია) – 102, 1988-2002, კვლავ თამაშობს. 63. ლეონელ ალვარესი (კოლუმბია) – 101, 1985-1997. 64. თომას ჰესლერი (გერმანია) – 101, 1988-2000. 65. კლაუდიო ტაფარელი (ბრაზილია) – 101, 1988-1998. 66. იოჟეფ ბოჟიკი (უნგრეთი) – 101, 1947-1962. 67. ჯო ბრინკატი (მალტა) – 101, 1988-2003, კვლავ თამაშობს. 68. არი ჰელმი (ფინეთი) – 100, 1983-1996. 69. ულფ კირსტენი (გერმანია) – 100, 1985-2000. 70. ალექს აგინაგა (ეკვადორი) – 100, 1987-2000. 71. ლუის კაპურო (ეკვადორი) – 100, 1985-2003. 72. ანდრეას ჰერცოგი (ავსტრია) – 100, 1988-2002, კვლავ თამაშობს. 73. ჯომაქს მური (აშშ) – 100, 1992-2002. 74. ფრანკ დე ბური (ჰოლანდია) – 100, 1991-2003.

მოამზადა
**გივი თორელმა.**

## სამბო

# საჩუქარი რუსეთიდან



საქართველოს სამბისტთა ნაკრებს მალე დიდი ზეიმი ექნება – იგი აღმაშენებლის გამზირზე საქართველოს სამხედრო აკადემიაში საკუთარ საჭიდაო დარბაზს მიიღებს. ახლახან ფედერაციის მესვეურებმა რუსეთის სპორტის სამინისტროს მიერ შარშან ნაჩუქარი საჭიდაო ლეიბების ორი კომპლექტიც ჩამოიტანეს.

1-5 მაისს ალბენაში (ბულგარეთი) ევროპის XXII ჩემპიონატი გაიმართება სამივე ასაკში (დიდები, ახალგაზრდები, ჭაბუკები).

ჩვენი „სამბისტები „შევარდენისა“ და „დინამოს“ ბაზებზე 14 აპრილიდან შეუდგნენ ევროპისთვის მზადებას.

ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლეგ იაძე ჭაბუკებში გუნდურ გამარჯვებას გეგმავს. დიდებში 3 მსოფლიო ჩემპიონი გამოვა ჩვენს გუნდში. 2 ვეტერანი – არჩილ ჩოხელი და ბადრი ჯანიაშვილი, ვარიანელი ახალგაზრდა აკაკი ხანიშვილი, აგრეთვე, ევროპის ჩემპიონი ნიკოლოზ ბიბილაშვილი (გორი). მედლის მოპოვების კარგი შანსი აქვთ მცხეთელ მირიან პავლიაშვილს, რუსთაველ ზვიად ჩინჩალაძეს და დავით ლილუაშვილს.

ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში სულ მცირე 4 „ოქრო“ იქნებაო, გვითხრეს სამბისტებმა.

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი 15 მოჭიდავეს აფინანსებს, დანარჩენებს ხარჯებს აუნაზღაურებენ იმ ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელები, საიდანაც არიან ნაკრების წევრები, კერძოდ, საგარეჯო, კასპი, ფოთი, თელავი, თბილისი.

სამბისტთა საერთაშორისო შეჯიბრებების ერთ-ერთი ფავორიტი – საქართველოს ნაკრები კვლავ ნასესხები ფულით მართავს საწვრთნელ შეკრებას და ისევ ფინანსთა სამინისტროს შემყურეა, როდის გამოუყოფს კუთვნილ თანხას სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს სამბისტებისთვის ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად.

**ბესიკ გაბრიაძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ᲠᲔᲢᲠᲝ

# ძალიც შეგვწევს ქადილისა

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ **ქართველ ფეხბურთელთა უნიათო თამაშის შემხედვარე, უნებლიეთ გაიფიქრებ კაცი, ნუთუ მართლა ასეთი საამაყო წარსული გვაქვს? საქმეც ისაა, რომ, ლეგენდარული ბორის პაიჭაძის თაობას რომ თავი დავანებოთ, „სამოციანელთა“ მიღწევებით მართლაც შეგვიძლია ვიტრაბახოთ (აღარაფერს ვამბობთ ახალკაცის ეპოქის მონაგარზე). დღეს, „ევრო-2004“-ის გახურებული შესარჩევი ბატალიებისას, უპრიანად მივიჩნიე კონტინენტის თასის პირველი გათამაშების ტრიუმფატორთა გახსენება.**

1960 წლის ივლისში ამ ტურნირის დასკვნით რაუნდს საფრანგეთმა უმასპინძლა. ოთხთა ასპარეზობის თითოეული მონაწილე რომ სოლიდურ ძალას წარმოადგენდა, შემდეგი ფაქტები მოწმობს: ორგანიზატორი ქვეყნის ნაკრები – მსოფლიოს ბოლო (1958 წლის) ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი, ჩეხებმა და იუგოსლავებმა მომდევნო (1962 წლის) „მუნდიალზე“ შესაბამისად მეორე და მეოთხე ადგილები დაიკავეს, საბჭოთა გუნდი კი, ტრადიციისამებრ, ყველასათვის კერკეტ კაკალს წარმოადგენდა.




ნახევარფინალში „იუგებმა“ „სამფეროვნებს“ სძლიეს, მეორე წყვილზე კი, ვფიქრობთ, ღირს უფრო საფუძვლიანად შეჩერება.

6 ივლისს მარსელის „ველოდრომის“ სტადიონზე გავრილ კაჩალინმა ნდობა გივი ჩოხელს გამოუცხადა და მას დაცვას მარჯვენა ფლანგზე მიუჩინა ადგილი წინადღით ბრმანაწლავატკიებული მოსკოვის დინამოელის ვლადიმერ კესარევის ნაცვლად. მოვლენებს წინ გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ ქართველმა დებიუტანტმა მწვრთნელს იმედები გაუმართლა. პატარა ციტატა ამ შეხვედრის მიმოხილვიდან: „შესვენების შემდეგ ჩოხელი დაწყნარდა და გამოცდილ მებრძოლს დაემსგავსა. მას დოლინსკის გაუვნებლობა დაავალეს და ქართველმაც ივარგა, ჩოხელმა „ჩაყლაპა“ დოლინსკი, აჯობა სისწრაფეშიც და გამძლეობაშიც“. აღსანიშნავია, რომ კვანძიც ჩვენებურთა უშუალო მონაწილეობით გაიხსნა – 1:0-ზე, როცა ჯერაც ყველაფერი ბურუსით იყო მოცული, ჩოხელის წამოწყებული კომბინაცია იმხანად მოსკოვის ტორპედოელმა სლავა მეტრეველმა გააგრძელა და ვალენტინ ივანოვის ზუსტი დარტყმით დაგვირგვინდა, თვით მატჩი კი 3:0 დასრულდა. რაც შეეხება მეტოქის ძირითად ბირთვს, მისი ჩამოთვლაც კი ნათელ წარმოდგენას შეგიქმნით, ვისთან ჰქონდათ საქმე გამარჯვებულებს: შროიფი, შაფრანეკი, პოპლუჰარი, მასოპუსტი, ბუბნიკი... დაგვეთანხმებით, შთამბეჭდავი კამპანიაა. საგულისხმოა, რომ როგორც თვითმხილველები ამბობენ, შეუდარებლები იყვნენ „საბჭოეთის ფრთები“ მიშა მესხი და სლავა მეტრეველი. აი, რას წერდა ბრძოლის შემდეგ ჩეხური პრესის მაშინდელი ფლაგმანი გაზეთი „რუდე პრავო“: „დავრწმუნდით, რომ ჩვენი ნაკრების ფრთის მოთამაშეები მოისუსტებენ, მაშინ, როცა საბჭოელებს მესხი და მეტრეველი ჰყავთ. ისინი მსოფლიოს უსწრაფეს და საუკეთესო ფეხბურთელებს მიეკუთვნებიან. ჩვენებთან სწორედ მათი დაწყებული იყო თითქმის ყველა შეტევა. ამ ორეულისთვის მცველების მოტყუება აბსოლუტურად არ წარმოადგენს პრობლემას. კარშიც ხშირად და სახიფათოდ ურტყამდნენ“.

კიდევ უფრო ისახელეს თავი ჩვენებურებმა იუგოსლაველებთან 10 ივლისს პარიზის „პარკ დეპრენსზე“ გამართულ ფინალში. წაგებული პირველი ტაიმის – 0:1 (გალიჩი) შემდეგ მეტრეველმა 49-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა, რითაც მატჩის ბედი შემოაბრუნა. აი, როგორ აღწერს ამ ეპიზოდს იმ თამაშის მონაწილე, ლეგენდარული ლევ იაშინი: „ბუბუკინმა ოცი მეტრიდან ღონივრად დაჰკრა ბურთს. დარტყმა იმდენად მოულოდნელი და ძლიერი იყო, რომ მეკარე ვიდინიჩმა ძლივს მოასწრო რეაგირება და ბურთი წინ დაიგდო. უცებ მცველების წინ სლავა მეტრეველი გაჩნდა და – 1:1“. აქედან მოყოლებული, ბალკანელი მცველები დაიბნენ და ხან უმისამართოდ იგერიებდნენ ბურთს, ხანაც ზღვარგადასულად უხეშობდნენ. რაც შეეხება დასკვნით აკორდს, ლევ იაშინი მას ასე იხსენებდა: „დამატებითი დროის დამთავრებამდე შვიდი წუთი რჩებოდა. მესხმა, რომელსაც მეურვე მატეში უკვე გვარიანად გაეტანჯა, ვოინოვისგან მიიღო გადაცემა, მარცხენა ფრთაზე დიდი სისწრაფით გაიქცა, თანაც ოსტატურად ირიდებდა მეტოქეთა სარმებს. ახლაც თვალწინ მიდგას: წვიმისგან გალუმპულმა მიშამ საჯარიმოს კიდესთან მიირბინა და პენალტის ნიშნულთან ჩაჰკიდა. ვიდინიჩმა კომბინაციის ჩაშლა ვერ მოასწრო, ვიქტორ პონედელნიკმა კი მცველებს დაასწრო და თავით გამარჯვების გოლი გაიტანა – 2:1“.



თორმეტი წლის შემდეგ, „ევრო-72“-ის ფინალში ბრიუსელის „ეიზელზე“ კიდევ ორმა ქართველმა – საბჭოთა ნაკრების კაპიტანმა მურთაზ ხურცილავამ და რევაზ ძოძუაშვილმა იასპარეზა. იმ ტურნირის ფავორიტმა – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდმა 3:0 გაიმარჯვა, დამარცხებულთაგან საუკეთესონი კი ქართველი მცველები იყვნენ. აი, რას ჰყვებოდა წაგებულ ფინალზე კიევის დინამოელი ვიქტორ კოლოტოვი: „გერმანელებმა მაშინ ყველანაირად გვაჯობეს. ორი ბურთი გერდ მიულერმა გაგვიტანა, ერთიც – ვიმერმა. ჩვენგან კი? მშვენივრად მახსოვს, სულ სამი მომენტი შევქმენით: ერთი – ძოძუაშვილის ჩინებული დარტყმა, რომელიც მეკარე მაიერმა ძლივს მოიგერია, ხურცილავას შეზანზარებული ხარიხა და ბაიდაჩნის არაზუსტი თავური. ეს იყო და ეს“...

სამი მომენტიდან ორი ქართველებმა შექმნეს, თანაც მცველებმა.

როდისღა გველირსება მორიგი წარმატება?

**ᲒᲘᲐ ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

# მუხრან ვახტანგაძე: „მაისის ბოლოს კარგ ფორმაში ვიქნები“



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ **ფალავანთა კლუბში მოჭიდავეები ევროპის 2003 წლის ჩემპიონატებისათვის ემზადებიან. ერთ ხალიჩაზე თავისუფალი სტილის ფალავნები ვარჯიშობენ, მეორეზე – ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ოსტატები. იქვე ვნახეთ მსოფლიო ჩემპიონი, ბათუმელი ᲛᲣᲮᲠᲐᲜ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲐᲫᲔ, რომელსაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჯონი რეხვიაშვილი დასტრიალებდა თავს. დაღლილი, გაოფლილი მუხრანი მაინც თავაზიანად დაგვთანხმდა ინტერვიუზე.**

**– ᲠᲝᲓᲘᲡ დაიწყეთ ახალი სპორტული სეზონისათვის მზადება, რას გვეტყვით ევროპის მოახლოებულ ჩემპიონატზე?**

– საერთო ფიზიკური მომზადება მარტში გავიარეთ ბაკურიანში, შემდეგ ტაშკენტის საერთაშორისო ტურნირში მივიღე მონაწილეობა. სამწუხაროდ, შეჯიბრების სტარტზევე მოვიწამლე და პირველივე შეხვედრა დავთმე. 2-4 აპრილს სტამბოლის დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში ფინალში გავედი, სადაც ქულებით წავაგე შეხვედრა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ თურქ ნაზიმი ავლუჯასთან. რაც მთავარია, აღარ მაწუხებს შარშანდელი ტრავმა, თავს კარგად ვგრძნობ კონტინენტის პირად-გუნდური ჩემპიონატის წინ, რომელიც ბელგრადში 23-25 მაისს გაიმართება.

**– რა შედეგს ელით ამ ჩემპიონატზე?**

– კონტინენტის ჩემპიონი ჯერ არასოდეს ვყოფილვარ. 2000 და 2001 წლებში მხოლოდ მეხუთე ადგილები დავიკავე, რითაც კმაყოფილი არა ვარ. მინდა, ბელგრადის ხალიჩაზე ოცნება ავისრულო და ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი მოვიპოვო. ამისთვის თავს არ ვზოგავ, თანაც დიდად მეხმარება ევროპის ვიცე-ჩემპიონი სართიჭალელი ხვიჩა ბიჩინაშვილი. ჩემი პირადი მწვრთნელისა და ნაკრების ხელმძღვანელის ბეგი დარჩიას სპორტული „დავალება“ ასეთია: დგომში ჭიდაობის დროს არ უნდა დავკარგო ქულა, ჩოქბჯენში ქვემოდან ჭიდაობისას ყურადღებით ვიყო და ჰარიჰარად არ ვარიგო ქულები, ვეცადო პარტერში ზემოდან მეტოქეებს ორი და მეტი ქულა ავართვა.

**– ბელგრადის ჩემპიონატამდე უკანასკნელ სასწავლო-საწვრთნელ შეკრებას სად გაივლით, იუგოსლავიის დედაქალაქში როდის გაემგზავრებით?**

– საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს მიერ შედგენილი განრიგით 20 აპრილიდან 3 მაისამდე ბერძნულ-რომაული სტილის ეროვნული ნაკრები მინსკის მახლობლად სტაიკების მზადების ცენტრში გაივლის ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას. სტაიკებში ჩვენთან ერთად ივარჯიშებენ მეზობელი ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და ბელორუსიის უძლიერესი მოჭიდავეები, რომლებთან შეიძლება ბელგრადში მოგვიწიოს შერკინება. 4 მაისს თბილისში დავბრუნდებით და კვლავ ფალავანთა კლუბში გავაგრძელებთ წვრთნას. იუგოსლავიაში 20-21 მაისს გავფრინდებით.

**– როდის გეგმავთ ათენის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოპოვებას?**

– ფილასა და სოკის გადაწყვეტილებით, ევროპისა და 2003 წლის არც ერთი საერთაშორისო ტურნირი არ იძლევა ათენის სალიცენზიო ქულებს. გამონაკლისი მხოლოდ მსოფლიოს წლევანდელი პირად-გუნდური ჩემპიონატია, რომელიც 2-5 ოქტომბერს საფრანგეთის პატარა ქალაქ კრეტილში გაიმართება. იქ კი პირველ ათ ადგილზე გამოსული მოჭიდავე პირდაპირ მიიღებს ათენის საგზურს. წარმოგიდგენიათ, როგორი კონკურენცია იქნება კრეტილში? ჩემი მიზანია, შევინარჩუნო მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, რაც საშუალებას მომცემს მშვიდად ვემზადო 2004 წლის თამაშებისთვის. საბოლოო მიზანი, რა თქმა უნდა, ათენის ოლიმპიური ოქროა...

ესაუბრა
**ᲨᲝᲗᲐ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ.**

**ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მსოფლიოს ჩემპიონი მუხრან ვახტანგაძე.**

**ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲑᲐᲖᲝᲘᲐᲜᲘᲡ ფოტო.**

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘ

# ტანვარჯიში ტყესა და პარკში

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ამ ბოლო წლებში ტყე-პარკები და, საერთოდ, ტყის საფარი გვარიანად „შემოგვადნა“ ხელთ, მაგრამ იმდენი ხე მაინც შემოგვრჩა, ჩვენი ჯანმრთელობის საქმეს რომ წაადგეს, კერძოდ – ხესთან ვარჯიშებისათვის.

თუ ვაკის პარკთან ან დიღმის ტყე-პარკთან ახლოს ცხოვრობთ, ეს პრობლემა ნაკლებ შეგაწუხებთ, რადგან, კიდევ კარგი, ჯერ არ გადაუხრიათ ყველა ხე (თუმცა, ზოგიერთ რესტორან-კაფე-სასაუზმის მოყვარულს თვალი მათკენაც უჭირავს).

ჰოდა, ვიდრე ხეები ჯერ კიდევ „ზეზეულად არ მომკვდარან“, ჩართეთ ისინი თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში, რისთვისაც გთავაზობთ ტანვარჯიშს ხეების გამოყენებით.

**1. ჩვეულებრივი რბენისას, დროდადრო ირბინეთ მაღლა აწეული მუხლებით. დაიწყეთ 2-3 წუთით და ვარჯიში თანდათან 8-10 წუთამდე გაზარდეთ.**

**2. ზამბარისებრი ზნექი წინ და უკან ხეზე მიბჯენით 8-12-ჯერ.**

**3. ხეზე მიბჯენით ფეხების აქნევები ყველა მიმართულებით. სწრაფი ფართო ნაბიჯი გადაჭრილ ხის კუნძზე – 10-16-ჯერ.**

**4. ხეზე მიბჯენით ტანის აწევ-დაწევა, ხეზე ჩამოკიდებით ტანის აზიდვა-ჩამოზიდვა. ფეხების მოხრა და გამართვა 6-12-ჯერ.**

**5. ნახტომები ადგილზე იმის მცხდელობით, რომ თავსზემოთ ხელით მისწვდეთ მაღალ ტოტებს.**

**6. დინჯი სირბილით (2-3 წთ) კომპლექსის დამთავრება.**

უკვე შუა გაზაფხულია, ხეები შეიფოთლა, თქვენი ორგანიზმიც ილვიძებს გრძელი ზამთრის ძილბურანიდან და სწორედ ახლა თუ მიაშველებთ მას ტანვარჯიშს, უფრო ყოჩაღად და მხიარულად იცხოვრებთ, რომელიც, იმედია, ჯანსაღი წესით გაგრძელდება.

**ᲐᲜᲖᲝᲠ ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐ.**




ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ, ᲘᲧᲘᲓᲔᲗ, ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“!

ადამიანი დროში

# სიყვარული — სიყვარულის წილ



**მის სპორტულ კოლექციას მრავალი ჯილდო ამშვენებს, რომელთა შორის გამორჩეულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დიპლომი აწ უკვე სოკ-ის ექს-პრეზიდენტის — ხუან ანტონიო სამარანჩის ხელმოწერით. გიული ჯალაღანია დაჯილდოებულია იმ მნიშვნელოვანი წვლილისთვის, რომელიც მან სპორტის და, საერთოდ, ოლიმპიზმის განვითარების, ასევე, ხალხთა შორის მეგობრობის და სოლიდარობის ხელშეწყობის საქმეში შეიტანა.**

დიდი ხანია, ვიცნობ ქალბატონ გიულის — მუდამ მორიდებულ და საქმიან, სახელიმილიან, სათნო და



სხვებზე მზრუნველ პიროვნებას, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოს ქალთა ფრენბურთის განვითარებაში.

— მართალი გითხრათ, ბავშვობაში სპორტი მაინცდამაინც არც მიზიდავდა, — მითხრა მან. — მეხუთე ქალთა სკოლაში ვსწავლობდი, პეტრიაშვილის ქუჩაზე, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გვიწევდა. ერთ დღეს, მაშინ VIII კლასში ვიყავი, ბატონი ნიკო კეცხოველი გვესტუმრა თანამშრომლებითურთ. მათ შორის იყო ფიზაღზრდის კათედრის მასწავლებელი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ბიჭიკო ანდრონიკაშვილი... ჰო, ის მსახიობი, „ჩვენს ეზოში“ მილიციელის როლს რომ ასრულებს. მე და რამდენიმე ჩემი მეგობარი სიმაღლით გამოვირჩეოდით და „თვალი დაგვადგა“. ასე აღმოვჩნდი მეორე დღეს ფიზაღზრდის კათედრის გამგის ბატონ კოტე ზაუტაშვილის კაბინეტში...

**ეს მოხდა 1948 წელს. იქიდან დაიწყო მისი გზა ფრენბურთში. ქალბატონი გიული წლების განმავლობაში წარმატებით იცავდა არა მარტო მშობლიური სკოლისა და უნივერსიტეტის, არამედ ქვეყნის ნაკრების სპორტულ ღირსებასაც. რამდენჯერმე საქართველოს ჩემპიონობაც მოიპოვა. გუნდში მასთან ერთად თამაშობდნენ დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები: ციალა სვანიძე, ალა ჯავრიშვილი, გალინა კვინიხიძე, ეთერ ვაშაკიძე.**

— მაშინ საქართველოს ფრენბურთელთა პირველობები დიდი ზეიმი იყო, — იგონებს ქალბატონი გიული. — ჩემპიონობისთვის 20-25 გუნდი იბრძოდა როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის. ვერის პარკის ღია მოედნებზე ვმართავდით მატჩებს, უამრავი მაყურებელი გვესწრებოდა. ნეტავ იმ დროს.

***— თქვენ, მგონი საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც ითამაშეთ...***

— დიახ, ოღონდ — ახალგაზრდულში. მინდა, ერთი საინტერესო ეპიზოდი გიამბოთ: 1953 წელს ბერლინის ტურნირზე გავემგზავრეთ. პირველი შეხვედრა ადგილობრივ ნაკრებთან გვქონდა. საბჭოთა გუნდის შემადგენლობას რომ აცხადებდნენ, დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ომი არც ისე დიდი ხნის დამთავრებული იყო და, ხომ იცით, გერმანელები როგორი თვალით გვიყურებდნენ. ჩემი გვარი რომ დაასახელეს, უცებ ტაშის ხმა და ქართული შეძახილი გაისმა: გიული, აბა შენ იცი, არ შეგვარცხვინოო. ტანში ქრუანტელმა დამიარა. ავიხედე და ტრიბუნაზე ორი საბჭოთა სამხედრო ოფიცერი დავინახე, რომლებიც ხელს მიქნევდნენ.

მატჩი მოვიგეთ. თამაშის შემდეგ ის ბიჭები ჩამოვიდნენ და გამეცნენ. გორელები იყვნენ — ვანო და თამაზი. სამწუხაროდ, მათი გვარები არ მახსოვს. ყველა შეხვედრაზე მოდიოდნენ და ჯარისკაცები მოჰყავდათ საქომაგოდ. იმ ტურნირში პირველი ადგილი დავიკავეთ.

***— ვიცი, რომ ფრენბურთელებს დიდი მეგობრობა გაკავშირებდათ. არაერთხელ გიჩვენებიათ ჩემთვის საბჭოთა კავშირის ქალაქებიდან ყოფილი თანაგუნდელებისგან გამოგზავნილი გულთბილი წერილები. სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებთან თუ გქონდათ ახლო ურთიერთობა?***

— უწინ სხვაგვარად ვერც წარმოგვედგინა: ფრენბურთელები, ფეხბურთელები, კალათბურთელები, მოფარიკავეები, მოჭიდავეები ერთმანეთს ვქომაგობდით, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებისას. სპორტის ამგვარ ფორუმზე სამჯერ ვიასპარეზე, პირველად — 1956 წელს. საკმაოდ ძლიერი ნაკრები გვყავდა. გუნდის კაპიტანი იყო ბერტა გარიშვილი. რატომღაც ყველა მეტოქეს რუსულად ვესალმებოდით. მოსკოვის გუნდთან შეხვედრის შემდეგ ჩვენმა სასიქადულო ფალავანმა გივი კარტოზიამ გვერდზე გამიხმო და მისთვის ჩვეული ტაქტით მისაყვედურა. ის დღე იყო და ის დღე, რუსულად არავის მივსალმებივართ.

***— ქალბატონო გიული, დიდ სპორტთან განშორების შემდეგ თქვენ სხვადასხვა პარტიულ თანამდებობაზე იმუშავეთ. ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტის სკამზე როგორ აღმოჩნდით?***

— მაშინ გლდანის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ ვმუშაობდი. ერთ დღეს ბატონმა ჯანო ბაგრატიონმა დამირეკა და მითხრა, გუშინ ფრენბურთელები შეიკრიბნენ და ფედერაციის პრეზიდენტად აგირჩიესო. მართალი გითხრათ, გამიხარდა, მაგრამ შემეშინდა კიდეც, არეული დრო იყო და ვიფიქრე, როგორ გავუძლვები-მეთქი. ბატონმა ჯანომ დამამშვიდა და დახმარება აღმითქვა. შეასრულა კიდეც. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ამ ღვთისნიერ პიროვნებას, რომელსაც ახლახან 65 წელი შეუსრულდა, იუბილე და ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოება მივულოცოთ.



რაც შეეხება ჩემს პრეზიდენტობას, ფედერაციაში გამოცდილი მუშაკი ედუარდ სანთელაძე დამიდგა გვერდით, რისთვისაც დიდი მადლიერი ვარ მისი და ყველა იმ ადამიანისა, ვინც მაშინ დამეხმარა.

***— საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ჯილდოზე რას იტყვით?***

— ბატონი ხუან ანტონიო სამარანჩი თბილისს რომ ესტუმრა, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში საზეიმო შეხვედრა მოვუწყვეთ, სიტყვითაც გამოვედი. მახსოვს, ბატონი პრეზიდენტი გამეცნო, ხელი ჩამომართვა და მითხრა, მსოფლიოში პირველი შემთხვევაა, ფრენბურთის ფედერაციას ქალი რომ უდგას სათავეშიო და წარმატებები მისურვა. სწორედ, მას შემდეგ იყო, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ჯილდო რომ მივიღე. მართალი გითხრათ, ძალიან გამიხარდა, ასე მეგონა, მეორედ დავიბადე. არა იმიტომ, რომ დამაჯილდოვეს. თურმე, ვიღაცას ახსოვხარ, უყვარხარ, სჭირდები. ჩვენს დუხჭირ ცხოვრებაში კი ეს ყველაზე ფასეულია. სწორედ, ამ სიხარულისთვის მინდა კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ვუთხრა ბატონ ჯანო ბაგრატიონს და ბატონ ემზარ ზენაიშვილს. ამ ჯილდოში მათი წვლილიც ურევია...

**დღეს ქალბატონი გიული ჯალაღანია პარლამენტში მუშაობს. იქაც ყველა საქმეს გულისყურით ასრულებს, ჩვეული ღიმილით ხვდება გარშემო მყოფთ და სიყვარულს იმკის სიყვარულის წილ.**

**ვაჟა დანელია.**

**სურათებზე: გიული ჯალაღანია (მარცხნიდან — პირველი) ქართველ და რიგელ ფრენბურთელებთან ერთად ოდესაში 1953 წელს; თბილისის „მეცნიერების“ გუნდი (№2 — გიული ჯალაღანია) მორიგი მატჩის წინ; საქართველოს სპორტსმენები 1956 წლის 5 აგვისტოს მოსკოვში ლუჟნიკების სტადიონზე საბჭოთა კავშირის ხალხთა I სპარტაკიადის გახსნის პარადზე; თამაშის მომენტი.**

**ფოტოები გიული ჯალაღანიას არქივიდან.**





გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

რეგიონი

## შეიქმნა ოლიმპიური სპორტული კლუბი

**ათენის ოლიმპიურ თამაშებს წელიწადიღა გვაშორებს.** ჩვენს ქვეყანაში ახლა დიდი მზადება მიმდინარეობს, თამაშებზე ღირსეულად წარმოჩენისათვის.

ამას წინათ გაზეთმა „ლელომ“ გამოკითხვა ჩაატარა და შიდაქართლის მხარის ოლიმპიური ორგანიზაცია საუკეთესოდ ცნეს საქართველოს ოლიმპიურ ოჯახში. ფაქტი, ცხადია, სასიამოვნო, მაგრამ იგი მეტ პასუხისმგებლობასაც აკისრებს შიდაქართლელებს ფიზიკური აღზრდისა და ოლიმპიზმის პროპაგანდის გასაფართოებლად, მაღალი კლასის სპორტსმენთა მოსამზადებლად.

ახლახან შიდა ქართლის მხარის ორგანიზაციის საბაზო-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნდა ოლიმპიური სპორტული კლუბი, რაც შემთხვევითი არ გახლავთ. აქაური მოჭიდავეები, მეტადრე ძიუდოისტები, საქართველოს ოლიმპიური ნაკრების ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს წარმოადგენენ. ის ფაქტი, რომ ძიუდოისტების მიერ ოლიმპიურ თამაშებში მოპოვებული 15-დან 6 მედალი გორელ მოჭიდავეებზე მოდის, მრავლისმეტყველია.

დამფუძნებელ სესიაზე, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შიდა ქართლის სამხარეო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გივი ხაჩიძემ, დაამტკიცეს კლუბის წესდება და აირჩიეს გამგეობა.

კლუბის პრეზიდენტად უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე სოსო ვაშაკიძე აირჩიეს.

**გურამ ვაშაკიძე,**
„სრ“ საკ. კორ.

ძალოსნობა

## კერპებს ჩავარდნაც ეპატიებათ

ლეგენდარული ცხინვალელი ძალოსნის კახი კახიაშვილის სამი ოლიმპიური „ოქროდან“ ორი, მოგეხსენებათ, ელადას ეკუთვნის. ამდენად, ადვილი წარმოსადგენია, როგორი ოპტიმიზმით ელოდნენ ბერძენი ქომაგები მათ სამშობლოში დანიშნულ ევროპის ჩემპიონატს – მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე ერთი წლით ადრე ხომ „საკუთარ“ ფიცარნაგზე თვით კახის კახიაშვილისის ასპარეზობა უნდა ეხილათ, რომელიც ძალებს 94 კგ წონით კატეგორიაში ცდიდა.

პირველ მოძრაობაში – ატაცში ორი ერის შვილმა სამი ცდიდან ორი წარმატებით დაძლია და 177,5 კილოგრამით მეხუთე შედეგი აჩვენა. ეს არც გახლდათ გასაკვირი – ამ დისციპლინაში ხომ იგი ტრადიციულად მოიკოჭლებს. მით უმეტეს, უმთავრესი მეტოქენი ფავორიტს მცირედით უსწრებდნენ: მილენ დობრევი (ბულგარეთი) – 182,5 კგ, სერგეი ქუკოვი, ანატოლი იარკინი (ორივე – რუსეთი) და თადეუშ დრაქკა (პოლონეთი) – 180-180 კგ.

აკვრაში მოვლენები კიდევ უფრო საინტერესოდ განვითარდა. თავდაპირველად მედლებისთვის ბრძოლას იარკინი გამოეთიშა, დანარჩენმა დაწინაურებულებმა კი ზედიზედ დაიმორჩილეს რკინის უზარმაზარი მასა და საპატიო კვარცხლბეკზე ზუსტად იმ თანმიმდევრობით დაიკავეს ადგილები, ზემოთ რომ შემოგთავაზეთ. კი მაგრამ, კახიაშვილი? – იკითხავთ, ალბათ. ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ კახი პირთამდე გადაჭედილ დარბაზში აღარ გამოჩენილა. მიზეზს, ვიმედოვნებთ, მალევე შევიტყობთ, სავარაუდოდ კი იმის თქმა შეგვიძლია, რომ მისი მწვრთნელები ზედმეტ რისკს მოერიდნენ და ძველი ტრავმის გამიზეზების თავიდან ასაცილებლად უჯილდოოდ დარჩენას დაყაბულდნენ.



კახი კახიაშვილი.

მონაგარი



### წყალბურთი

**გერმანიის ქალაქ შტუტგარტში დამთავრდა 1985 წელს დაბადებულ წყალბურთელთა ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც გერმანიის, საქართველოს, რუმინეთისა და ბელარუსის წარმომადგენლები ფინალური ეტაპის ორი საგზურისთვის იბრძოდნენ.**

საქართველოს ნაკრებმა, რომელიც მეტოქეებზე თითქმის ორი წლით უმცროსი სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული, პირველ დღეს რუმინეთის გუნდს სძლია 9:8, მერე ბელარუსებს დააყრევინა ფარხმალი – 11:3. მართალია, ბოლო ტურში ჩვენები თავადაც დამარცხდნენ მასპინძლებთან 8:9, მაგრამ ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მაინც მოიპოვეს.

დასანანი მხოლოდ ის არის, რომ ახალგაზრდულ ნაკრებს პერსონალური მოწვევა მოუვიდა მსოფლიო პირველობიდან, რომელსაც წლეულს ნეაპოლი უმასპინძლებს, მაგრამ სპორტსმენები უსახსრობის გამო ამ შეჯიბრებაზე ვერ გაემგზავრებიან. სამწუხაროდ, საქართველოში არ აღმოჩნდა ერთი გულისხმიერი ადამიანი თუ ორგანიზაცია, რომელიც ხელს გაუმართავდა ქართველ წყალბურთელებს.

### წყალხტომა

**სამ დღეს გრძელდებოდა უნგრეთში წყალმხტომელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი.** ევროპის წამყვან სპორტსმენებთან ერთად მასში საქართველოს წარგზავნილებიც მონაწილეობდნენ სამ ასაკობრივ ჯგუფში. ჩვენმა წყალმხტომელებმა შესანიშნავად იასპარეზეს – 8 ოქროს, 5 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ტურნირზე უფრო დაწვრილებით ჩვენი სპორტსმენების უნგრეთიდან დაბრუნების შემდეგ გიამბობთ.



მკლავჭიდი

## ნოდარ ჯანგირაშვილის ხსოვნისა

**ამას წინათ თიანეთში სპორტისა და ტურიზმის განყოფილების (უფროსი ირაკლი ზვიადაური) ინიციატივითა და რაიონის მესვეურთა ხელშეწყობით გაიმართა 9 აპრილს დაღუპული ნოდარ ჯანგირაშვილის ხსოვნის ღია პირველობა,** რომელშიც მასპინძლებთან ერთად თბილისის, დუშეთისა და მარტყოფის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ჯილდოებისთვის 57 სპორტსმენი იბრძოდა. ყველას მაინც მასპინძლებმა აჯობეს.

70 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო თიანეთელი ალიკა ფრეწუაშვილი. მეორე-მესამე ადგილებზეც მისი თანაგუნდელები – გიორგი ცალუღელაშვილი და ალიკა როკაშვილი გავიდნენ. 80 კილომდე წონით კატეგორიაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ნიკო მათიაშვილი, 2. გურამ ფაშურიშვილი, 3. იმედა სისაური (სამივე – თიანეთი).

აბსოლუტურ წონაში ცალ-ცალკე ცდიდნენ ძალებს მემარჯვენეები და ცაციები. მემარცხენეებში ფრეწუაშვილმა გაიმარჯვა. მეორე ადგილზე გავიდა, ასევე, თიანეთელი იმედა ლიქოკელი. მესამე იყო დუშელი გიორგი მათიაშვილი.

მემარჯვენეებში პირველობა არავის დაუთმო გურამ ფაშურაშვილმა, რომელსაც ნოდარ ჯანგირაშვილის სახელობის თასიც გადაეცა. ვერცხლის მედალი თიანეთელ ხვიჩა სეთურს ერგო. მესამე ადგილი აქაც მათიაშვილმა დაიკავა.

გამარჯვებულები და პრიზიორები საკრებულოებს შორისაც გამოვიდნენ. აქ პირველობა ნაქალაქარის საკრებულომ მოიპოვა. მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, ხევსურთსოფლის და ზარიძეების საკრებულოებმა გაინაწილეს. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ რაიონის გამგებელმა ალექსი ქავთარაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ მერაბ გუშარაშვილმა საუკეთესო სპორტსმენები და გუნდები შესაბამისი ხარისხის მედლებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

**გიორგი გაგუა.**

ათლეტიზმი

## ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

### მოკრივის ფიზიკური მომზადება. II ნაწილი

განვაგრძობთ ვარჯიშების სერიას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათლეტიზმის სექციის წევრის, მოყვარული მოკრივის **გიორგი ომიაძის** ფიზიკური, კერძოდ ძალისმიერი მომზადების პროგრამიდან.

დღეს წარმოგიდგენთ ტრენაჟორებით ვარჯიშს.

**1. აჭიმვა მკერდიდან (სურ. 1).** სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით. ვარჯიში გამიზნულია მხრის დელტისებრი კუნთების ზედა კონების განსავითარებლად.

**2. ტრენაჟორის სახელურების მოზიდვა მკერდამდე (სურ. 2).** სრულდება 6 მისვლა 12-12 გამეორებით. ვარჯიში ანვითარებს მხრის დელტისებრი კუნთების უკანა კონებს.

**3. ტრენაჟორის ბლოკის სახელურის ჩამოზიდვა მკერდამდე (სურ. 3).** სრულდება 6 მისვლა 12-12 გამეორებით. ვარჯიში განკუთვნილია მკერდის კუნთების განსავითარებლად.

**4. ტრენაჟორის ბლოკის სახელურის მოზიდვა მუცლამდე (სურ. 4).** სრულდება 6 მისვლა 12-12 გამეორებით. ვარჯიში ანვითარებს ზურგის უგანიერეს კუნთებს.

**5. ტრენაჟორის მბრუნავ დისკზე შეტრიალება ჯერ ერთ, შემდეგ მეორე მხარეს (სურ. 5).** დისკის ინერციის ძალის გადალახვა ბრუნვის მიმართულების შეცვლისას ძლიერად ტვირთავს წელის გარეთა ირიბ კუნთებს. თითოეულ მხარეს სასურველია 20-30 შეტრიალება.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.



1



3



5



2



4

ანონსი

**აპრილის უკანასკნელი – სააღდგომო კვირა დახუნძლულია სპორტული მოვლენებით. გასაგები მიზეზების გამო, ამჯერად მხოლოდ ყველაზე პოპულარული სახეობის – ფეხბურთის კალენდარს გადავხედავთ, რომელიც მრავალ საინტერესოს ჰპირდება გულშემატკივარს.**

### შინ

23 აპრილს ეროვნული ჩემპიონატის II ეტაპის ხუთი მატჩია: **საუკეთესო ექვსეული** – „სიონი“ – „დინამო“ (ბოლნისში დღემდე ყველა ფავორიტი შეფერხდა), „ვიტ ჯორჯია“ – „კოლხეთი“ (მასპინძლებს წლეულს პირველად გაუჩნდათ ჩემპიონობის შანსი, ფოთელებმა კი ამ ბოლო დროს გაიხსენეს, რას ნიშნავს ღირსება); **VII-XII ადგილები** – „გორდა“ – „მერანი-ოლიმპი“, „მილანი“ (წნორი) – „დილა“, „ბათუმი“ – „მეტალურგი“. **24 აპრილს** პირველი წრე ელიტარული სექსტეტის წარმომადგენლების – კრიზისში ჩავარდნილი დედაქალაქის „ლოკომოტივისა“ და ქვეყნის სამგზის ჩემპიონის – ქუთაისის „ტორპედოს“ V ტურის დასკვნითი შეხვედრით დასრულდება.

### გარეთ

ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. **22 აპრილი.** „ბარსელონა“ – „იუვენტუსი“ (პირველი მატჩი – 1:1), „ვალენსია“ – „ინტერი“ (0:1).

**23 აპრილი.** „მანჩესტერი“ – „რეალი“ (1:3), „მილანი“ – „აიაქსი“ (0:0).

**უეფას თასი.** ნახევარფინალი. 24 აპრილი. „ლაციო“ – „პორტუ“ (1:4), „ბოავიშტა“ – „სელტიკი“ (1:1).

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ისტორია

# როგორ მზადდებოდა სტალინის თხზულებათა გამოცემის პირველი ტომი საქართველოში

**ი. სტალინის თხზულებათა გამოცემა, რომელიც 1946 წელს დაიწყო, წარმოადგენდა პირველ ცდას, ერთად მოეყარათ თავი სტალინის ნაწარმოებებისათვის.**

მანამდე სტალინის შრომები გაერთიანებული იყო ცალკეულ კრებულებში. მათგან ყველაზე სრული იყო „ლენინიზმის საკითხები“, რომელიც 11-ჯერ გამოიცა მნიშვნელოვანი ცვლილებებით — ივსებოდა ახალი ნაშრომებით და წიგნის მოცულობის შესანარჩუნებლად ავტორს ამოჰქონდა ზოგიერთი დასახელება.

სამამულო ომის წლებში გამოვიდა წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“, რომელშიც თავმოყრილია სტალინის ომისდროინდელი გამოსვლები, მოხსენებები, ბრძანებები.

მაგრამ ეს გამოცემები არ მოიცავდა სტალინის ყველა ნაშრომს. თხზულებათა გამოცემამ თავი მოუყარა მის თითქმის ყველა ადრე დაბეჭდილ ნაწარმოებს და გამოუქვეყნებელ ნაშრომთა მნიშვნელოვან რაოდენობასაც. ამდენად, იგი სტალინის თხზულებათა პირველი ერთიანი გამოცემაა.

სტალინის თხზულებათა გამოცემაზე მუშაობა გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს დაიწყო. ეს, ალბათ, სტალინის დაბადების 60 წლისთავთან იყო დაკავშირებული.

საყურადღებოა, რომ სწორედ ამ პერიოდში ივ. ჯავახიშვილმა სპეციალური დავალებით შექმნა ნაშრომი ჯუღაშვილების გვარის სადაურობაზე, ხოლო მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში, ეტყობა მოსკოვიდან მითითების საფუძველზე, დაიწყო მზადება სტალინის ბიოგრაფიისათვის დოკუმენტების მოსამზადებლად, თუმცა მასალები სტალინის მოღვაწეობაზე ადრეც გროვდებოდა.

სტალინის თხზულებათა გამოცემის პირველი ტომისათვის მასალების შეგროვება მნიშვნელოვანი სიძნელეებით განსხვავდებოდა მომდევნოებისაგან.

რთული და შრომატევადი სამუშაო უწინარეს ყოვლისა იყო ნაშრომების მოძიება.

პირველ ტომში შესული ნაწარმოებები შექმნილია თვით სტალინის მოღვაწეობის და, საერთოდ საქართველოში, რევოლუციური მოძრაობის საწყის ეტაპზე. არალეგალური მუშაობის პირობებში ამ ნაშრომთა საარქივო-დოკუმენტური შენახვა, ცხადია, გამორიცხული იყო. შემორჩენილ ნაშრომთა ნაწილს არა აქვს მითითებული ავტორი, ბევრი მათგანის არსებობაზე მხოლოდ ცნობებია შემონახული. ამიტომ პირველი ტომისათვის მასალების შეგროვებას რამდენიმე წელი დასჭირდა.

ხელმოწერით (რა თქმა უნდა, ფსევდონიმით) დაბეჭდილი ნაშრომები, რასაკვირველია, პრობლემას არ ქმნიდა. სხვათა გამოსავლენად საჭირო იყო სტალინის შექმნილად მიჩნეული გამოცემული თუ მომზადებული ნაშრომების მოძიება პრესაში, სახელმწიფო არქივებში, კერძო პირებთან და ხელმოუწერელ მასალებში შინაარსობრივი, ლექსიკური, სტილისტური თუ სხვა სახის ანალიზით სტალინის მიერ დაწერილთა დადგენა.

მთელი ამ მუშაობის შესრულება დაეკისრა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალს სათაო დაწესებულების — საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ხელმძღვანელობით, რომელსაც გამოცემის განხორციელება დაევალა.

ეს ბუნებრივი იყო, რადგან რევოლუციური მოღვაწეობის პირველ ეტაპზე სტალინი საქართველოში მუშაობდა და მისი ლიტერატურული პროდუქცია ძირითადად ქართულ ენაზე, აქ იყო შექმნილი და გამოქვეყნებული.

ფილიალის მცირერიცხოვანმა კოლექტივმა ამ მხრივ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია და თავი მოუყარა დიდძალ მასალას, როგორც გარკვეულსა და დადგენილს, ასევე შესასწავლს და დასადგენს.

სპეციალისტთა მონაწილეობით გაანალიზდა ხელმოუწერელ ნაშრომთა დიდი რაოდენობა და გამოიყო რამდენიმე ათეული, რომელთა ავტორი, საფიქრალია, სტალინი იყო.







ამ ნაშრომთა ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია, რადგანაც მათი გაცხრილვა მოსკოვში ექსპერტიზით მოხდა, ცალკეულ შემთხვევაში, თვით სტალინის პირადი მონაწილეობითაც.

ცნობილია, რომ სტალინს წარუდგინეს (ვარაუდით, 1943 წელს) 1906 წელს გამომავალ გაზეთ „დროს“ სრული კომპლექტი — 31 ნომერი, რომლებშიც სტალინის ფსევდონიმებით გამოქვეყნებული იყო 9 სტატია. გადათვალიერების შემდეგ სტალინმა მიუთითა, რომ მას ეკუთვნის კიდევ 16 ხელმოუწერელი სტატია.

სტალინის თხზულებათა პირველ ტომში შესული ნაშრომები, ორიოდე გამონაკლისის გარდა, ქართულ ენაზეა დაწერილი. აუცილებელი იყო მათი რუსულ ენაზე თარგმნა. ეს სამუშაოც იმელის ფილიალში შესრულდა. ამ საქმეში მონაწილეობდნენ ქართველი რუსისტები, მათ შორის აკადემიკოსი გ. ახვლედიანი.

უნდა ითქვას, რომ შემდგომ, მაკეტებზე მუშაობისას, თავდაპირველ თარგმანებში შეტანილია რედაქციული ცვლილებები, თუმცა ვის მიერ, ძნელი დასადგენია. მაგრამ საბოლოო რედაქცია რომ თვით ი. სტალინმა გააკეთა, ეს ეჭვს არ იწვევს.

პირველი ტომისათვის ნაშრომების შერჩევასთან ერთად ფილიალის კოლექტივმა მოამზადა შენიშვნები და საძიებლები შეტანილ მასალასთან დაკავშირებით.

ამ მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, 1944 წელს, მოსკოვში შედგა პირველი ტომის პირველი მაკეტი. მასში შეტანილი იყო 1900 წლის 8 აგვისტოდან 1907 წლის 24 თებერვლამდე შექმნილი 98 ნაშრომი.

მაკეტზე მუშაობა მალე დასრულდა. იგი სერიოზულად გადამუშავდა. იმავე 1944 წელს შედგა ახალი მაკეტი. ქრონოლოგია ოდნავ შეცვლილია — 1900 წლის 8 აგვისტოდან 1906 წლის 29 მარტამდე. ტომის მასალები თითქმის განახევრებულია — დარჩა 52 ნაშრომი.

მეორე მაკეტზე მუშაობა თითქმის ორი წელი გაგრძელდა და 1946 წელს გაკეთდა მესამე მაკეტი. დადგინდა ახალი ქრონოლოგია — 1901 წლის სექტემბერი — 1907 წლის 10 აპრილი. ნაშრომების რაოდენობა 31-მდე დავიდა.

ეს პარამეტრები პირველმა ტომმა, რომელიც 1946 წელს გამოვიდა, პრაქტიკულად შეინარჩუნა, გარდა ერთი ცვლილებებისა — მასში არ შევიდა 1902 წლის 10 მარტს გამოცემული პროკლამაცია „9 მარტი“.

ი. სტალინმა ზოგი ნაშრომი, რომლებიც ნამდვილად მას ეკუთვნოდა, არ შეიტანა გამოცემაში. დოკუმენტურად არსად ჩანს საამისო დასაბუთება ან გადაწყვეტილება.

რაც შეეხება ხელმოუწერელ ნაშრომებს, მან აქაც არჩევანი გააკეთა. მუშაკებისაგან, რომლებიც ამ ტომისთვის ამზადებდნენ მასალებს, გამიგია: მაკეტის გაცნობისას ი. სტალინს უთქვამს, რომ ნაშრომთა ნაწილი, რომელთაც მას მიაწერენ, მისი არ არის, ხოლო ნაწილი მთლიანად მისი კუთვნილება არაა, მათ შექმნაში მხოლოდ მონაწილეობა აქვს მიღებული.

ტომში ვერ შევიდა სტალინის ის ნაშრომები, რომელთა არსებობა ცნობილია, მაგრამ მიკვლეული არ არის.

წინასიტყვაობა პირველი ტომისათვის ყველა მაკეტს აქვს, ისინი უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მათში ნათქვამია, სტალინის ნაწარმოებთა ტექსტი დაცულია, ავტორის თანხმობით შეტანილია უმნიშვნელო რედაქციული ცვლილებებიო. მხოლოდ პირველი მაკეტის წინასიტყვაობაშია მითითებული, რომ ქართულ ენაზე დაწერილი და გამოქვეყნებული ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ ენაზე.

პირველ ტომში შეტანილი ნაშრომები უმეტესად სტატიებია, რომლებიც იბეჭდებოდა ბოლშევიკურ გაზეთებში, ნაწილი გამოდიოდა პროკლამაციებისა და ფურცლების სახით რამდენიმე ენაზე, ზოგიერთი კი ცალკე ბროშურად იყო გამოცემული ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე. ი. სტალინის ნაწარმოებებიდან, რომლებიც ტომშია შესული, მხოლოდ მცირე ნაწილი იყო დაბეჭდილი რუსულ ენაზე, ქართულიდან თარგმნილი, რუსულ ენაზე ამ ნაწარმოებთა უმრავლესობა პირველად გამოვიდა.

1946 წლის იანვარში მესამე მაკეტისათვის ი. სტალინმა დაწერა წინასიტყვაობა, რომელიც უცვლელად შევიდა გამოცემაში.

მასში მითითებულია, რომ ეს ნაწარმოებები უნდა განვიხილოთ როგორც ნაწერები ახალგაზრდა მარქსისტისა, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული დასრულებულ მარქსისტ-ლენინელად. ამიტომ, გასაგებია, რომ იმ ნაწარმოებებში დარჩენილია კვალი ძველი მარქსისტების ზოგიერთი, მერე მოძველებული დებულებებისა, რომლებიც შემდგომ დაძლია პარტიამ.

ამ თვალსაზრისით ავტორმა, ორ საკითხზე მიუთითა: აგრარული პროგრამა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირობები და მოკლე განმარტებები გააკეთა.

პირველ ტომში შეტანილი ნაწარმოებებიდან პირველად გამოქვეყნდა „წერილი ქუთაისიდან“ (ორი წერილი). 14 ნაშრომი ხელმოუწერელია, ორი სიტყვით გამოსვლა ამოღებულია პარტიის IV ყრილობის ოქმებიდან. პარტიული ორგანოების სახელით — „კავშირის კომიტეტი“, „თბილისის კომიტეტი“ ხელმოწერა აქვს 5-ს; პირველი ფსევდონიმებით გამოქვეყნებულია: „ი. ბესოშვილი“ — 3 წერილი, „კობა“ — 2, „კო...“ — 3, „ამხანაგი კ.“ — 1 ნაშრომი.

პირველ მაკეტს დართული აქვს ავტორის სამოქალაქო კიტელში გადაღებული ფოტოსურათი, მეორე მაკეტს სურათი საერთოდ არა აქვს, მესამე მაკეტსა და ოფიციალურ გამოცემაში ბ. კარპოვის ნახატის რეპროდუქციაა გენერალსიმუსის ფორმაში ორდენებითა და მედლებით (ცნობილია, რომ სტალინი მხოლოდ სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავს ატარებდა). ყველგან პორტრეტს დართული აქვს მისი ფაქსიმილე.

ი. სტალინი გაეცნო პირველი ტომის ქართულ გამოცემას. იგი 1953 წელს გამოვიდა, მაგრამ 1952 წლის დამლევისათვის მასზე მუშაობა უკვე დამთავრებული იყო.

ქართულ გამოცემაში არსებითად უცვლელად არის გადმობეჭდილი გამოქვეყნებისდროინდელ გაზეთებში და ცალკეულ ბროშურებად, ფურცლებად თუ პროკლამაციებად გამოცემული ნაშრომები.

მათში შეტანილია შესწორებები, რომლებიც შეეხება უმთავრესად ბეჭდვის არალეგალური პირობებით გამოწვეულ კორექტურულ შეცდომებს, შემდგომ პერიოდში დადგენილ ქართულ ტერმინებს და აგრეთვე ზოგიერთი სიტყვის ახალ მართლწერას.

ნაწილობრივი ცვლილებები შეეხო რუსული და უცხოური წყაროებიდან ციტირებული მასალის ავტორისეულ თარგმანს, რაც გამოწვეული იყო ორიგინალთა შემდგომი გამოცემების განსხვავებით იმ გამოცემებისაგან, რომლებითაც სტალინი სარგებლობდა.

ყოველივე ეს ნებადართული იყო ავტორის მიერ.

ასე მიმდინარეობდა მუშაობა ი. სტალინის თხზულებათა გამოცემის პირველი ტომის მოსამზადებლად საქართველოში.

**ივანე შენგელაია,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

## მსოფლიო შტრიხებში
## სისულელესაც აფასებენ

**ქვეყნად ათასნაირი ჯილდო თუ პრემია არსებობს. ყოველი მათგანის ჩამოთვლა, ალბათ, გაგვიჭირდება, მაგრამ ერთ მათგანს მაინც ვერ ავუვლით გვერდს.**

**თურმე არსებობს საერთაშორისო პრემია უშიშროების ყველაზე იდიოტური ზომებისათვის, რომელსაც სამართალდამცავი ორგანიზაცია Privacy International ანიჭებს.**

**ეს-ეს არის შეჯამდა ყველაზე ყეყეჩური, უაზრო და უმაქნისი ზომების კონკურსი.**



**ერთ-ერთი მთავარი პრემია მიენიჭა მოსკოვის მერს იური ლუჟკოვს. რუსეთის დედაქალაქის თავკაცმა მეორე ადგილი მოიპოვა ნომინაციაში „უშიშროების ყველაზე აღმაშფოთებელი იდიოტური ზომებისათვის“. საერთაშორისო სამართალდამცველებმა ლუჟკოვის „დიდ დამსახურებად“ ჩათვალეს, რომ ის დაჟინებით მოითხოვს მოსკოვში ჩაწერისა და რეგისტრაციის ინსტიტუტის შენარჩუნებას. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ თუმცა ჩაწერა გულისხმობს ქალაქში დანაშაულობათა დონის შემცირებას, მაგრამ ის თავის ფუნქციას ვერ ასრულებს, ვინაიდან დედაქალაქის სამართალდამცავები რამდენიმე დოლარის ფასად პირველნი არღვევენ მას.**



**ამ ნომინაციაში გრან-პრი დაისაკუთრა ავსტრალიის მთავრობამ, უშიშროების უაზრო ზომების სერიისათვის, რაც თითქოს ტერაქტების შიშით იყო გამოწვეული, ფაქტობრივად კი ქვეყნის მთელ ისტორიაში იქ არცერთი ტერაქტი არ მომხდარა.**

**ნომინაციაში „უშიშროების ყველაზე გაუგებარი იდიოტური ზომა“ გამარჯვება მოიპოვა ფილადელფიის აეროპორტმა უშიშროების დაცვის ზომაგადასული აჟიოტაჟისათვის. ამ დროს კი თვითმფრინავებით თავისუფლად შეიძლება აკრძალული იარაღის ჩატანა. მეორე ადგილი მიაკუთვნეს ჰიტროუს აეროპორტს, რომელმაც კარანტინი გამოუცხადა მწვანე ჩაის კოლოფს.**

**კონკურსის შედეგების მიხედვით პრემია მიანიჭეს ნომინაციაშიც „ყველაზე საზიზღარი აბეზარობისათვის“. მისი ლაურეატი გახდა ნიუ-იორკის აეროპორტში ავიაკომპანიის Delta Airlines ტერმინალი. მისმა თანამშრომლებმა აიძულეს მეძუძური დედა, დაელია სამი ლიტრი თავისივე რძე.**



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## პოეზია უპირველეს ყოვლისა

# ლექსები ახალი ციკლიდან



## ლიდა სტვილია

### მარადიული შეყოვნება

... მარცვილის მონასტრის ეზოში, –
ჩემთა წინაპართა ჩეროში!..
... ცხენისწყლის... ენგურის შეყოლებით
ძველებურ ჩემს საგამზრდელოში!..
... ეგრისში? – ამ გაყოთარებელ
ჩემს ნამდვილ საქართველოში!
აქ... აქ... მომიძღვა ქუჯის და
დიდი ჭყონდიდელის შეგონება...
... მარცვილის მონასტრის ეზოში
მარადიული შეყოვნება!
მარცვილის მონასტრის გადაღმა
თავი სხვის ეზოში მეგონება!

2003

### ეჰ, არ ვიცი... არ ვიცი

ეჰ, არ ვიცი! არ ვიცი,
არ ვიცი რად მირქმენ,
არ ვიცი რას მერჩიან,
კუდებს რაცთომ იქნევენ.
ეჰ, არ ვიცი, არ ვიცი
რად მესროლეს ეს ქვები!..
ეჰ, არ ვიცი ლოყებზე
ცრემლით რაცთომ მესკვნები...

ეჰ, არ ვიცი, არ ვიცი...
ვიმცვრევი თუ ვიხვლები, –
ვინ ხარ, რა სულიერი
რომ გსურს ჩემი წილხვედრი?
... ეჰ, არ ვიცი, რას ვიზამ,
როს ყველაფერს მივხვდები!

2003.

### შენც, რა... თვალები არ გქონდა?!

ღელეში, ბოგირქვეშ, თეთრ კაბით
ზის თეთრი მაღალი ენძელა...
ისეთ ეკლებიან ბუჩქში ზის, –
რის კაცი!.. ჩიცაც ვერ შეძვრება!
... შენც, რა... თვალები არ გქონდა?
–
ცოცა... ღელის გაღმა გეძებნა!
– მაშინ ის... იქნებოდა ბაია,
ბაია არ მომწონს, დაია!..

2003.

* * *

... რომ არ დამახრჩოს ცრემლებმა
მომსკდარმა ცეხურ-ენგურად...
ო, გულში, გულში... ჩემს გულში
ვმღერი ჩუმად და მეგრულად!

2003.

### იბრძვის ტყვეც და დაჭრილიც!

**(2003 წლის სამი იანვარია... თერთმეტსართულიანთან ტროლეიბუსის გაჩერებაზე... თვალი რომ დავაჯერო, არწივასუტებულ ვაჟკაცს ვაჩერებ... ორას დოლარს მომცემსო ზოოპარკის დირექტორი).**

... ქალაქ-მოთეთრო არწივი –
ყუშიშარი ფრთოსანი
შეყპყრიათ სვანეთის,
მთების ცაიჭოსანი!..

თბილისლებო, შეხედეთ...
ძლივ-ძლივ და თავგანწირვით
თერთმეცსართულიანთან
მოჰყავთ მეფე არწივი!

მგზავრებს გაოცებულებს
სარდალივით ვაქყრებს, –
მეკვლე ვართ თბილისის
მეკვლეს ვინ გააყურებს?!

საახალწლო სიყრპრიზს –
ამ წყალობას დიდება!
არწივს როგორ შეჰბედეთ,
დასაჭერად მივნება?

... მიმზერს შეყპოვარი
იმედნეულ-მოხავი...
ყივის. – ბედი მქონია –
მიხსნის ჩემი მგოხანი!

ხელი რომ გადავუსვი,
თითქოს ვიგრძენ სხვა ძალა...
გული ისევ გამთელდა,
ცკივილმა ვერ დამძალა!

... ახალწლებზე არწივზე
უკეთესს ვის შევხვდები?
უკეთეს თვალ-გულისას
მხრებზე ვის შევეხები?!

... ვაჟამ ნახა – დაჭრილი, –
... მე... კი... მე – ტყვე არწივი?
ეს არწივიც უკვდავჰყოფს
თავის სახელს ამ წვლილით!...

არწივი ხომ მეფეა!
მსურს იფრინოს! – ავუქშევ!
მაგრამ... ვიცი ამ არწივს
ეს კაცი არ გაუშვებს?!

სიყრპრიზის სიამე
ცკბილ-მწარეა! ცკბილ-მწარე!
ამ ფრინველმა იფრინოს? –
მიმკურნალებს, მიწამლებს!..
ყუშყულს, თეთნულდს რომ დაჰფრენს,
აქ არ დაჰფრენს ის ნისლი
თი, ამ არწივისთვის
გალიაა თბილისი!

ზოოპარკში ჩამოყრის,
მწვერვალებზე ფრთას გაშლის!
მონადირევ? ამ არწივს
დააცალე ყაშყაში!...

... შენ, ყორნები, ყვავები
ხევ-ხევ მიეღლიც-მიხოცე!
არწივს ღმერთმა არყქა
არწივული სიცოცხლე!

მეომარი მთა-ბარად
ისარივით აჭრილი,
თავისუფლებისათვის
იბრძვის ტყვეც და დაჭრილიც!

2003.

### წყალი უკვდავებისა

ცყეთ! დამალევინე...
იის ცვარი დამისხი...
იის მისხის დაი ვარ –
იის ცვარი დამიხსნის!

მყხა-რუცხილის იებმა
რომ გაიგეს სიზმარეთს,
წყალი ცვარ-ცვარ და წვეთ-წვეთ
რკოს ქუდებით მივზავნეს...

მოვრჩი... ჰა, ვინ ყოფილა
თყრმე ღირსი ქებისა?!
იებს, იებს ჰქონიათ
წყალი უკვდავებისა!

2003.

### მწერალთა დიდ სასახლეში...

... მწერალთა დიდ სასახლეში
თქვენ... თქვენ-თქვენი დებით...
შემოდიხართ და... იწყებენ
შრიალს მუზის ფრთები...

... მე... კუთხეში
ლომის, ვეფხვის
გალიების გვერდით
თითქოს: რაღაც მოლოდინის
მორიდებით ვდგები...

ჯობს, კუთხეში... ბუხრის პირას
აქ, აქ, აქ ვენთები...
... მიდის, მიდის, თ... ზამთარი...
რაც მან მე მაწვალა!
დღეს, ხვალ გაზაფხული მოვა,
მოვა! მაშ ხად წავა?!

2003.

## ალკოჰოლიზმი

# „არა ვარგა უსაზომო“...

**ლოთობა ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობა.**

**ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში ქვის ფილებზე ფარაონებისა და ყოვლისშემძლე ღმერთების გვერდით განთქმული მსმელებიც იხსენიებიან.** ისტორიამ ძველ დროთა ლოთების სახელებიც კი შემოგვინახა. ბერძენი ისტორიკოსის პლუტარქეს გადმოცემით ერთ-ერთი ასეთი იყო ვინმე პრომაქე, რომელმაც ალექსანდრე მაკედონელის მიერ გამართულ ღვინის სმის შეჯიბრში გაიმარჯვა. მან ოთხი ვეებერთელა ფიალა დაცალა და ჯილდოდ გვირგვინიც მიიღო. თუმცა... პრომაქემ მას შემდეგ მხოლოდ სამი დღე იცოცხლა. ამ შეჯიბრში 41 კაცი დაიღუპა.

ბერძენი მწერალი კლავდიუს ელიანუსი გვამცნობს, რომ უზომოდ ბევრს სვამდნენ ლაკიდესი, ტიმონი, პოეტი იონ ქიოსელი, ხოლო კლეომენე ლაკედომონელი ლოთი ყოფილა. ამას გარდა, ელიანუსი იმოწმებს გადმოცემას და გვატყობინებს, რომ პირველად გაუზავებელი ღვინის სმა ანაქარსის სკვითებისაგან გადმოუღია. ცნობილია, რომ მანამდე ბერძნები მხოლოდ წყალნარევ ღვინოს მიირთმევდნენ.

ძველ რომში კი ოცდათხუთმეტ წლამდე ასაკის მამაკაცებს მკაცრად ეკრძალებოდათ ღვინის სმა და თრობა.

ლოთობა ნაკლებად იყო გავრცელებული შუა საუკუნეების ევროპაში. რაინდი ფიცის დადებისას პირობას იძლეოდა, რომ სასმელს არ მიეკარებოდა. ლოთობა მას შემდეგ გაძლიერდა, რაც სპირტის მიღება დაიწყეს. ღვინის სპირტად გამოხდა პირველად XI საუკუნეში იტალიაში დაიწყეს. არაყს „აკუა ვიტა“ (უკვდავების წყალი) უწოდეს. მას სამედიცინო თვალსაზრისით იყენებდნენ და აფთიაქებში ყიდდნენ.

ლოთობა ფართოდ გავრცელდა და ფართო ხასიათი მიეცა XV საუკუნეში. გერმანიაში ლოთობის განსაკუთრებული ორდენებიც კი დაწესდა.

XVI საუკუნეში ბრიტანეთის კოლონია ვესტ-ინდოეთში გაჩნდა მაგარი სპირტიანი სასმელი – რომი. ინგლისსა და ამერიკაში გავრცელდა ასევე მაგარი სპირტიანი სასმელი – ვისკი, საფრანგეთის დეპარტამენტ მარანტაში კი განვითარდა კონიაკის წარმოება, რომლის ცენტრი იყო ქალაქი კონიაკი. სპირტიანმა სასმელებმა შავი დღე დააყარა ევროპის ქვეყნებს. 1877 წლისათვის გერმანიის სამკურნალო დაწესებულებებში იწვა 4775 კაცი, რომელთა რიცხვი 1885 წლისათვის 10360-მდე გაიზარდა. ამავე წელს ლოთობისაგან გარდაცვლილა 1335 კაცი, 500-მდე ლოთმა თავი მოიკლა, 500-მდე ჭკუიდან შეიშალა და 13 ათასმა კაცმა ბოროტმოქმედება ჩაიდინა.

1903 წლისათვის ინგლისში დაილია 555 მილიონი გირვანქა სტერლინგის არაყი. ევროპას არც ამერიკა ჩამორჩა. 1860 წლიდან 1870 წლამდე აქ სასმელებზე დახარჯულა 6 მილიარდამდე დოლარი. ლოთობას შეუწირავს 300 ათასი ადამიანის სიცოცხლე. 100 ათასამდე ახალგაზრდა თავშესაფრებში მოუთავსებიათ, 150 ათასი დაუპატიმრებიათ, 2 ათას კაცს თავი მოუკლავს, 20 ათასამდე ქალი დაქვრივებულა.

ალკოჰოლიზმი ევროპის პირმშოა. ეს ტერმინი პირველად გამოიყენა 1849 წელს მ. ჰუსმა (ადრე იგი რაიმონდ ლულიას მიეწერებოდა).

ალკოჰოლიზმის განვითარებასთან ერთად ძლიერდებოდა ბრძოლა მის წინააღმდეგ. ოდითგანვე არსებობდა ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლი ლიგები და საზოგადოებები. „სმაში ზომიერების“ პირველი საზოგადოება ფრიდრიხ II-ისა და მაქსიმილიან I-ის დროს დაარსდა. 1889 წლისათვის ამერიკის ქალაქების ასეთ საზოგადოებებს თავიანთი 84 გაზეთი ჰქონდათ, რომლებიც ლოთობის მოსპობას ქადაგებდნენ. სიფხიზლის საზოგადოებები არსებობდა საფრანგეთში, ირლანდიაში, შოტლანდიაში, ინგლისში და სხვ. 1891 წლისათვის ეს საზოგადოებები 4 მილიონ წევრს ითვლიდა.

1886 წელს ჩიკაგოში ჩამოყალიბდა ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლ ქალთა საზოგადოება, რომლის თავმჯდომარე იყო ვინმე ფრენსის ვილარდი. იგი აერთიანებდა 2 ათასზე მეტ ქალს. 1901 წელს კანზასის შტატში ქალებმა ნასიონის მეთაურობით დაარბიეს რესტორნები, სცემეს მათი მეპატრონეები.

ზოგ ქვეყანაში ლოთობის აღსაკვეთად მრავალნაირი სასჯელი და ჯარიმა იყო შემოღებული. მენის შტატმა 1846 წელს გამოსცა კანონი, რომლის ძალით მთვრალ კაცს ერთი თვით აპატიმრებდნენ, განმეორების შემთხვევაში კი – სამი თვით. 1887 წელს ამერიკელ პოლიციელს ნება მიეცა ხელკეტით ეცემა მთვრალი, თუ იგი პოლიციაში არ გაჰყვებოდა მას. 1888 წელს იტალიის მთავრობამ მიიღო კანონი, რომლის ძალით მთვრალი ჯარიმდებოდა 12 მანეთით, შემდეგში კი აპატიმრებდნენ 6-დან 24 დღემდე. თუ მცირეწლოვანი დათვრებოდა, მის მშობლებს 10 დღით აპატიმრებდნენ. თუ ვაჭარი სასმელს მიჰყიდდა მცირეწლოვანს, მას აეკრძალებოდა სასმელებით ვაჭრობა.

ორიგინალური წესი იყო არგენტინაში: მთვრალს მაშინვე პოლიციაში უკრავდნენ თავს, ხოლო მეორე დღეს, კანონის ძალით იგი ვალდებული იყო დაეგავა ქალაქის ქუჩები. დანიაში მთვრალებს საზოგადოებრივი ტრანსპორტით სახლებში აბინავებდნენ, ხოლო ტრანსპორტის ხარჯებს იხდიდა ის მედუქნე, სადაც დათვრა ესა თუ ის მოქალაქე. თუ ამ ხარჯს მედუქნე მეორეჯერ გადაიხდიდა, მას დუქანს დაუხურავდნენ.



ალკოჰოლიზმთან ბრძოლის პერიოდში შემოიღეს სამი კანონმდებლობითი სისტემა. 1865 წელს შვეციაში გავრცელდა გოტენბერგის სისტემა. იგი უფლებას იძლეოდა სპირტიანი სასმელები გაეყიდათ მხოლოდ ცხელ კერძებთან ერთად. 1916 წელს დაწესდა საბარათო სისტემა, რომელიც უფლებას იძლეოდა ერთ ოჯახს თვეში მიეღო ოთხი ლიტრი სპირტიანი სასმელი. ამას მოჰყვა ე.წ. მშრალი კანონი. ეს კანონი განხორციელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფინეთში, საფრანგეთში, ირლანდიაში, ბელგიაში, ისლანდიაში, რუსეთში და სხვაგან. „მშრალი კანონი“ ამერიკაში 1919 წლის ბოლოს მიიღეს და მოქმედებდა 1933 წლამდე, რუსეთში კი – 1914 წლიდან 1925 წლამდე.

არაყი რუსეთში ჩინეთიდან გავრცელდა. მისი გამოხდა დაიწყეს XIV საუკუნის ბოლოს. ხდიდნენ ძირითადად ჭვავის, ხორბლისა და ქერის არაყს. ლოთობა რუსეთში XVI საუკუნიდან ძლიერდება. ივანე მრისხანის დროს არაყი სახელმწიფო დაბეგვრის საგანი გახდა. მეფემ დააარსა სასმელების განსაკუთრებული სახლები – „კაბაკები“. გაზეთი „რუსი“ წერდა, რომ 1896 წელს რუსეთში დაულევიათ 428 მილიონი მანეთის არაყი, რაც მთელი სახელმწიფო ბიუჯეტის თითქმის ნახევარს შეადგენდა.

„რუსეთის გლეხების სენი ლოთობაა, – წერდა გაზეთი „ივერია“ – და როდესაც დუქნებში სმა აკრძალეს, ამან ხალხში უკმაყოფილება გამოიწვია. გაზეთ „კურსკი ლისტოკის“ მიხედვით ერთ სოფელში მთავრობის მოხელე უნდა მისულიყო. ეს გლეხებმა გაიგეს, გზაზედ გამწკრივდნენ ხელში ბოთლებითა და ჭიქებით. მოხელე სხვა გზით წავიდა, როდესაც გლეხებს ჰკითხეს, რა გინდოდათ ამით გაგეკეთებინათო, უპასუხეს, დაე დაენახა, როგორ ვსვამთ ახლა არაყსო“ (1887 წ.)

დაკვირვებების შედეგად იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ალკოჰოლიზმი იმ ხალხში უფრო მეტად იყო გავრცელებული, სადაც ღვინის მაგიერ მიღებული იყო არყის სმა. „მიაწოდეთ ღვინო ხალხს, სადაც ლოთობა სენადა ბუდობს და მაშინ დაინახავთ, რომ ღვინო გადაიქცევა იმ სენის მოსასპობელ საუკეთესო წამლად“ – აღნიშნავდა „ივერია“.

მევენახეობისა და მეღვინეობის სამშობლო – საქართველო არასოდეს მდგარა კაცობრიობის საშინელი სენის – ალკოჰოლიზმის წინაშე, ქართველთა სუფრის ტრადიციები, სმის ზომიერება და თავდაჭერილობა, ამტანობა, მრავალმა უცხოელმა თვითმხილველმა აღწერა. „ქართველები დიდი მსმელები არიან, არც ენას ურევენ, არც გონებას კარგავენ და არც ფეხები ეშლებათ“. – წერდა იტალიელი მისიონერი ქრისტოფორო კასტელი. ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის თქმით, „არ არსებობს ქვეყანა, სადაც იმდენს და ისეთ კარგ ღვინოს სვამდნენ, როგორც აქ“. ალექსანდრე დიუმა (მამა) აცხადებდა: „ქართველი კაცი არასოდეს მთვრალი არ არის“. ალექსანდრე პუშკინს მითითებული აქვს: „ქართველები ჩვენებრ როდი სვამენ და საოცრად ამტანნი არიან“. მსგავსი ჩანაწერების მოხმობა მრავლად შეიძლება.

ცხადია, გადამეტებული არაფერი ვარგა, არც სმა და არც ჭამა. შოთა რუსთაველის სიტყვებით – „არა ვარგა უსაზომო“.

ლოთობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა XIX საუკუნის ბოლოს, მას შემდეგ რაც ქალაქად და სოფლად გახშირდა „სამიკიტნოები“ და რაც მთავარია, დაიწყეს არყის გამოხდა. ჩვენში არაყი მთაში იყო მიღებული. „ქართველები სმენ ღვინოთა. მთის კაცნი სმენ ლუდსა ქერისა და სვივისაგან მოდუღებულსა, ქერის არაყსა და ბურახსა ქატოსაგან დაყენებულს, ღვინის მაგიერ“ – აღნიშნული აქვს იოანე ბატონიშვილს. ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი წერს: „არაყი არ იყო ჯერეთ დიდსა ხმარებაში და თუ გამოიყენებდნენ, მასში ურევდნენ თაფლსა და მურაბასა ქართველთა ჩვეულებისა წესითა“.

ლოთობის გაძლიერების მაუწყებელია თბილისში არსებული „ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოების“ არსებობა. 1905 წელს ლოთობისათვის ჯარიმები შემოუღიათ ხაშურში.

გაზეთი „მეურნე“ აფრთხილებდა მკითხველებს: „არასოდეს ადამიანი არ უნდა მიეჩვიოს გადაკვეთილი რუმკა არაყის ხმარებას, რადგანაც ამ „რუმკა-რუმკობით“ ადვილად მოჰყვება თან მეტად მავნებელი ჩვეულება – მსმელობა“ (1895 წ. №5).

არაყს ლოთობის მიზეზად თვლიდა გაზეთი „ივერიაც“. 1888 წელს იგი იუწყებოდა: „გამუდმებული და სენად გადაქცეული ლოთობა არყის მიზეზია“ (№122).

დასასრულ, კიდევ ერთი საყურადღებო შეგონება ამავე გაზეთიდან: „იქნება ჩაიცინოთ და ბრძანოთ: „ქართველ კაცს ღვინის სმა როგორ დაეძრახებაო?“ – დიახაც არა, მაგრამ როცა ამ ღვინის სმას მოსდევს უსაზღვრო ლოთობა, ბრუქება და ლექობა, ის არის საძრახისი და სატირალი... იქნებ იკითხოთ ამ „სენს“ რა არგებსო? – განათლება, საქმეზე ხელის მოკიდება, ზომიერად სმა“... (1888 წ. №118)

**სულიკო ნუცუბიძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ლიტერატურული წიაღსვლები

# კლასიკოსთა შორის...

## უცნობი მასალები სერგო კლდიაშვილის არქივიდან

**ლიტერატურის თეორიაში ვსწავლობდით ასეთ ინტელექტუალურ კლიშეს: სირთულეების და სიღრმეების დაძლევის შემდგომ ელემენტარულამდე მივდივართ... რაც უფრო ელემენტარულია, მით უფრო სადაა და უბრალო. შემდგომ კი ეს „უბრალო“ ხდება ფუნდამენტალური, მაგრამ... ამ თითქოსდა ადვილად ასახსნელი პლასტების გავლას ზოგჯერ მთელი ერთი ცხოვრებაც არ ჰყოფნის...**

ამ ტიპის ლიტერატურული სიბრძნე უკიდურესი სტილისტური ექსპერიმანტების ეპოქაში და შემდგომ დემაგოგიური ცუნზურის პირობებში მწერალმა სერგო კლდიაშვილმა გასაოცარი თანამიმდევრობით შეინარჩუნა.

მის საუბრებსა და ცხოვრების სტილში იყო რაღაც ღირსეულად მშვიდი და მარადიული, რასაც მისივე უბადლო გემოვნება და ფასეულობათა უნივერსალური სკოლა განსაზღვრავდა...

სერგო კლდიაშვილის ლიტერატურულ საუბრებში არ იგრძნობოდა ერთგვარი პარალელური მოტივები, რაც თანამედროვეობისადმი იძულებითი ხარკის გაღებას ნიშნავს და რასაც წარმატებით ფლობდნენ მედროვე მწერლები.

მან ზუსტად იცოდა მხატვრული ტექსტის რომელ ნაწილში იკითხებოდა ნამდვილი და არაემპირიული დროის ნიშნები...

სერგო კლდიაშვილის უცნობი ჩანაწერებიდან:

„ნამდვილი მწერლობა ხელიდან გვისხლტება, მდარე ნაწარმოებები მოქალაქეობრივ უფლებებს პოულობენ, მცირდება საკუთარი თავისადმი მოთხოვნილება და რაც მთავარია, მწერლობა კარგავს დანიშნულობას... ეს კი ბადებს მკითხველის ჩვენდამი გულგრილობას... ჩვენ ვკარგავთ ნდობას“...

ეს სიტყვები ბატონმა სერგომ იმ ასაკში დაწერა, როცა უკვე აღიარებული მწერლები ჩვეულებრივ მყუდრო გარემოში ყოფნას, ზომიერ დისტანციას და იდილიურ თვითკმაყოფილებას ირჩევენ.

მართლაც, სულ რომ აღარაფერი შეექმნა, შეეძლო მშვიდად და აუღელვებლად არსებული ლეგენდარული სინამდვილით ეცხოვრა: კლასიკოსი მამის კლასიკოსი შვილი... შეეძლო სხვადასხვა დროის გემოვნებათა ცვალებადობას შემწყნარებლურად შეხვედროდა, მაგრამ ქართული მწერლობის რეპუტაცია იმთავითვე მისი ღირსების საგანი გამხდარიყო.

ცნობილია, რომ კლასიკოსობა უფრო ირაციონალური ცნებაა და სათანადო არგუმენტების ან დაფასებული ცხოვრების გარანტიას არ იძლევა. ქართული მწერლობის საერთო ფონისთვის ალბათ შეუწყნარებელია, რომ სიცოცხლეშივე კლასიკოსად აღიარებული დავით კლდიაშვილი იმერეთის ერთ პატარა სოფელში, სრულიად უსახსროდ, საზოგადოებისაგან მიტოვებული გახლდათ. სულის შემძვრელია დიდი მწერლისა და გადამდგარი პოლკოვნიკის, მოხუცი დავით კლდიაშვილის დღემდე გამოუქვეყნებელი წერილი შვილისადმი (ვბეჭდავთ მცირე შემოკლებით).

„შვილო სერგო, შენი გამოგზავნილი ყველაფერი მივიღე. გამოგზავნილმა სული ჩაგვიდგა. ვიყავით ძალიან შევიწროებულნი... აქ ხარჯები ბევრი გვაქვს... შენ რომ არა, არ ვიცი რა მდგომარეობაში ჩავვარდებოდით... სერგო, ყოველივე ზომა მიიღე, რომ მე არ ვიჩაგრებოდე იმისთანა პირებისაგან... ის ძალიან კარგი იქნება, რომ განცხადება შეგიტანია სახელგამში, რომ ჩემი ნაწერების გამოცემას თავი დაანებონ. გამომცემელნი ქართული წიგნის და სახელგამის ერთმანათს ებრძვიან და რაღაცნაირად მე მოვხვდი გასაჭეჭყი. სერგო, არ უნდა სახელგამს გამოსცეს ჩემი ნაწარმოები. მონად მხდიან, მაგრამ უკაცრავად, მონა არასოდეს არ ვყოფილვარ და არც ვიქნები... სპობენ ბაზარზე გამოტანას ჩემი ნაწარმოებებისას. ეს არის ნამდვილი დამონება, ჩემი დამონება კი არც ისე იოლია. საზიზღარ დროში ვმსახურობდი ჩემდა უნებურად სამხედრო სამსახურში, მაგრამ სისასტიკემ ვერ დამამონავა.

შეიტანე განცხადება, რომ მე ყოველ ხელშეკრულებას ვსპობ. კლასიკს ასე არ ეპყრობიან. შენგან მოკლე ხანში მოველი წერილს და დაწვრილებით ყოველივე ამბავს. სერგო, არ დაგავიწყდეს იანვრის თვის გაზეთები.



შენ გენაცვალე, ძალიან დამავალებ, თუ ფოჩტით გამომიგზავნი იმისთანა კანფეტებს, როგორიც მაშინ გოგის გამოატანე. აქ შაქარს არ მაძლევენ... დამიკოცნე ლიალია.

შენი მამა **დავით კლდიაშვილი**.“

მამაზე ლაპარაკობდა ფრთხილად და არა მხოლოდ შვილის პათოსით. გენეტიკური სიახლოვით უფრო ღრმა და უფრო დიდ სირთულეებს მისწვდა — დავით კლდიაშვილის პიროვნების ნამდვილ რაობას და განუმეორებლობას. მამის სახით შექმნა ერთდროულად სიახლოვის და სიშორის არაჩვეულებრივი ხატი — ობიექტური რეალობა თითქოს იდეათა სამყაროში გადაიტანა, ყოფით დეტალებს სიმბოლური მნიშვნელობა მიანიჭა. სრულიად სადა და უსამკაულო თხრობის მანერით მწერლის კლასიკური ბიოგრაფია შექმნა. „დავითს მაღალი, ძლიერი ხმა ჰქონდა. როცა მარტოობის გრძნობა მოერეოდა, ისეთი ხმით სწუხდა, რომ ამოოხვრა გუგუნის მსგავსად ისმოდა. როცა ერთხელ ვკითხე: რატომ სწუხარ და გუგუნებ ასე უცნაურად-მეთქი, გულაჩუყებით მითხრა: — „მარტო ვარ“! („მამაჩემი დავით კლდიაშვილი“).

სერგო კლდიაშვილის მინიატურებს და ნოველებს ანალოგიურად გამჭვირვალე სევდიანი დახვეწილობა ახლავთ — ტანჯვა ჟესტების და ხმის ათრთოლების გარეშე, დაახლოებით ისეთი, როგორიც თვალისჩინდაკარგული დავით კლდიაშვილის პორტრეტია.

იქნებ სწორედ აქ ჩაისახა სერგო კლდიაშვილის პროზის მთავარი თემა, ვიზიონერობა, ხილვა უხილავის მიღმა ანუ „საზღვარს იქით გადაბიჯება“...

მოგვიანებით, მამასავით თვალისჩინდაკარგულმა, „ლანდების კოლექციონერის“ ავტორმა, უკვე მოხუცმა სერგო კლდიაშვილმა, თქვა: „ქუჩაში ადამიანებს ვხედავ, როგორც ლანდებს“... ლიტერატურის ისტორიაში არის კლასიკური მაგალითები, როცა ერთარსად იქცევიან ნაწარმოების პერსონაჟი და ავტორი. ეს იყო საოცარი ფაქტი. მისივე პერსონაჟის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეს არ იყო მისტიკა“. ბატონი სერგო მართლაც ლანდების სამყაროში დადიოდა და ქუჩაში ადამიანებს მათივე ლანდების მიხედვით სცნობდა.

ხანდახან მეჩვენება, რომ „ლანდების სამყაროში“ შესასვლელად დიდი ხნის მანძილზე ემზადებოდა, ვინაიდან მის გარდუვალობას უცნაურად გრძნობდა. მწერლის საბედისწეროდ ფაქიზი და მტკივნეული ინტუიციით იმ მრუმე სამყაროში ნათელის და მნიშვნელოვანის არსებობის ნიშნებს — წინასწარ ეძებდა და თითქოს პოულობდა კიდეც.

ასე მგონია, ჩიქოვანის უმძიმეს წლებზე დაწერილი წერილი თავად სერგო კლდიაშვილის მომავალი ავტოპორტრეტია. „სიცოცხლის ბოლო წლებში სიმონ ჩიქოვანი ველარ ხედავდა... მისთვის სამუდამოდ დაღამდა... ისიც ვიგრძენი, რომ სიმონს შეემატა რაღაც ახალი თვისებები, რაღაც კი არა, წინანდელზე კიდევ უფრო კეთილი და ნათელი... ბუნება ხომ საერთოდაც მადლიანია და როცა ადამიანს რაიმე თვისება წაერთმევა, თითქოს შეიცოდაო, რაღაცით აუნაზღაურებს დანაკლისს... დაბრმავებულ სიმონს რომ ვუყურებდი და ვუსმენდი ხოლმე, ისე მეჩვენებოდა, თითქოს მას, მართლაც რაღაც ჩემთვის და სხვისთვის ახალი ცხოვრება აქვს დაწყებული. სიმონი თითქოს წინა წლებთან შედარებით ბევრად უფრო დამშვიდებული მეჩვენებოდა. თითქოს ერთგვარად კმაყოფილიც იმით, რაც ახლა ჰქონდა შემატებული... თუ ასე არ იყო, აბა, მაშ, საიდან ჰპოვა ეს საოცარი სიმშვიდე, ის საოცარი შერიგება თავის ახალ გარემოსთან... ნეტა, რა ჰპოვა მან ახალი და ასე დიდი, რომ მთელი გულისყური იქითკენ მიმართა?“

ჩინდაკარგული ბატონი სერგო ზოგჯერ იტყოდა ფრაზას, რაც მაშინ ძალიან უცნაურად მეჩვენებოდა: „ახლა თითქოს უკეთესად ვხედავ“... რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ ხედვის სხვა კატეგორიას გულისხმობდა, მაგრამ ეს განმარტება არ იყო საკმარისი. მაოცებდა მისი „საზღვარს იქით გადაბიჯების“ გამძლეობა მაშინ, როცა, როგორც არასდროს, ისე უნდოდა წერა. მახსოვს მომავალ თხზულებათა პირობითი სათაურებიც: „სანდრო ცირეკიძე“, „სიუჟეტების გადაძახილი“, „პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე“... მემუარების დაწერაზე ოცნებობდა... მოგვიანებით ეცადა სხვისთვის ეკარნახა, არაფერი გამოუვიდა. მაგნიტოფონზე ჩაწერაც შესთავაზეს. კვლავ უშედეგოდ... თქვა: „ადამიანი შემოქმედების დროს მარტო უნდა იყოსო...“ სცადა მაინც თავისით ეწერა. იჯდა და ფურცელზე გუმანით ხაზავდა ასოებს... სტრიქონები ერთმანეთზე იყო გადაწერილი და მისი წაკითხვა შეუძლებელი ხდებოდა... ჩემში ყოველთვის აუწერელ გულისტკივილს იწვევს ბატონი სერგოს ეს უკანასკნელი ხელნაწერები...

ზოგჯერ მთხოვდა წავყოლოდი გამომცემლობებში, „მნათობის“ ან „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციებში, მწერალთა კავშირში... მახსოვს ადამიანები, რომლებიც უდიდესი ყურადღებით და სიყვარულით უსმენდნენ... იყვნენ ისინიც, უყურადღებოდ რომ ჩაუვლიდნენ. ბატონი სერგო ხომ ვერ ხედავდა და „ცისფერყანწელთა“ ეს უკანასკნელი მოჰიკანი აღარავისთვის იყო სოციალურად საჭირო.

მახსოვს მწერალთა კავშირის კიბეები... ადიან და ჩადიან ე. წ. კალმოსნები... ამ დროს შორიდან ჩამორბის მართლაც განუმეორებელი იოსებ ნონეშვილი: „ბატონი სერგო მობრძანებულაო! ბატონო სერგო, დაგვავალეთ, გვითხარით, რაში დაგეხმაროთო!“... სინამდვილეში ბატონ სერგოს არაფერიც არ უნდოდა, გარდა იმ გარემოში ყოფნისა, წარსულში დაბრუნებისა... ძველი და ახალი ხმების გაგონება სურდა და მწერლებთან ბაასი... იოსებ ნონეშვილი შემდეგ მე მომიბრუნდა: — „აუცილებლად შემატყობინე, თუკი ბატონ სერგოს როდესმე რამე დასჭირდესო“...

ცოტა ხნის მერე:

— როგორ ბრძანდებით, ბატონო სერგო?

— რომელი ხარ?

— ჯანსუღი ვარ, ჯანსუღი, ჩარკვიანი... რაიმეთი ხომ არ მიმსახურებთ, ბატონო სერგო?

ჯანსუღ ჩარკვიანი ისეთი მზრუნველობით და სიყვარულით სავსე თვალებით შესცქეროდა, არ შეიძლებოდა ეს ბატონ სერგოს არ ეგრძნო...

დაგვიანებული მადლობა მათ, ყველას, ვინც ბატონი სერგოს უკვე „ლანდებად ქცეულ სამყაროში“ უკანასკნელი წლების გაუსაძლის შემოქმედებით ტანჯვას უმსუბუქებდა, თანადგომით, ყურადღებით და ლიტერატურული საუბრებით: გიორგი ნატროშვილს, ირაკლი აბაშიძეს, ვახტანგ ჭელიძეს, ალექსანდრე ქუთათელს, გრიგოლ ჩიქოვანს, არჩილ სულაკაურს, თამაზ ჭილაძეს, თამაზ ბიბილურს, ლალი ავალიანს, „ლიტერატურული საქართველოს“ ყოფილ თანამშრომელს მედეა ზუბადალაშვილს, მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკარებს დოდო ჩიკვაიძეს და ლაურა დათიაშვილს, და სხვებს და სხვებს...



დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც თბილისის ქუჩებში ან როგორც თავად იტყოდა, „გალავინსკზე“ რომელიმე ახლობელ ადამიანთან ერთად, ხელკავით დადიოდა სერგო კლდიაშვილი... ბატონი სერგო, ქართული კლასიკური მწერლობის არქიტიპი, მშვიდი და კეთილმოსურნე, „სავსე ქართული პატიოსნებით“... საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა... თითქოს რუსთაველზე მიდიოდა თვალისჩინდაკარგული ძველი საქართველო...

ვფიქრობ, ბატონი სერგოს უკანასკნელი წლები დიდი რომანისტის თემაა...

„...მე ვუყურებდი მამას და მიკვირდა..., — იგონებს ქალბატონი მელიტა კლდიაშვილი, — ბოლომდე არ დაკარგვია ცხოვრების ინტერესი... საქმის კურსში იყო ვინ რას წერდა..“ „მნათობში“ დღეში სამჯერ რეკავდა გიორგი ნატროშვილთან... ვეუბნებოდი: „ნუ შეაწუხეო, მამა!“ მუდამ რაღაცის გამო ღელავდა. განსაკუთრებით ახალგაზრდობა აინტერესებდა. არავინ გამოგვერჩეს, ყურადღება არ დავაკლოთო“...

ალბათ ოქტომბრის თვეში, სერგო კლდიაშვილის დაბადებიდან 110 წლისთავისთვის, გამოქვეყნდება ქალბატონ მელიტას მოგონებები საოჯახო რელიკვიებზე, მამასა და მის მეგობრებზე... უპირველესად, „ცისფერყანწელებზე“.

„ძვირფასო მეგობრებო: პაოლო, ვალერიან, გოგლა, ტიციან, შალვა, ალი, რაჟდენ, კოლაუ!

24 აპრილს, დღის 12 საათზე დავითი გარდაიცვალა. მე იმ დღეს ჩაველი სვირში, 3 საათზე. სოფელში რომ ჩაველი, მკვდარი დამხვდა. ალბათ თქვენც გეტკინებათ გული მისი სიკვდილის გამო. ავადმყოფობის დროს მამას ნაწამები სახე ჰქონდა. ეხლა სიკვდილმა საკვირველად შეუცვალა. ისეთივე კეთილი ღიმილი აქვს, როგორც ოდესღაც, წინათ... სოფელში მამას მრავალი მეგობარი ჰყავდა და მათი ტირილი აუტანელია ჩემთვის... უკანასკნელად დედისთვის დაუძახნია და ხელზე უკოცნია. წინა დღეს თავისი პატარა ოთახი დიდ დარბაზად მოჩვენებია და კედლებზე ელანდებოდა მეგობრები... მეცოდება, მარტო წევს... რა ვქნათ, არ ვიცით... ჩვენთვის ეს დიდი მწუხარებაა, მაგრამ იმის გარდა, რომ ის ჩვენთვის უახლოესი და ძვირფასი იყო, სხვაც არის...

წერილი 1931 წლის 25 აპრილსაა დაწერილი. მაშინ ყველანი ერთად იყვნენ „ცისფერყანწელები“, რომლებთანაც ურთიერთობას ბატონი სერგო „ლიტერატურულ გამართლებად“ მიიჩნევდა და რომლებზეც წერდა: „ცხოვრებაშიც ყველაზე მეტად ისინი მიყვარან“.

მათმა თანმიმდევრულმა დაკარგვამ გარდასულში დამკვიდრების იდეა ვერ აპოვნინა, დრომ ვერც ტკივილები გაუნელა... მრავალი წლის შემდეგაც, ღრმა მოხუცის და ჩინდაკარგულის ნაწერებში, როცა გუმანით ხაზავდა ასოებს და სტრიქონს სტრიქონზე აწერდა, ერთგან შედარებით გასარჩევად იკითხება: „ტიციანის სიკვდილის შემდეგ ცხოვრების გემო დავკარგე“...

ველარაფერმა დააშორა წარსულს... სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე კი გარდაუვალისადმი, სხვაგვარად ყოფნის შეუძლებლობისადმი ყოვლისმომცველი მორჩილება გამოხატა: „მორჩილად მივიღებ, უფალო, სამუდამო სიჩუმეს. ოღონდ გამამხნევე, ეჭვით სნეული, რომ მაქვს სული, რომელიც შესძლებს ავიდეს ზესკნელში და შენამდე მოაღწიოს... რაც ოდესმე ოცნებები დამბადებია, შენი სამყაროს უსასრულობაში ცდომილებად დაბორიალობენ, სათითაოდ შემომხვდებიან და თანამგზავრებად გამომყვებიან. ბევრი მათგანი ჯერ კიდევ ჩემი ყრმობისას გამოეშურა შენსკენ... ისინი უღონონი არიან... მსუბუქია ჩემი ტვირთი დედამიწიდან წამოსაღები და მისი ზიდვა არ გამიჭირდება...

ერთი სიცოცხლე კაცს ჰყოფნის მხოლოდ იმისთვის, რომ ბოლოს გაიგოს, თუ როგორ უნდა დაეწყო ცხოვრება და წარემართა ის... მეორე კი, სამწუხაროდ, აღარ არის“...

**ნინო ხოფერია.**

**სურათებზე: სერგო კლდიაშვილი და ვახტანგ ბერიძე; (მარცხნიდან მარჯვნივ) სერგო კლდიაშვილი, ლელი ჯაფარიძე, ვანიკო აბაშიძე და შალვა აფხაიძე (1926 წ.).**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 104, ორშაბათი, 21 აპრილი, 2003 წელი.

### ორშაბათი
21 აპრილი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" 10.15 მხ. ფილმი "პარფიუმი" 12.00, 15.00, 20.00, 23.55 მოამბე 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.00 ნაშუადღევს 14.00 ოქროს მართვე 14.30 დოკ. ფილმი "ეგვიპტოლოგიის პიონერები" 15.15 მხ. ფილმი "აიდა" 16.45 დოკ. სერიალი "ხელოვნების სცენარები" 17.00 ტელესერიალი "ძილის წინ" 17.15 "რამპა" 17.20 50-50 18.00 "ვესტნიკი" 18.20 დოკ. სერიალი "საუკუნის გინატები" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "მრავალჟამიერ" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 20.00 "მოამბე" 21.05 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.55 შორეული ახლობელი 22.35 ტელესერიალი "ძილის წინ" 23.00 "რა ხდება?" 23.55 მხ. ფილმი "ბარნი და მისი პატარა უსიამოვნებანი"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.30 სერიალი "რვაფეხა" 20.00 დოკ. ფილმი 20.30 გახსენება (ომარ გვასალია) 21.00 ჯანმრთელობა 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.10 მხ. ფილმი "ბრიყვები"

07.00 მუსიკა 07.30 სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "დატყვევებული გულები" 13.30 მხ. ფილმი 14.50 ტელეკაზინო 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 18.20 სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 18.50 სერიალი "მაშველები" 19.45 ტელეკაზინო 19.50 სერიალი "დატყვევებული გულები" 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.05 მხ. ფილმი "ბოროტება მზის ქვეშ" მთ. რ-ში: პიტერ უსტინოვი 02.00 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 ალსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "ანგელოზთა ქალაქი" 10.20 მხ.ფ. "ექსპერიმენტი" 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 19.45 ბურთი და მოედანი 20.05 მხ.ფ. "აფრიკაზე ვოცნებობდი" 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. "ანაკონდა" 01.30 ღამის ფილმი

